საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№25 (590)
14 - 20 ივლისი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



22

## გამოქვეყნებას არ ექვემდებარება

# გააფთრებული შეტევა ღარიბაშვილზე და დეგნანის ალიანსი მკვდრებით მოვაჭრეებთან

2, 5, 6



«მოსახლეობის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი არის წინააღმდეგი დემონსტრაციულად, პროპაგანდისტულად, მარშის ფორმით აღლუმის ჩატარებისა, ამას ყველა უნდა დავემორჩილოთ. ეს არის ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრი»



«ქუჩაში გამოსული ადამიანები უმცირესობაში არიან, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ლგბტ თემის მხარესაა... პრემიერისგან ბევრად მეტს ველოდით, მან ლიდერის თვისებები ვერ გამოავლინა»



ხათუნა საგინაშვილი:

## ძალადობა იწყება იქ, სადაც ჩემი პირადი უფლებები ირღვევა და რასაც მედია აბორიგენი მოსახლეობის მიმართ სჩადის!

4



## დღეს სხვა დროა, ამიტომ «ჯაჯა»-ს არ მოგიწყობთ, მაგრამ არც გეიაღლუმს არ ჩაგატარებინებთ

5



ლევან ჩაჩუა:

3

## ანტი-ქრისტეს ლეგიონები ქართველი ერის წინააღმდეგ ომს ვერ მოიგებენ!



## თანამედროვე ლიბერალიზმის რეალური სახე ქართულ სინამდვილეში

10-11



გურამ ნიკოლაიშვილი:

## ავღანეთში ნატოს ინტერესების 17-წლიანმა ბრმა მსახურებამ საქართველოს ვერაფერი მისცა

8



## სად არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ევროპა, ეს არის მეგობრობა და ევროკავშირისკენ სწრაფვაში ხელშეწყობა?

9



15

## ბებერი და განარკომანებული ევროპის ქუჩებში სისხლი და კოკაინი მოედინება



## პოლონეთი, უნგრეთი, იტალია — დაუმორჩილებელი სამეული ევროკავშირში

17

შეხვევა საქართველოზე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთი ყველაზე მეტად იმან გააღიზიანა, რომ ჯვრის აღმართვამდე აქციის მონაწილეებმა ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს. ამით ერმა პოლიტიკოსების ნაცვლად გასცა პასუხი ყველა ელჩს და თქვა, რომ ქართველები არათუ მონობის უღელს არ დავიდგამთ, არამედ აღარც იმის გვჯერა, რომ ევროპა ტოლ-სწორად გვიყურებს და ჩვენი მიღება ნატოში ან ევროკავშირში სურს.**

# ოპოზიციის ორმაგი სტანდარტი და ელჩი დეგნანის ქცევა, რომელიც არაფრით არ შეეფერება დიპლომატის სტატუსს

## საქართველოს გარდა ერთ ქვეყანასაც ვერავინ დაასახელებს, რომლის ლიდერსაც ელჩები კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ, მიუთითებენ, ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს

**5 ივლისს საქართველოში მომხდარი მთელი კვირის განმავლობაში განხილვის თემა იყო არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ლამის სრულიად მსოფლიოში. კანადაში, ამერიკაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები რიგითი ადამიანები სოციალურ ქსელში წერდნენ, რომ კარგი იქნებოდა, მათ ქვეყანაშიც თუ გამოჩნდებოდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც თავსმოხვეულ ლიბერალიზმს აღკვეთდა და ნორმალურ ადამიანებს ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობას მისცემდა. ჩვენთან კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა — ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიკროფონი სჭერია ხელში, ან ერთხელ მაინც რომელიმე გაზეთში ფრაზა დაუბეჭდეს, ყველამ გაიხსენა, რომ „ჟურნალისტი“ იყო და ნაცემ ჟურნალისტებს სოლიდარობა გამოუცხადა...**

რა თქმა უნდა, ყოველგვარ ძალადობას ვემიჯნებით, რა თქმა უნდა, ვგმობთ ძალადობას არა მხოლოდ ჟურნალისტებზე, არამედ სხვა ნებისმიერი პროფესიის ადამიანზე. ვუსამძიმრებთ „ტვ პირველის“ ოპერატორის, **ალექსანდრე ლაშქარავას** ოჯახს, მის მეგობრებს... თითოეული ქართველის გარდაცვალება ტრაგედიაა ქვეყნისთვის. ისიც ვთქვათ, რომ ამაზრზენია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ბოლო ხმაზე ყვირილი, ლაშქარავას ორი შვილი დარჩაო, და ხელისუფლებისკენ ხელის გაშვერა. ამაზრზენია სხვის ტრაგედიაზე პოლიტიკური ქულების დაწერა და, თუ შვილებზე მიდგა საქმე, **კობა დავითაშვილს** ხუთი შვილი დარჩა, **სულხან მოლაშვილს** — სამი და ვაი, რომ ეს სია ძალიან გრძელია. ამას კონკრეტულად ნაციონალების გასაგონად ვწერთ... კიდევ ვიმეორებთ: ძალიან, ძალიან ცუდია, ახალგაზრდა კაცის ამქვეყნიდან წასვლა და ძალიან საინტერესოა ობიექტურად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის მოსმენა.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, რომელთა მიმართაც აგრესია წამოვიდა, **ხომ არ ფიქრობთ, კოლეგებო, მეგობრებო, რომ ეს ყველაფერი იმ პოლიტიკის ბრალიც არის, რომლის კეთებასაც გაიძულებენ ტელევიზიების ხელმძღვანელები და დამფინანსებლები? არ ფიქრობთ, რომ აგრესია მას შემდეგ წამოვიდა, რაც, აგერ უკვე მერამდენე წელია, რიგით ადამიანებს საცხოვრებელში უცვივდებით, მათ ტრაგედიებზე სიუჟეტებს აწყობთ, კერძო საკუთრებაში დაუკითხავად იჭრებით და შემდეგ ბოლო ხმაზე გაჰყვირით, რომ მუშაობაში, ე.ი., სხვის კერძო საკუთრებაში შეჭრაში ხელს გიშლიან?** იმის ბრალიც ხომ არ არის ეს ყველაფერი, 5 ივლისის აქციაზე გამოსულ ათიათასობით ადამიანს უკან რომ მისდევდით, პუტინის მონებს ეძახდით და ამას პირდაპირ ეთერში გადასცემდით? სწორედ 5 ივლისს ჟურნალისტებმა საკითხი დააყენეს ასე: ან ლგბტ თემის მხარდამჭერი უნდა ყოფილიყავი, თუ არა და ხარ პუტინის მონა. ჰო, აქ გაავლეს ჟურნალისტებმა წითელი ხაზი და მის ერთ მხარეს „ქვიარ თემი“ დატოვეს, მეორე მხარეს — „პუტინის მონები“. თვითონ როგორ განწყობაზე დადგებოდით, ვიღაც მთელი დღის განმავლობაში ყურთან რომ ჩაგყვიროდეთ — ან მონა ხარ, ან გეი და ლესბოსელიო? როგორ მოგეწონებოდათ არჩევანი?

სამწუხაროდ, სიტუაციის დაძაბვას ხელი ყველაზე მეტად დასავლელმა ელჩებმა შეუწყვეს. ყველაფერი იმით დაიწყო, 2 ივლისს მოწყობილი ფილმის ჩვენებაზე რომ მივიდნენ — ამით მთელი სახელმწიფო რესურსი, პრაქტიკულად, მათი უსაფრთხოების დაცვაზე მიიმართა. ამან შეაგულიანა ლგბტ თემი და ძალიან გააბრაზა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. გამოჩნდა კიდეც, რეალურად რამდენი იყვნენ ისინი და რამდენი — დანარჩენი საქართველო, თუმცა ისე ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მაგალითად, ამერიკის ელჩისთვის. **კელი დეგნანმა ურცხვად (ჰო, ურცხვად) განაცხადა: ქუჩაში გამოსული ადამიანები უმცირესობაში არიან, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ლგბტ თემის მხარესააო. არის თუ არა ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა? რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამერიკის ელჩმა არც ეს იკმარა და ირაკლი ღარიბაშვილს ლიდერობა დაუწუნა, აქაოდა, პრემიერისგან ბევრად მეტს ველოდით, მან ლიდერის თვისებები ვერ გამოავლინაო.** საზოგადოდ, ღარიბაშვილსა და მის მთავრობაზე იერიში, დეგნანთან ერთად, არაერთმა ევროპელმა ელჩმა მიიტანა და არავის უფიქრია, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პრემიერს ეთანხმებოდა, რომ ე.წ. ღირსების მარში არ უნდა გამართულიყო.

**აურზაური გამოიწვია პარლამენტის წინ ჯვრის აღმართვამაც. თურმე, თვეების განმავლობაში, პარლამენტის წინ უაზროდ დაცემული და ცარიელი კარვები ხელს არავის უშლიდა და ჯვარი თურმე ხელისშემშლელი და გამაღიზიანებელია. შუა რუსთაველი საპირფარეშოდ რომ აქციეს ვითომ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა, არაფერს ნიშნავდა და ჯვარია სასწრაფოდ ასაღები? კარგად ხვდებიან დასავლეთში, რომ სწორედ ჯვრისა და ეკლესიის გამოა, ამდენი ხნის განმავლობაში რომ ვერ შეძლეს ერის დაჩოქება და დამონება და ამიტომაც, უპირველესად, სწორედ მას ებრძვიან.** რაც შეეხება დასავლელი დიპლომატების პოზიციას, დაგვისახელეთ ერთი ქვეყანა მაინც, რომლის ელჩიც სხვა ქვეყანაში ამდენის უფლებას აძლევს საკუთარ თავს? **გვითხარით ერთი ქვეყანა, რომლის ლიდერსაც ელჩები კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ და ხელისუფლებას მიუთითებენ, ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე, როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს?!** არ არსებობს ასეთი ქვეყანა, საქართველოს გარდა და ერთი, ერთადერთი პოლიტიკოსიც არ გამოჩნდა, ხმამაღლა, მკაფიოდ რომ უთხრას ელჩებს: თქვენი განცხადებები ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაა და გაჩერდითო. თუმცა, როგორ გინდა, რომ უთხრა, როცა იმავე ელჩების მიერ შემუშავებული დოკუმენტის განხილვის გარდა, ბოლომდე, სულ ბოლომდე, **აგერ უკვე მერამდენე თვეა, სხვა საქმე არ აქვს ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოს და სწორედ ამ დოკუმენტის განსახილველად მიმდინარე კვირაში რიგგარეშე სესია გაიმართება. დასავლეთი უკვე არანაირ მორიდებას ან დიპლომატიურ პროტოკოლს აღარ იცავს და სახის შენარჩუნებასაც აღარ ცდილობს.** ჩვენ თუ გვკითხავთ, **დასავლეთი ყველაზე მეტად იმან გააღიზიანა, რომ ჯვრის აღმართვამდე აქციის მონაწილეებმა ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს. ამით ერმა პოლიტიკოსების ნაცვლად გასცა პასუხი ყველა ელჩს და თქვა, რომ ქართველები არათუ მონობის უღელს არ დავიდგამთ, არამედ აღარც იმის აღარ გვჯერა, რომ ევროპა ტოლ-სწორად გვიყურებს და ჩვენი მიღება ნატოში ან ევროკავშირში სურს. წინა ნომერში დავწერეთ, რომ 5 ივლისი იყო უსიტყვო რეფერენდუმი და სწორედ ამ უსიტყვო რეფერენდუმით შეიტყო დასავლეთმა იმაზე მეტი, ვიდრე აქამდე ესმოდა. ეს იყო შეშფოთება-აღშფოთების მიზეზი და რეალურად დასავლეთმა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.** მათ არ სურთ ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის მხარეს იქნება, რადგან ნათლად გამოჩნდა — **ხალხი არ არის დასავლეთის მხარეს. უფრო მეტიც, საქართველოში ლგბტ თემის წინააღმდეგ აგორებულმა ტალღამ სწორედ დასავლური ქვეყნები მოიცვა და იქაც მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილმა ქართველებს ტაში დაუკრა, ამან ევროკავშირის ბოსებს თვალნათლივ დაანახვა, რომ თავსმოხვეული ლიბერალიზმი არც დასავლეთში არ მოსწონთ.**

სერიოზული ეჭვი გვაქვს, **5 ივლისს განვითარებული მოვლენების შემდეგ დასავლეთმა ხელისუფლების ცვლილების გადაწყვეტილება მიიღო და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმასაც დაიწყებს.** კარს მომდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამის საუკეთესო შესაძლებლობაა, რადგან **შარლ მიშელის** დოკუმენტში გასაგებად წერია — თუ მმართველი გუნდი **43%-იან ბარიერს ვერ დაძლევს,** მომავალი წლის გაზაფხულზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. შესაბამისად, **დასავლეთი მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ „ოცნებამ“ ეს ბარიერი ვერ დაძლიოს და ხელისუფლებაში მოვიდეს კონკრეტული ძალა კი არა, კოალიციური მთავრობა, რომელშიც ნებისმიერ მომენტშიც შეიძლება განხეთქილების შეტანა, ჩამოშლა, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, კონტროლს უფრო დაქვემდებარება.**



**კელი დეგნანმა ურცხვად (ჰო, ურცხვად) განაცხადა: ქუჩაში გამოსული ადამიანები უმცირესობაში არიან, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ლგბტ თემის მხარესააო. არის თუ არა ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა? რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამერიკის ელჩმა არც ეს იკმარა და ირაკლი ღარიბაშვილს ლიდერობა დაუწუნა, აქაოდა, პრემიერისგან ბევრად მეტს ველოდით, მან ლიდერის თვისებები ვერ გამოავლინაო**

მანამდე კი დასავლეთი ძალიან შეეცდება, საქართველო ლგბტ თემის მომხრეებად და დანარჩენებად დაყოს, ის დანარჩენი კი აუცილებლად სამშობლოს მოღალატე და „პუტინის მონა“ იქნება — თუ გარყვნილებას ტაშს არ დაუკრავ, ქვეყნის მოღალატედ გამოგაცხადებენ. ერთ საინტერესო ისტორიას გავიხსენებთ. **გოლდა მეირი** ისრაელის პრემიერად 1960-იანი წლების მიწურულს და 70-იანების დასაწყისში იყო. მან ისრაელში ვიზიტად მყოფ ამრიკის სახელმწიფო მდივან **ჰენრი კისინჯერს** სთხოვა: ისრაელს პრობლემების მოგვარებაში დაეხმარე, აღიარე, ბოლოს და ბოლოს, ებრაელი ხარო. **ამერიკაში დაბრუნებულმა კისინჯერმა წერილი გაუგზავნა ისრაელის პრემიერს: მე ჯერ ამერიკელი ვარ, მერე — სახელმწიფო მდივანი და ბოლოს — ებრაელიო. მეირის პასუხმაც არ დააყოვნა: ჩვენ ისრაელში მარჯვნიდან მარცხნივ ვკითხულობთო, მაგრამ ამან არ გაჭრა — არც კისინჯერს და არც მის შემდგომ სახელმწიფო მდივნებსა თუ პრეზიდენტებს არაფერი არ გაუკეთებიათ. სამაგიეროდ, 2017 წელს დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ოფიციალურად აღიარა და, საზოგადოდ, ტრამპი რადიკალური ლიბერალიზმის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.** ვერც ის ხვდებოდა, რისთვის სჭირდებოდა ნატოს მილიარდობით დოლარი და... ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი კი არ დამარცხდა, **ლიბერალებმა გაიმარჯვეს. სწორედ ეს გამარჯვებული ლიბერალიზმი უტევს დღეს მსოფლიოს და საქართველოს გადაყლაპვით ემუქრება.**

**ბესო ბარბაქაძე**

**„ჩვენ დღეს ფორმალური დამოუკიდებლობაც აღარ გვაქვს. შეხედეთ, ამერიკის ელჩი პირდაპირ, დამცინავად, დამამცირებლად ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ის მართავს ყველაფერს და პრემიერად წოდებულ ღარიბაშვილს ან პრეზიდენტად წოდებულ ზურაბიშვილს თითის ქნევით ესაუბრება“.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ლევან ჩაჩუა:

# ანტიქრისტეს ლეგიონები ქართველი ერის წინააღმდეგ ომს ვერ მოიგებენ!

**ამ დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობით საზოგადოებას ამაყად ამცნო, რომ ამერიკის წარმომადგენელთა პალატის აპროპრიაციის კომიტეტმა 2022 ფისკალური წლისთვის სახელმწიფოს საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა, რომელშიც საქართველოზე და მისთვის გასაწევ ფინანსურ თუ პოლიტიკურ დახმარებებზეცაა საუბარი.**

განცხადების თანახმად, კანონპროექტი „რუსეთის ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდიდან“ 290 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას გულისხმობს, რომელიც ნაწილობრივ რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის აღკვეთას, ხოლო ნაწილობრივ მისი (კრემლის) პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტების შემცირებას მოხმარდება საქართველოში. „დახმარება“ ჯამურად 132 025 000 აშშ დოლარს შეადგენს: „...ამას გარდა, კანონპროექტი ითვალისწინებს „რუსეთის ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდიდან“ 290 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვის...“

**რას ხმარდება დღეს მრავალმილიონიანი ამერიკული გრანტები და რა მიზანს ემსახურება „რუსული პროპაგანდის“ წინააღმდეგ მოქმედებები, რომლის საინფორმაციო ავანგარდშიც ლიბერალური მედიაა — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ამას წინათ ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებით გვაუწყა, რომ ამერიკის წარმომადგენელთა პალატის მიერ ფისკალური წლისთვის დამტკიცებულ კანონპროექტში საქართველოზეცაა საუბარი, რაც ჩვენთვის თურმე სერიოზული მიღწევა და კიდევ ერთი დიპლომატიური გამარჯვებაა. განცხადების თანახმად, კანონპროექტი მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებებს გულისხმობს, კერძოდ, საუბარია მილიონობით აშშ დოლარზე, რომელიც, ერთი მხრივ, „რუსული პროპაგანდის“ წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში „დემოკრატიული ინსტიტუტებისა“ და „კანონის უზენაესობის“ გაძლიერებას უნდა მოხმარდეს. რას ნიშნავს თანამედროვე ლიბერალური გაგებით „რუსული პროპაგანდა“ და „დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება?“**

— პირველ რიგში, მინდა, მწუხარება გამოვთქვა „ტვ პირველის“ ოპერატორის გარდაცვალების გამო. **ეს ძალიან სამწუხარო ამბავია და ვუსამძიმრებ ოჯახს, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ამ თემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება დიდი უსინდისობაა.** არ გაუვათ ეს, იმიტომ, რომ თბილისი პატარაა და ყველამ ყველაფერი იცის... მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. მე თავს შევიკავებ, მაგრამ ბევრისთვის ცნობილია ამ გარდაცლილი ადამიანის დამოკიდებულება ნარკოტიკების მიმართ. ისე, **პასუხისმგებლობა იმ პოლიტმექავებსაც ეკისრებათ, რომლებიც ნარკოტიკების ლეგალიზაციის ლობირებით ცდილობენ თავის დამკვიდრებას პოლიტიკაში... უდიდეს პრობლემად იქცა ნარკომოვაჭრეების მომრავლება, მათ შორის ყველაზე ჩამყაყებულ ბუდეში — ფონიჭალაში...** რაც შეეხება თქვენს შეკითხვას და იმ მილიონებს, რომლებსაც ვითომ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად და დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად ურიცხავენ მე-5 კოლონად ქცეულ ბორდელვიზიების ე.წ. ჟურნალისტებს, არასამთავრობოებს თუ პარტიებს, **ყველამ ვიცით და თავადაც კარგად ხედავენ, რომ არანაირი რუსული პროპაგანდა საქართველოში არ არსებობს. რუსული კი არა, ქართულ მართალ სიტყვას და აზრს ახშობენ. „ფეისბუკმა“ ყველა პირადი პროფილი დამიბლოკა და „ქართული იდეას“ ოფიციალური გვერდი გაგვიუქმა, რომელსაც 80 ათასამდე გამომწერი ჰყავდა. აი, ასეთი ლგბტ დიქტატურა მძვინვარებს ჩვენს ქვეყანაში,** რომელსაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით ნიღბავენ, და ასეთი დემოკრატიული „განვითარებისთვის“ იგზავნება ასობით მილიონი დოლარი მარიონეტი პოლიტიკური თუ მედიაელიტის შესანარჩუნებლად... საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის თავმჯდომარე და პარლამენტის სტატუსის მქონე ყოფილი პოლიტპატიმარი ვარ და არც ერთი ტელევიზია არ აშუქებს ჩვენს აქტივობებს. არადა, ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ეპიცენტრში ვართ მუდმივად. **საქართველოში მართლაც ღრმავდება მზარდი, შეუქცევადი ანტიდასავლური განწყობები, მაგრამ ამის წყარო არა რუსული, არამედ თავსმოხვეული ლიბერასტული პროპაგანდაა.**

ჩვენი ერისთვის მიუღებელია გარყვნილი ცხოვრების ნორმად გამოცხადება და დაკანონება, რომელსაც ასე ძალადობრივად გვახვევენ თავს დასავლური ელიტა და მათი დიპლომატიური მისიები. ამ მცდელობებმა ბოლო წლებში განსაკუთრებული რეპრესიული ხასიათი მიიღო და ქართველ საზოგადოებას, უბრალოდ, სხვა გზა აღარ დაუტოვა, გარდა ფიზიკური თავდაცვისა ამ ყველაფრის წინააღმდეგ. სხვათა შორის, რუსული პროპაგანდის რაღაც ჯადოსნურ შესაძლებლობებზე დასავლეთშიც საუბრობენ. **წარმოგიდგენიათ, ის, რომ, მაგალითად, უნგრეთში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება კონსერვატიული ძალების გავლენა, იმავე პოლონეთში, საფრანგეთში, იტალიაში და ა.შ. და ეს თურმე რუსული პროპაგანდის შედეგი ყოფილა...**

**— თავის დროზე ტრამპის გაპრეზიდენტებასაც ამ პროპაგანდის შედეგად აცხადებდნენ.**

— არანაირი რუსული პროპაგანდის შედეგი არ არის ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება ანტილიბერალური განწყობების გაძლიერების სახით. პირიქით, თუ ლიბერასტების ნარატივს გავყვებით, გამოდის, რომ რუსეთი ასაზრდოებს საღ აზრს, რომ სოდომია ცოდვა და გარყვნილებაა, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობაა, რომ ქალი ქალს უნდა ჰგავდეს და კაცი — კაცს, რომ ყველამ უნდა დაიცვას თავისი ეროვნული იდენტობა და არა მსოფლიო გლობალისტების მიერ ნაკარნახევი ზნედაცემული ცხოვრების წესი. რაც შეეხება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, 30 წლის განმავლობაში ჩვენ კარგად დავინახეთ, რას ნიშნავს მათთვის დემოკრატია. ეს არის ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ფიზიკური შეტევები მაღალ იერარქებზე, შევარდნა ეპარქიებში, გეიაღლუმების ჩატარების მცდელობა, „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, იუვენალური ფაშიზმი, რომელსაც ახლა იმისთვის იყენებენ, რომ მშობლებს, ოჯახებსა და ეკლესიას წაართვან ბავშვები და ა.შ. **აი, ეს მიმართულებები რომ გაძლიერდეს და ფიზიკური ძალადობის იმ ავადსახსენებელი 9-წლიანი ნაცტერორის რეჟიმში დააბრუნონ ქვეყანა, ამისთვის ირიცხება ასეულობით მილიონი,** მაგრამ ნებისმიერი გრანტი იქნება კონტრპროდუქტიული, ისევე, როგორც 30 წლის განმავლობაში დახარჯული მილიარდები, იმიტომ, რომ ღმერთთან ომი არავის მოუგია. ქრისტეს ეკლესიასთან გამოცხადებული ომი კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ იმპერიას არ მოუგია და ვერც მოიგებს!

სახარებაში წერია: ეკლესია ლოდია თავკიდული. ვინც ამ ლოდს შეეჯახება დაიმსხვრევა, ხოლო, ვისაც ეს ლოდი დაეცემა, გასრესს! **ქრისტესთვის ჯვარცმული ქართველი ერის წინააღმდეგ ბრძოლა იმავე უფალსა და ღვთისმშობელთან ომია. საქართველო ქრისტეს დედულეთია, რომელშიც ანტიქრისტე ტახტს ვერ დაიდგამს!**

**— საქართველოს ბოლო თვის განმავლობაში დასავლურმა ინსტიტუციებმა მილიარდობით დოლარი გამოუყვეს, მათ შორის ახლახან საფრანგეთის განვითარების სააგენტომ — 483 მილიონი ევრო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 330 მილიონი დოლარი; თანხები გამოყო მსოფლიო ბანკმა, სავალუტო ფონდმა და ა.შ. ეს ყველაფერი საქართველოს კიდევ უფრო დამოკიდებულს ხომ ხდის დასავლეთზე?**

— ეს ყველაფერი არათუ დამოუკიდებულს, არამედ ლიბერალურ დასავლეთზე მიბმულსა და უფლებააყრილს ხდის ჩვენს ერსა და სახელმწიფოს. ჩვენ დღეს ფორმალური დამოუკიდებლობაც აღარ გვაქვს. **შეხედეთ, ამერიკის ელჩი პირდაპირ, დამცინავად, დამამცირებლად ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ის მართავს ყველაფერს და პრემიერად წოდებულ ღარიბაშვილს ან პრეზიდენტად წოდებულ ზურაბიშვილს თითის ქნევით ესაუბრება.**

რაც შეეხება ე.წ. ფულად დახმარებას, ეს ფინანსური ნაკადები იმისთვისაა, რომ აშკარად იგრძნეს გავლენის დაკარგვის საფრთხე. აი, ეს არის თავი და თავი, თორემ დღევანდელი დასავლეთი და დასავლური საზოგადოება რა ფასეულობებითაც ცხოვრობს, ჩვენ ვიცით. **საშუალო სტატისტიკური ევროპელი მოხუცთა თავშესაფარში მიბარებულ მშობელს, იქ განსაზღვრული მენიუს გარდა, არ უტოვებს ზედმეტ ცენტს, რომ ან ყავის დამატება მოითხოვოს, ან სხვა რამ... აქ კი მილიონებს გზავნიან და ნუთუ არსებობენ საქართველოში ისეთი ბრიყვები, რომლებსაც ეს მილიონები კეთილი ბიძიების საჩუქარი ჰგონიათ?! ჩემი აზრით, არა...**

**— მიუხედავად იმისა, რომ 5-6 ივლისის მოვლენებმა ქვეყანა, ფაქტობრივად, უმართავ პროცესებამდე მიიყვანა და საზოგადოება უკიდურესად გაალიზიანა ლიბერალური ჯგუფების პროვოკაციულმა ქმედებებმა, ეს ჯგუფები კვლავ განაგრძობენ დესტრუქციულ ქმედებებს. ხდება დაძაბულობის ინსცენირება სხვადასხვა მეთოდით... რა არის ამ ყველაფრის მიზანი და როგორ შეიძლება, განვითარდეს მომავალში პროცესები?**

— ძნელია, წინასწარ თქმა, რა მოხდება ხვალ-ზეგ, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **გარდაუვალი კრახისთვის განწირული, დახავსებული ლიბერალური ინტერნაციონალი ყველაფერს გააკეთებს და ნებისმიერ სიბინძურეზე წავა, რათა ქვეყანა არიოს, საზოგადოებაში დაძაბულობამ იმატოს და უმართავი გახდეს პროცესები,** მაგრამ ნებისმიერი მათი მცდელობა კონტრპროდუქტიულია. ეს პოლიტ და მედიაბალასტი იმდენად მარგინალურია, რომ საზოგადოების არანაირი მხარდაჭერა არ აქვს. პირიქით, ისე შეაზიზღეს ხალხს თავი, რომ ქუჩაში მარტო გამოსვლაც კი დისკომფორტს უქმნით. ოდნავი მხარდაჭერა რომ ჰქონდეთ, რაც ახლა ხდება, მონაგონი იქნებოდა...

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ გამოვიდეს დასავლეთის კოლონიური პოლიტიკის ზეგავლენიდან და მუდმივად მათ გრანტებზე, მათ დაფინანსებებზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი?**

— საზოგადოების უმრავლესობას უკვე არ სჭირდება ახსნა, ვინ მართავს დღეს ქვეყანას და რა ძალების ბატონობის ქვეშ ვართ 30 წლის განმავლობაში. ამიტომ **უნდა მოხდეს მთელი ამ ჩამპალი, უცხოეთიდან მართული სისტემის ჩანაცვლება მოუსყიდავი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ქართულ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ძალით.**

ე.წ. ლიბერასტული პოლიტიკური დღის წესრიგი მთლიანად შესაცვლელია.

რაც შეეხება საქართველოში გავლენის შესანარჩუნებლად წამოსულ მრავალმილიონიან „დახმარებებს“, ყველა დროში ყველაზე სტაბილური ვალუტა იყო 30 ვერცხლი, რომელსაც მოღალატეები იღებდნენ გარე მტრებისგან. **ამ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ყველა „დახმარება“, რომლებსაც სოდომიზაციის დამძალებელი ძალებისგან იღებენ, სწორედ 30 ვერცხლია,** ამიტომ აქამდე არსებულ ყველა მოღალატე ხელისუფლებაზე უფრო ცუდად დაამთავრებენ. ამაში დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ ძალიან მალე მოხდება დიდი კონსერვატიული ფლანგის ჩამოყალიბება. ეს იქნება ბირთვი, რომელიც უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში და ყველაფერს მოაგვარებს ისე, როგორც ჩვენი ერის ღირსებასა და სასიცოცხლო ინტერესებს სჭირდება.

**«ძალიან მალე დიდი კონსერვატიული ფლანგი ჩამოყალიბდება. ეს იქნება ბირთვი, რომელიც უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში და ყველაფერს მოაგვარებს ისე, როგორც ჩვენი ერის ღირსებასა და სასიცოცხლო ინტერესებს სჭირდება»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოპოზიციაც და პოზიციაც ამოზრდილები არიან ლიბერასტებისგან, ასევე, ამ კასტას მიეკუთვნებიან არასამთავრობოები და მედია, რომლებიც ქმნიან ამინდს და ეს ყველაფერი დისონანსშია აბორიგენ მოსახლეობასთან. ზემოჩამოთვლილ კასტის წარმომადგენლებს მხოლოდ ის აერთიანებთ, რომ უცხოეთიდან ფინანსდებიან, მათ იდეოლოგია და ფასეულობები არ გააჩნიათ, მაგრამ ხელთ აქვთ ბერკეტები, რომლებითაც ადგილობრივ მოსახლეობას უპირისპირდებიან“.**



### ხათუნა საგინაშვილი:

# აშკარაა ლიბერალური უმცირესობის დიქტატის დამყარების მცდელობა საქართველოს აბორიგენ მოსახლეობაზე

## «ძალადობა იწყება იქ, სადაც ჩემი პირადი უფლებები ირღვევა და რასაც მედია აბორიგენი მოსახლეობის მიმართ სჩადის!»

**5 ივლისს თბილისის ცენტრში ე.წ. ლგბტქ+ პრაიდის ჩატარების წინააღმდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი გამოვიდა, რასაც წინასწარ აცხადებდნენ კიდეც და რის გამოც ქვეყნის პრემიერმა ე.წ. პრაიდის ორგანიზატორებს მოუწოდა, დაგეგმილი ღონისძიება გაეუქმებინათ. პრაიდი არ ჩატარდა, თუმცა ხალხის შეხლა-შემოხლა მაინც მოხდა, პროტესტანტების სამიზნე ჟურნალისტები აღმოჩნდნენ. ამან დიდი გაღიზიანება გამოიწვია ლიბერალთა სამყაროში, ეს გაღიზიანება კიდევ უფრო გამძაფრდა, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად მოულოდნელად „ტვ პირველის“ ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა, გარდაიცვალა.**

„ისეთ ვითარებაში, როდესაც ხდება ძალადობა საქართველოს მოქალაქეების და ჟურნალისტების წინააღმდეგ, ველოდით, რომ პრემიერმინისტრი სიტუაციის დარეგულირებაში წამყვან როლს ითამაშებდა. შესაბამისად, იმედგაცრუებულნი ვიყავით, როდესაც იმ დღეების განმავლობაში ვერ ვნახეთ ლიდერის მეტი გადამწყვეტი მოქმედება“, — განაცხადა ამერიკის ელჩმა **კელი დეგნანმა.** ანალოგიური შინაარსის განცხადებები გააკეთეს ევროპელმა ე.წ. პარტნიორებმაც. ამის მიუხედავად, „ევროკავშირმა საქართველოს დასახმარებლად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: 3.9 მლრდ ევროს ოდენობის დახმარება ერთ-ერთი ნაწილია იმ მთლიანი პაკეტის, რომელიც აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონის ქვეყნებისთვის არის გამოყოფილი“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ნათია თურნავამ.**

აღნიშნული დახმარების პაკეტის შესახებ თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა **ოლივერ ვაჰრეიმ** პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ხათუნა საგინაშვილი გვესაუბრება.**

— ყველა გონიერ ადამიანს შეუძლია გააანალიზოს, რა მოცემულობა გვაქვს: ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ხდება ეროვნული და სარწმუნოებრივი ღირებულებების ნიველირება და ყურით მოთრეული ფსევდოღირებულებების დამკვიდრება. ეს ერების აღრევა და ერთი კონგლომერატის შექმნაა, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკის მეტრებმა ახალი მსოფლიო წესრიგი უწოდეს. ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიოში, მიმართულია ეროვნული, რელიგიური, სარწმუნოებრივი, ჭეშმარიტი, ყავლგაუსვლელი ღირებულებების წინააღმდეგ, მის გაუფასურებას ცდილობენ, ამიტომ უტევენ ეკლესიას, რომელიც არის ბასტიონი. **ეკლესია ქადაგებს, რომ მართლმადიდებლურ ქვეყნებში დაუშვებელია ცოდვის პოპულარიზაცია, მაგრამ ახალ მსოფლიო წესრიგს ახლავს გაფეტიშება ფსევდოღირებულებებისა, როგორიცაა ვითომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ჩვენ ზუსტად ამ ფაქტის წინაშე დავდექით რამდენიმე დღის წინათ. 5 ივლისს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ცენტრში ორი განსხვავებული აზრისა და მენტალიტეტის მქონე ადამიანები შეეჯახნენ ერთმანეთს.**

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ტრადიციული და ეროვნული ღირსებების მქონეა. ამ ქვეყანაში, ასევე, არიან „ახალი“ ქართველები, რომლებიც, ძირითადად, უცხოეთიდან არიან დაფინანსებულნი, მოღალატე ე.წ. ოპოზიცია და, საერთოდ, პოლიტიკოსები. **პოლიტიკოსებს შორის განსხვავება სიმბოლურია — ოპოზიციაც და პოზიციაც ამოზრდილები არიან ლიბერასტებისგან, ასევე, ამ კასტას მიეკუთვნებიან არასამთავრობოები და მედია, რომლებიც ქმნიან ამინდს და ეს ყველაფერი დისონანსშია აბორიგენ მოსახლეობასთან.**

ზემოჩამოთვლილ კასტის წარმომადგენლებს მხოლოდ ის აერთიანებს, რომ უცხოეთიდან ფინანსდებიან, მათ იდეოლოგია და ფასეულობები არ გააჩნიათ, მაგრამ ხელთ აქვთ ბერკეტები, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას უპირისპირდებიან.

გვიჩიჩინებენ, რომ დემოკრატია არის უმცირესობების დაცვა, მათია ძალაუფლება, უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერა, ფული. ე.წ. უმცირესობას აქვს „ამქვეყნიური კეთილდღეობა“ და ცდილობენ თავისი დიქტატის დამყარებას, საკმაოდ წარმატებულადაც. თავს გვახვევენ ნებას, რომელიც, შესაძლოა, არც იყოს მათი ნება შინაგანად, მაგრამ ფულის ამბავია, ეს იუდას საქციელის განმეორებაა... აშკარაა ლიბერალური უმცირესობის დიქტატის დამყარების მცდელობა საქართველოს აბორიგენ მოსახლეობაზე.

„ტვ-პირველის“ ჟურნალისტი **ინგა გრიგოლია,** ლიბერასტული ტელევიზიის მოჰიკანი, თავის ეთერში საუბრობდა იმაზე, რომ, თურმე, ამ ქვეყანაში ჩაგრავენ სოდომური ცოდვის მიმდევარ ადამიანებს, თუმცა ის სოდომურს არ უწოდებს ამ ცოდვას. საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა. **როდესაც გერმანიაში ლეგალურ დასაქმებაზე დაიწყო საუბარი, ჩვენი მოქალაქეების ძალიან დიდმა ნაწილმა წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მოატყუეს.** ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს ძირძველი მოსახლეობა, მათ შორის, ახალგაზრდები, გარბიან ამ ქვეყნიდან და ასეთ ვითარებაში **სირცხვილია ინგა გრიგოლიას წუხილი ლგბტ ადამიანების ბედზე. თვით გრიგოლიას ტელევიზიაში არც ერთი კონსერვატორი ჟურნალისტი არ არის.**

რამდენიმე ხნის წინათ საცდელად სწორედ მათ ტელევიზიაში შევიტანე პროექტი, მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემნაირი მენტალობის ადამიანს გადაცემას არ გააკეთებინებდნენ და შესაბამისი პასუხიც მივიღე ტელევიზიის დამფუძნებლისგან — „ჩვენ ახალ პროექტებს ვერ ვაფინანსებთ“. არადა, 5 წელიწადში ტელევიზია „აღორძინდა“. დოკუმენტები არსებობს, რომ **სოროსი** აფინანსებს.

ჩვენს ქვეყანაში შეზღუდულია წესიერი, საღად მოაზროვნე, აბორიგენი მოსახეობის უფლებები და, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვებზე, მაგრამ მავანნი ცდილობენ წააქეზონ პედერასტის აზრი და ქცევა.

**— 5 ივლისს მოხდა შეხლა-შემოხლა და ყველაზე მეტად დაზარალდნენ ჟურნალისტები და ოპერატორები. „ტვ პირველის“ ოპერატორი გარდაიცვალა 11 ივლისს... ერთმა საკმაოდ ცნობილმა ჟურნალისტმა თქვა: „დასასჯელები არიან იმ ტელევიზიების რედაქტორები და ხელმძღვანელები, რომელთა ჟურნალისტებიც და ოპერატორებიც აქციაზე ცემეს“... ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებაზე? დღეს ეს მთავარი თემაა...**

— ძალადობა დასაგმობია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მძიმე შედეგი დგება. აუცილებლად გამოსაკვლევია, ვინ ძალადობდა ჟურნალისტებზე. მრევლთან ერთად სასულიერო პირები იდგნენ აქციაზე, ამიტომ ძალადობა იქ არ უნდა ყოფილიყო. **ვფიქრობ, იქ იყვნენ პროვოკატორები, რომლებმაც ეს ცემა-ტყეპა გააჩაღეს. სამწუხაროა ისიც, რომ ჟურნალისტები გაწვრთნილები არიან იმ მიმართულებით, როგორ გააშუქონ პროცესები, რათა მაყურებელს უარყოფითი ემოცია გადასცენ და უარყოფითი განცდები შეუქმნან. პროცესების გაშუქების მათეული მანერა აღიზიანებს ხალხს. ამაზე ისინი არ ფიქრობენ... ძალადობა იწყება იქ, სადაც ჩემი პირადი უფლებები ირღვევა, რასაც მედია აბორიგენი მოსახლეობის მიმართ ჩადის.**

არავინ არ ლაპარაკობს იმაზე, რომ შესაძლოა, 5 ივლისს მომხდარი კარგად დაგეგმილი პროვოკაცია იყო. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ინგა გრიგოლიას ეთერში გასული სიუჟეტი, რომელშიც **გუბაზ სანიკიძე** ამბობს: მე წინასწარ ვიცოდი, რომ შტურმი უნდა მიეტანათ მასმედიასა და ჟურნალისტთა კორპუსზეო...

**«ვფიქრობ, იქ იყვნენ პროვოკატორები, რომლებმაც ეს ცემა-ტყეპა გააჩაღეს. სამწუხაროა ისიც, რომ ჟურნალისტები გაწვრთნილები არიან იმ მიმართულებით, როგორ გააშუქონ პროცესები, რათა მაყურებელს უარყოფითი ემოცია გადასცენ და უარყოფითი განცდები შეუქმნან. პროცესების გაშუქების მათეული მანერა აღიზიანებს ხალხს. ამაზე ისინი არ ფიქრობენ... ძალადობა იწყება იქ, სადაც ჩემი პირადი უფლებები ირღვევა და რასაც მედია აბორიგენი მოსახლეობის მიმართ სჩადის»**

თინეიჯერი პროკურორებით, მოსამართლეებით, გამომძიებლებით რომ დააკომპლექტეს ძალოვანი სტრუქტურა, სწორედ ამ თინეიჯერებს იმ საღამოს, როდესაც გუბაზ სანიკიძემ ფაქტობრივი ჩვენება მისცა ტელეეთერში, უნდა დაეკითხათ ის, მაგრამ არ დაუკითხავთ.

ყველამ იცოდა, რომ 5 ივლისს ეკლესია პარაკლისს გეგმავდა მრევლთან ერთად და პარალელურად იგეგმებოდა კონტრაქციაც, ამიტომ ვილაცების ცხელ თავებში მოიხარშა, დაგეგმილიყო პროვოკაციები და მომხდარიყო ეკლესიის დისკრედიტაცია.

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართავ პროკურატურას: თუ აქამდე აქლემის ყურში გეძინათ, **სასწრაფოდ დაიბარეთ გუბაზ სანიკიძე და ათქმევინეთ, საიდან იცოდა, რომ იგეგმებოდა ჟურნალისტებსა და მედიაზე ძალადობა. გუბაზ სანიკიძეს არ უთქვამს ეს შემთხვევით, მას ამის თქმის საფუძველი ჰქონდა.**

ძალადობა დასაგმობია, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ეს და დასაგმობია ასევე მედიისგან მომდინარე ძალადობაც. **მედია ცდილობს, ადამიანებს ტვინები გამოურეცხოს, ჩვენ მიკერძოებული, გაყიდული მედია გვყავს, ჯობია, მათ საკუთარი თვალში ამოივსონ დირე და მერე ეძებონ სხვის თვალში ბეწვი.**

5 ივლისს რაც მოხდა, იმ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება მედიასაც, საზოგადოების უკიდეგანო აგრესია მათი მუშაობის პრინციპის გამოა, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ძალადობა ჩემთვის მიუღებელია.

ძალიან ვნერვიულობ — ხომ არ მოკლეს ლაშქარავა პროტესტისთვის საბაბის შესაქმნელად? თუმცა ჯერ, ალბათ, უპრიანი იქნება, გამოძიების შედეგებს დაველოდოთ და უმანდატოდ დარჩენილი გიგი უგულავასავით არ ვისაუბროთ. ის და მისი გუნდის წევრები აშკარად ცდილობენ, ივაჭრონ ამ ტრაგედიით, მღვრიე წყალში თევზის დაჭერა სურთ და ითხოვენ მთავრობის გადადგომას.

**— საქართველოს მთავრობა, ერთი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება ევროპულ და ამერიკულ რეკომენდაციებს. მთავრობას უთხრეს, ჩაატარეთ ელგბტქ+ აღლუმი, მაგრამ არ ჩაატარეს; უთხრეს, არ დანიშნოთ მოსამართლეებიო, მაინც ნიშნავენ. გაბრაზებულია ევროპაც და ამერიკის ელჩიც, მაგრამ 3,9 მილიარდი ევროთი მაინც გვეხმარებიან. ამით ჩვენი ხელისუფლების და მასთან ერთად ქვეყნის მოსახლეობის, ასე ვთქვათ, მოსყიდვა სურთ?**

— თუკი 3.9 მილიარდი მართლა მოგვცეს, ჩვენ კარგს არაფერს არ უნდა ველოდოთ! **საქართველოს ხელისუფლებამ ანტიდისკრიმინაციული კანონი დასავლეთის ზემოქმედებით მიიღო. ამ კანონის მიღების საპირწონედ ჩვენებს ევროკავშირში გაწევრება დაუყენეს... როდესაც ამხელა ტრანშზეა საუბარი, მას აუცილებლად მოჰყვება მისი მასშტაბის პირობები.**

ყველამ კარგად ვიცით, რომ ფულს, რომელიც გრანტის, ტრანშის თუ სესხის სახით მოდის, ინსტრუქციები მოჰყვება და ამ ინსტრუქციებში არ არის საუბარი სოფლის მეურნების აღორძინებაზე, ფაბრიკა-ქარხნების აშენებაზე, ინდუსტრიის განვითარებაზე... ჩვენ გვევალება ფასადის შეღებვა, შადრევნის გაკეთება, ასფალტის დაგება... უცხოეთიდან შემოსული ფული დივერსიაა, ამ ფულით დამოკიდებულნი, დამორჩილებულნი უნდა ვიყოთ, რადგან ასე უფრო მარტივი იქნება ჩვენით მანიპულირება. საქართველოს განვითარების გზებს ჩვენ არ ვსაზღვრავთ, ვერ გავხდით და ვერც გავხდებით დამოუკიდებელი ქვეყანა. საქართველოს თავისით არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია. როგორც პილატე, ისე სხედან საქართველოში ელჩები, გვიქნევენ თითს და მერე შედეგებზე ხელებს იბანენ.

**«მივმართავ პროკურატურას: დაიბარეთ სასწრაფოდ გუბაზ სანიკიძე და ათქმევინეთ, საიდან იცოდა, რომ იგეგმებოდა ჟურნალისტებსა და მედიაზე ძალადობა. გუბაზ სანიკიძეს არ უთქვამს ეს შემთხვევით, მას ამის თქმის საფუძველი ჰქონდა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ერთადერთი ეროვნული პროექტი გურამ ქართველიშვილის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“, საზმაუწყებლის ეთერში გადიოდა, მაგრამ ქოცნების ხელისუფლებამ სასწრაფოდ დახურა. ამ ცინიზმსა და სულში ჩაფურთხებას, უილაჯო მრისხანებით უყურებდა ქართველი კაცი. უილაჯო, რადგან ყველა ტელევიზიას ქოცები და ნაცები აკონტროლებენ და ეროვნულად მოაზროვნე რესპოდენტებს არ აჭაჭანებდნენ. ამიტომ კაციშვილი არ იყო ხმის გამცემი ამ შეურაცხყოფის გამო და ვიმეორებ: 5 ივლისს სწორედ შეურაცხყოფით დაგროვილმა მრისხანებამ ამოხეთქა.**



ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს სხვა დროა, ამიტომ «ჯაჯა»-ს არ მოგინყობთ, მაგრამ არც გეიაღლუმს არ ჩაგატარებინებთ

**აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის ეპისტოლეს, რომელიც 1767 წელს გამოუცია, და რომელიც 15 მუხლისგან შედგება, მეფე ერეკლეს სიტყვები აქვს დართული:**
**„ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ (იგულისხმება დოკუმენტში ზემოთ ჩამოთვლილი ეპისტოლეს 15 მუხლი), რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი ღვთისგან მარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს ან მომწამლელნი, ან კაცის შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა-დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება) დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“ (წყარო: კორნელი კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი 1, თავი — კანონიკა, გვერდი 522).**

წინამდებარე წერილის ეპიგრაფად მეფე ერეკლეს სიტყვები იმ ადამიანების გასაგონად წავუმძღვარე, რომლებმაც ეს დღეებია, რომ იტყვიან, „თავი წაგვჭამეს“ ქართველთა ტოლერანტობაზე ე.წ. თბილისი პრაიდის კონტექსტში საუბრით. მიმდინარე პროცესებში სხვებისთვის ტონის მიმცემი, გნებავთ, რომ იტყვიან, ერთ-ერთი პირველი ვიოლინო, ჯერ კიდევ 4 ივლისს გაკეთებული განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი, დიდი ილიას მკვლელი მენშევიკების სულიერი მემკვიდრე, **სალომე ზურაბიშვილი** აღმოჩნდა. პირველ რიგში სწორედ ამ ლიბერასტი (წაიკითხე, ანტიეროვნული) ქალბატონის გამო „შევაწუხე“ იმქვეყნად „პატარა კახის“ სული, რათა საქართველოს პრეზიდენტისთვის მეფე ერეკლეს ციტირებით განმემარტა, რომ ქართველთა ტოლერანტობა არ ნიშნავს ყველას და ყველაფრის (მით უმეტეს — „ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი“) ანუ გარყვნილება-გათახსირების უპირობოდ მიღებას! ახლა მოდურია იმ ხალხის ძებნა-მხილება, რომლებმაც წააქეზეს ჟურნალისტებზე ტოტალური ძალადობა, მაგრამ არავინ არ ამხელს იმ უწყებებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, აქეზებდნენ „თბილისი პრაიდის“ ხელმძღვანელობას, რათა შემუშავებული გეგმიდან არაფერი არ დაეთმოთ ხელისუფლებისთვის და, რაც მთავარია, რიგითი ადამიანებისთვის, რომლებსაც წლების განმავლობაში ტვინებს ურეცხავდნენ, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

იმის მაგივრად, რომ პრემიერის, საქართველოს დედა-ეკლესიის, გნებავთ, კათალიკოს-პატრიარქის პოზიციისთვის მხარი დაეჭირა, რომ „თბილისი პრაიდის“ ჩატარება მიზანშეუწონელი იყო, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის (და არა მხოლოდ ეროვნებით ქართველებისთვის), ამ ყველაფრის მცოდნე, დიდი ალბათობით, ნეოლიბერალების გავლენის აგენტმა სალომე ზურაბიშვილმა, უკაცრავად და, აბდაუბდა ლაპარაკი დაიწყო ე.წ. გამოხატვის უფლებაზე, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთ ღირებულებაზე. დიახ, გავლენის აგენტის ლაპარაკი უნიჭოდ შენიღბული მხარდაჭერა იყო თბილისი პრაიდისა, რომლის ჩატარების წინააღმდეგი, ვიმეორებ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იყო. ერთი შეხედვით უმძიმეს ბრალდებას ვუყენებ საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ ჩემს ვარაუდებს მტკიცე საფუძველი აქვს — საფრანგეთსაც ჰყავს სპეცსამსახურები და დიპლომატიურ სამსახურში მუშაობა ამა თუ იმ ქვეყანაში, როგორც წესი, ავტომატურ „დავერბოვკებას“ ნიშნავს.

**1 ივლისს პრაიდის კინოჩვენებაზე, რომელიც მოგვითხრობდა, როგორ ჩაგრავენ საქართველოში ლგბტ პირებს, საქართველოში მოქმედი დიპკორპუსის დემონსტრაციული დასწრება იყო თუ არა ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მიერ ქართველი ერის შეურაცხყოფა და თბილისი პრაიდის წაქეზება?**

4 ივლისი აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეა და ზურაბიშვილის ზემოხსენებული განცხადება და პრაიდის მიერ ორგანიზებული კინოჩვენებაც და (ვერშემდგარი) მარშიც „შემთხვევით“ დაემთხვა აშშ-ის დღესასწაულის თარიღს — ამ „შემთხვევითობებით“ საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მონური ერთგულება საქართველოს დე ფაქტო მმართველ აშშ-ის ელჩს საქართველოში **კელი დეგნანს,** ხოლო ანალოგიური სიამოვნება მიიღო ე.წ. კოლექტიურმა დასავლეთმა „თბილისი პრაიდის“ ხელმძღვანელობისგან, რომლებმაც ფიცი დადეს დასავლელი პატრონების წინაშე, რომ ავანსად გაცემული მწვანე კუპიურების სანაცვლოდ, აუცილებლად წაბილწავდნენ ე.წ. ღირსების მარშით საქართველოს მრავალჭირნახულ მთავარ გამზირს.



## რომელ ნორმალური ადამიანი შეიძლება ამართლებდეს ცემა-ტყეპას, მაგრამ... 5 ივლისს სწორედ შეურაცხყოფით დაგროვილმა მრისხანებამ ამოხეთქა

4 ივლისს კიდევ ერთი „დამთხვევა“ მოხდა — ამჯერად იანკებისთვის უსიამოვნო — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე **დავით თარხან-მოურავმა** აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს განაცხადა, რომ **პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და მისი ადმინისტრაცია საქართველოში მათ მიერ დაფინანსებული „ენჯეოებისა“ და საპატრიარქოში ჩანერგილი გავლენის აგენტების („მეუფე“ პეტრეს და „მეუფე ყანდურების“) ხელით, ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და პირადად მის უწმინდესობასას, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს...** ზემოთქმული მეც 4 ივლისს დავწერე. ვიფიქრე, ამდენ დამთხვევევას, მართლა დამთხვეული თუ დაიჯერებს-მეთქი, ვიფიქრე და შემდგომი მოვლენების მოლოდინში კალამი (ლეპტოპი) გადავდე და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დავუბრუნდი.

**„ძალადობას ვემიჯნები!“** — 5 ივლისს განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ყველა, ჩინიანი თუ უჩინო, საუბარს ამ სიტყვებით იწყებს. შესაბამისად, ისე გაცვდა ეს ფრაზა, რომ სურვილი არა მაქვს, მეც ამით დავიწყო... **რომელ ნორმალური ადამიანი შეიძლება ამართლებდეს იმ ცემა-ტყეპას და თუნდაც ლიბერასტული ოფისების დარბევას, მაგრამ...** რამდენჯერ აღმინიშნავს ამ ერთი სიტყვის, „მაგრამ“-ის ლამის მაგიური ძალა, რომელიც ხშირად ყველაფერს თავდაყირა აყენებს ხოლმე და აი ახლაც, მომხდარის გამართლება არა, მაგრამ მისი ახსნა შემიძლია. რომ იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს.

ნაცისტების მიერ გავრცელებულ „პარაშაზე“, პატრიარქის მოსაყდრე **მეუფე შიომ** 300 ლარი დაურიგა მრევლს და ჟურნალისტებს მიუქსიაო, არაფერს ვიტყვი და მომხდარს იმით ავხსნი, რომ ეს იყო წლების განმავლობაში დაგროვილი ბოღმის ამოხეთქვა იმ ტელევიზიების მიმართ, რომელთა სარედაქციო პოლიტიკა ნიშნავდა ყოველივე ქართულის, ეროვნულის, მართლმადიდებლურის, გმირ მამა-პაპათა (და სხვა მრავალ ღირებულებათა, რომლებითაც დღემდე მოვედით) განმაქიქებელი სიუჟეტების და სკეტჩების მომზადება-ტირაჟირებას. **ერთადერთი ეროვნული პროექტი გურამ ქართველიშვილის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ საზმაუწყებლის ეთერში გადიოდა, მაგრამ ქოცნების ხელისუფლებამ სასწრაფოდ დახურა. ამ ცინიზმსა და სულში ჩაფურთხებას, უილაჯო მრისხანებით უყურებდა ქართველი კაცი. უილაჯო, რადგან ყველა ტელევიზიას ქოცები და ნაცები აკონტროლებენ და ეროვნულად მოაზროვნე რესპოდენტებს არ აჭაჭანებდნენ. ამიტომ კაციშვილი არ იყო ხმის გამცემი ამ შეურაცხყოფის გამო და ვიმეორებ: 5 ივლისს სწორედ შეურაცხყოფით დაგროვილმა მრისხანებამ ამოხეთქა.**

საქართველოში დამოუკიდებელი ტელევიზიები არ არსებობს. ისინი „ნაცმოძრაობის“ სპეცსამსახურების ფუნქციებს ასრულებენ, ხოლო იქ მომუშავენი ჟურნალისტები კი არა, აგენტები არიან და ამიტომაც გამოხატა მოსახლეობამ 5 ივლისს მათ მიმართ „სიყვარული“ ძალადობრივი და დასაგმობი მეთოდებით, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოტივაციით, რომელიც ახსნას ექვემდებარება. რუსული კვალი და ინტერესი — ეს არის ის, რომლითაც ქოც-ნაცები ყველა წუმპედან ამოსვლას ცდილობენ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი — რუსეთის კანონმდებლობით აკრძალულია გეიპროპაგანდა და აღლუმები. ჰოდა, რომელი ლოგიკით უნდა უწყობდეს ხელს კრემლი „თბილისი პრაიდის“ ჩატარებას? მით უმეტეს, რომ დღევანდელი გეოპოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე რუსეთს, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ (ვისთვის, როგორ), საქართველოსთვის არ სცალია, რადგანაც შავი ზღვა ნატოს კრეისერებითაა სავსე, მაგრამ ნატო (აშშ) უბატონოდ ხმას ვერ სცემს რუსეთს. რუს დათვს ვუჩხიკინებთო, —შავ ზღვაში ახლახან მომხდარ ინციდენტზე „ლადაობს“ ბრიტანეთის პრემიერი, რაზეც ვლადიმერ პუტინმა სავსებით სერიოზულად მიუგო, რომ „ჩხიკინის“ განმეორების შემთხვევაში, ერთი რაკეტით ჩავძირავთ ნებისმიერი ქვეყნის კრეისერსო...

**დავით მხეიძე**

**საქართველოში დამოუკიდებელი ტელევიზიები არ არსებობს. ისინი «ნაცმოძრაობის» სპეცსამსახურების ფუნქციებს ასრულებენ, ხოლო იქ მომუშავენი ჟურნალისტები კი არა, აგენტები არიან და ამიტომაც გამოხატა მოსახლეობამ 5 ივნისს მათ მიმართ «სიყვარული» ძალადობრივი და დასაგმობი მეთოდებით, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, მოტივაციით, რომელიც ახსნას ექვემდებარება**

**P.S. ვგმობ ძალადობას, მაგრამ ის ბიჭი ნარკოტიკის ჭარბი დოზით მიღებამ იმსხვერპლა... ალბათ, გახსოვთ, როგორ ითხოვდა სააკაშვილი კიევიდან აქციაზე ვინმეს მკვლელობას. კარგი იქნება, თუ მოკლული ფეხმძიმე ქალი იქნებაო. მაშინ ეს ნომერი ჩაუვარდა ნაცების ბელადს. სამაგიეროდ, ახლა გაუმართლა — ნაცემი ლექსო ლაშქარავა მოულოდნელად გარდაიცვალა. მოულოდნელად, რადგან წინა დღეს ტელეოპერატორმა „იმედს“ ინტერვიუ მისცა. მიუხედავად ამისა, ე.წ. ოპოზიციამ ახალგაზრდა კაცის გარდაცვალება 5 ივლისს მის ცემას დაუკავშირა. ამის გამო შსს იძულებული შეიქნა, გარდაცვლილის გადაადგილების ვიდეოკადრები და ქიმიური ექსპერტიზის შუალედური დაკვნა გაევრცელებინა. ცხადი შეიქნა, რომ ლაშქარავა ნარკოტიკის უზომო დოზამ იმსხვერპლა და არა ცემისას მიღებულმა ტრავმამ. როგორც შვილმკვდარმა მამამ, მინდა, გულწრფელად მივუსამძიმრო შვილმკვდარ დედას და ვთხოვო, რომ ეს უდიდესი ტრაგედია არ აქციოს პოლიტიკური მანიპულაციების საგნად. „ოცნების“ დიდი თაყვანის მცემელი რომ არ ვარ, ქვეყანამ იცის, მაგრამ მივმართავ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ შინიდან (აშშ-ის ელჩი) თუ გარედან (აშშ-ის სახდეპი) არნახული ზეწოლის მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ გადადგეთ! ეხლა თქვენი გადადგომა იქნება წყალში გადაყრა მთელი იმ თავდადებისა, რაც ქართველებმა 5 ივლისს გამოვავლინეთ!**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმედი“ „ტვ პირველს“ გაასწრებს, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ „ფორმულას“ და „კავკასიას“ ჩამოიტოვებს და, პრაქტიკულად, მთელი ქართული ტელეჟურნალისტიკა სააკაშვილის ფეხქვეშ გაწვება, ვინაიდან ასეთი იქნება მიმართულება, რომელიც აშშ-დან წამოვა. არ არის გამორიცხული, რომ მოვლენათა განვითარებამ სწორედ ამგვარი სახე მიიღოს. აშშ-ის ელჩის ყოვლად არადიპლომატიური და ხაზგასმით უცერემონიო ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში, ასეთი დასკვნისკენ გვიბიძგებს.**



# მკვდრებით მოვაჭრენი

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## ოცდამეოთხე გამოშვება

**„ნუ გეშინიათ მათი, რომლებიც სხეულს კლავენ, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ, უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც“.**
*მათე*

**ოცდათხუთმეტი წელიწადია, რაც ქართული პოლიტიკა ჩიხშია შესული. 1985 წლიდან, როდესაც გორბაჩოვის პირით ამერიკელებმა საბჭოთა კავშირში „გარდაქმნა“ გამოაცხადეს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში თავიანთი „მეხუთე კოლონა“ (ე.წ. დისიდენტები) ააყეფეს, ყარს საქართველო. ცხოვრების წესად გვექცა მიტინგი, აქცია, პროტესტი, გაფიცვა, შიმშილობა, კარვების გაშლა, კარების აჭედვა, ათასგვარი დაჯგუფების თარეში, ეთნოკონფლიქტი, სამოქალაქო ომი, ომები ავტონომიურ წარმონაქმნებში და, რაც მთავარია, გააფთრებული, სასტიკი, სისხლიანი, დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხელისუფლებისთვის, რომელსაც ბოლო არ უჩანს.**

ესაა ოცდათხუთმეტწლიანი მონაკვეთი ჩვენი ისტორიისა, რომელშიც ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასიც არ აქვს, ვინაიდან ნებისმიერი მკვდარი თუ მოკლული, თუკი პოლიტიკასთან მისი თუნდაც ირიბად დაკავშირება შესაძლებელია, ჯერ კიდევ გვამის გაცივებამდე იქცევა მძაფრი და ყოვლად უსინდისო პოლიტიკური სპეკულაციის ობიექტად, ანუ იმ საჯილდაო ქვად, რომელსაც ყველა თავის მხარეს ექაჩება და საკუთარი პოლიტიკური მიზნისთვის გამოყენებას ცდილობს...

გარდაიცვალა ტელეოპერატორი, რომელსაც 5 ივლისს საზოგადოების იმ ნაწილის წარმომადგენლებმა სცემეს ე.წ. თბილისი პრაიდის ღონისძიების გამართვის საწინააღმდეგოდ რომ გამოვიდნენ. დავიწყოთ იმით, რომ **გარდაცვლილი ლექსო ლაშქარავა ოპერატორი იყო და კამერით ხელში იღებდა იმას, რაც ხდებოდა. დავანებოთ თავი იმას, რომ ჟურნალისტებსა და კინოდოკუმენტალისტებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების სხვა და სხვა ეპიზოდებს იღებენ, ათასგვარი საერთაშორისო ნორმები და კონვენციები იცავს. ამ ადამიანებს, პირველ რიგში, იცავს დაუწერელი კანონი, ე.წ. ომის წარმოების ეთიკა, რომლის მიხედვითაც მათ თავს არ ესხმიან და საშუალებას აძლევენ, რომ პროცესები, რომელიც თუნდაც ომის სახით მიმდინარეობს და ისტორიულ ფაქტებს წარმოადგენს, ფირზე აღბეჭდონ და მომავალ თაობებს შემოუნახონ.**

5 ივლისს რუსთაველის პროსპექტზე რა ხდებოდა ისეთი, რომ ოპერატორს თავს დაესხნენ და შეუბრალებლად სცემეს? ჟურნალისტებზე გაბრაზება შეიძლება მათი ტენდენციურობითა და არაობიექტურობით ავხსნათ, მაგრამ ამით ვერ გავამართლებთ. **ოპერატორებზე თავდასხმა რით იყო გამოწვეული?** ოპერატორი ხომ არ არის მოლაპარაკე ჟურნალისტი. იგი იმას იღებს, რაც ხდება. ერთადერთი ტენდენციურობა, რაც მან შეიძლება გამოიჩინოს, არის ის, რომ რომელიღაც ეპიზოდზე თვალი დახუჭოს და არ გადაიღოს, მაგრამ რასაც იღებს, მასში ვერაფერს ვერ გააყალბებს. ამიტომ მათზე ამგვარი რისხვის გადმოფრქვევა აუხსნელია.

**ამ ახალგაზრდა კაცის სიკვდილი უზარმაზარ ტკივილსა და ემოციას იწვევს საქართველოში, რაც სრულიად ბუნებრივია, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური სპექტრი ლექსო ლაშქარავას ტრაგედიას საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყენებს.**

სიკვდილის გარემოება ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, მით უმეტეს, რომ უკვე გამოჩნდა სიკვდილის წინა დღის კადრები, სადაც ლექსო ლაშქარავა ქალაქში სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება. არის მაღაზიაში შესვლისა და რაღაცის შეძენის კადრებიც. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, სამსახურშიც ყოფილა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მას სასიკვდილო მდგომარეობა არ ჰქონდა. ამ დროს, ფაქტია, რომ ადამიანი გარდაიცვალა. **შეიძლება, სიკვდილის მიზეზი იყო ტრავმა, რომელიც 5 ივლისს ცემის დროს მიიღო, მაგრამ ამას დადგენა სჭირდება. ისიც ხომ არ არის გამორიცხული, რომ სიკვდილი სხვა რამეს გამოეწვია. ამასაც დადგენა სჭირდება. რა უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში? ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა.** ამ საკითხში შეუძლებელია მეორე აზრი არსებობდეს, რადგან განსხვავებული აზრისთვის აქ ადგილი არ რჩება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ფაქტია, რომ სწორედ **ოპოზიცია და ჟურნალისტთა ის ნაწილი, რომელიც ე.წ. თბილისი პრაიდის პროპაგანდისტად გვევლინებოდა, გაერთიანდა და, ყოველგვარი საექსპერტო დასკვნის გაკეთებამდე, ელვის სისწრაფით გაჩნდა ჯერ კანცელარიასთან, შემდეგ კი პარლამენტის შენობასთან,**



**სადაც მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომა მოითხოვეს. რა დგას ამის უკან — სამართლიანობისკენ სწრაფვა თუ ანარქიის დამკვიდრების მცდელობა და ამ ფონზე პოლიტიკური მიზნის მიღწევის სურვილი?**

პოლიტიკური მიზანი კი ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა. ამ საქმეში **სააკაშვილი** ლიდერობის დათმობას არ აპირებს. საბოლოოდ ისე გამოდის, რომ სიკვდილს ამ ერთი კონკრეტული ადამიანისა (მიუხედავად იმისა, რამ გამოიწვია იგი) ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იყენებენ.

ეს საძრახი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ ქართულ პოლიტიკაში, დიდი ხანია, რაც დამკვიდრდა. ასეთი დამოკიდებულება ადამიანისა და მისი სიცოცხლის მიმართ 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება. **როგორც კი სისხლი დაიღვრება და მსხვერპლი გაჩნდება, ქართველ პოლიტიკოსებში იმძლავრებს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მტაცებლური ინსტინქტი, რაც იმავე წამს ავიწყებთ სისხლსაც, მსხვერპლსაც, გლოვასაც, პატივის მიგებასაც და იწყება მსხვერპლით სპეკულაციის ანუ მკვდრებით ვაჭრობის საზიზღარი პროცესი, რომელსაც ხანდახან მართლაც მოუყვანია ხელისუფლებაში პოლიტიკური ავანტიურისტები, მაგრამ არასოდეს მოუტანია თუნდაც მისხალი სიკეთე ქართველი ხალხისთვის.** ამ პროცესს ხალხისთვის სასიკეთო არაფერი მოაქვს, მაგრამ ვიღას ახსოვს ხალხი, ხალხს თვითონ არ ახსოვს საკუთარი თავი. **ხალხი არასოდეს არ არის ხალხის მხარეს, იგი სულ ვიღაცის მხარეს არის: ხან ზვიადის, ხან ედუარდის, ხან მიშას, ხან ბიძინას მხარეს, მაგრამ ამით თვითონ არა ეშველა რა. ქვეყანაში ხან სამოქალაქო ომი გვაქვს, ხან — ეთნიკური, ხან — სახელმწიფო გადატრიალება, ხან — ფერადი რევოლუცია. ყოველივე ამას კი ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება, ეკონომიკის ნგრევა, სულიერების მოშლა, მოსახლეობის განახევრება და გაუთავებელი კრიზისები მოაქვს.**




ხალხი ახლაც ყველაზე სულელური მოტივით გაიყო, ზოგი ე.წ. თბილისი პრაიდის მხარეს აღმოჩნდა, ზოგიც — მათი მოწინააღმდეგეების. დღეს ამ ნიშნით არამხოლოდ ხალხი და პოლიტიკური წრეები, არამედ ხელისუფლებაც გაყოფილია და ეკლესიაც. გაიჟღინთა ქვეყანა სიძულვილითა და მტრობით. მიუხედავად ამისა, საზოგადოება ორ ნაწილად გაიხლიჩაო, ვერ იტყვი იმიტომ, რომ ოთხი-ხუთი ათასი ადამიანი დგას პრაიდის მხარეს. ვინ არის, ეს ოთხი-ხუთი ათასი ადამიანი, მთელი ქვეყანა რომ აიკლო და დანარჩენ საქართველოს მოსვენებას არ აძლევს? ესაა სააკაშვილის სექტა, დამახინჯებული სულისა და ცნობიერების მქონე ადამიანები, რომლებიც ფულსა და თანამდებობებს არიან დახარბებულნი და ამ ორი კერპის სიყვარულით ყველაფერზე მიდიან. რაც უნდა მოხდეს, რა მასშტაბის განგაშიც უნდა გამოცხადდეს, ოთხი-ხუთი ათასი ადამიანის ფარგლებშია მათი რესურსი. ამ ზღვარს ვერასოდეს სცდებიან. რამდენიც უნდა იძახონ, — აუუუ, რამდენი ვართ? — ხუთი ათას ადამიანზე მეტი არასოდეს არ მოუგროვებიათ, რადგან ამაზე მეტი ამომრჩეველი არ ჰყავთ. 0, 1 - 0, 2 პროცენტის ფარგლებშია მათი ამომრჩევლების რაოდენობა.

**ვიღაცამ შეიძლება თქვას, ეს ჟურნალისტების აქცია იყოო, მაგრამ ეს ჟურნალისტები, ეს ტელეარხები და მათი დამფუძნებლები თავიდან ბოლომდე „ნაციონალური მოძრაობაა.“ „იმედიც“ კი, ივანიშვილს თავისი რომ ჰგონია, მამალი „ნაცებითაა“ სავსე. ივანიშვილს „პოსტივიმაც“ კი უგანა. ასეც იყო მოსალოდნელი. თუკი ნა-** ▶

**შვიდი წლის წინათ, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი სრულიად ახალგაზრდა პრემიერმინისტრი იყო, იგი დაჟინებით ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციაში ჩაეწერათ ოჯახის დეფინიცია, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იყო, მაგრამ მან ამას მიაღწია და ქართველი ხალხი სწორედ პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უნდა უმადლოდეს, რომ დღეს საქართველოს კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი არსებობს, რომელიც ქვეყანას და ქართველ ერს ოჯახის სიწმინდის ხელყოფისგან იცავს**

**ნაქურდალ-ნაყაჩაღარი ფინანსებით შექმნილ ტელევიზიებში დასაქმებული მაღალანაზღაურებადი ჟურნალისტები სიტყვისა და გამოხატვის უფლებებს იცავენ ასე გაშმაგებით თუ იმ სოლიდურ წილებს, რომლებიც ნაყაჩაღარი თანხებიდან ხელფასებისა და ჰონორარების სახით ერიცხებათ? გასაგებია, მათი მუცლისგვრემა საიდანაც მოდის, მაგრამ განა ხალხმა ხელისუფლებას არ უნდა ჰკითხოს, რატომ არ აღკვეთს ნაქურდალი და ნაყაჩაღარი თანხებით გაპარპაშებული ტელეარხების საქმიანობას, რატომ არ შეაჩერებს ამ ძალადობასა და დაუფარავ დანაშაულს?**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხი ახლაც ყველაზე სულელური მოტივით გაიყო, ზოგი ე.წ. თბილისი პრაიდის მხარეს აღმოჩნდა, ზოგიც — მათი მოწინააღმდეგეების. დღეს ამ ნიშნით არა მხოლოდ ხალხი და პოლიტიკური წრეები, არამედ ხელისუფლებაც გაყოფილია და ეკლესიაც. გაიქლინთა ქვეყანა სიძულვილითა და მტრობით. მიუხედავად ამისა, საზოგადოება ორ ნაწილად გაიხლიჩაო, ვერ იტყვი იმიტომ, რომ ოთხი-ხუთი ათასი ადამიანი დგას მათ მხარეს

**ხეს და იყნოსეს, რომ ტახტი შეერყა, ესენი ივანიშვილს დაინდობენ?**

„იმედი“ „ტვ პირველს“ გაასწრებს, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ „ფორმულას“ და „კავკასიას“ ჩამოიტოვებს და, პრაქტიკულად, მთელი ქართული ტელეჟურნალისტიკა სააკაშვილის ფეხქვეშ გაწვება, ვინაიდან ასეთი იქნება მიმართულება, რომელიც აშშ-დან წამოვა. არ არის გამორიცხული, რომ მოვლენათა განვითარებამ სწორედ ამგვარი სახე მიიღოს. აშშ-ის ელჩის ყოვლად არადიპლომატიური და ხაზგასმით უცერემონიო ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში ასეთი დასკვნისკენ გვიბიძგებს. ასეთ შემთხვევაში დღეს ნულამდე დაცემული სააკაშვილის რეიტინგი გაიზრდება, ხოლო ქართველი ხალხი, დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, კიდევ ერთხელ წავა საკუთარი თავის წინააღმდეგ. ჩანს თუ არა რამე საიმედო და ხელჩასაჭიდი, რომ ქვეყანას ასეთი უბედურება არ დაატყდება თავს? ძნელია რამე კონკრეტული ფაქტის დასახელება, თუმცა, ერთი სხივი მაინც გაკრთა საქართველოს მოღრუბლულ ცაზე. **12 ივლისს პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა** მთავრობის სხდომაზე საგანგებო განცხადება გააკეთა, რომელშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი აზრი იყო გამოთქმული: **„ჩვენ ვნახეთ, რომ სცადეს პიროვნების ტრაგედია საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოეყენებინათ“.**

მე უკვე ვთქვი, რომ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს ახალი მოვლენა არ არის. აქ, მართალია, პოლიტიკოსები გაუთავებლად გაჰყვირიან ადამიანის უფლებებზე, მაგრამ ჩვენს უახლეს ისტორიაში მათთვის ადამიანები პაიკებს წარმოადგენენ, რომლებიც მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ ვიღაცამ რაღაცას შესწიროს. სამწუხაროდ, ადამიანთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება კი არ იკლებს, შემაშფოთებლად იზრდება. პრემიერმინისტრი აცხადებს: **„მნიშვნელობა არა აქვს, რა მიზეზით დაიღუპა ალექსანდრე ლაშქარავა, ყველა მოძალადე მთელი სიმკაცრით იქნება დასჯილი“.**

აბსოლუტურად სწორი პოზიციაა. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო, მიუხედავად იმისა, ამ ბოროტებას მოჰყვა თუ არა სიკვდილი. სიკვდილის მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს, მაგრამ **ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც ასე სასტიკად სცემეს ოპერატორი, რომელიც მის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა,** რა ამოძრავებდათ მათ, ან არსებობს თუ არა რამე ვერსია ამასთან დაკავშირებით? პრემიერმინისტრმა პასუხი ამ შეკითხვასაც გასცა: **„მე წინასწარ განვაცხადე, რომ იგეგმებოდა ძალიან დიდი, მასშტაბური პროვოკაცია ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ. კონკრეტული სახელიც და გვარიც ვთქვი, ვინც ამ რევანშისტული შეთქმულების უკან დგას. ეს არის ბატონი სააკაშვილი და მისი რადიკალური ჯგუფი.“**

განცხადება დამაფიქრებელია. სააკაშვილის პროვოკატორობა ცნობილია, ამიტომ ხელაღებით გამორიცხვა იმ ვერსიისა, რომ შესაძლებელია აქ მიზანმიმართულ ბინძურ პროვოკაციასთან გვქონდეს საქმე, სწორი არ იქნება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების მიმართ სხვა შეკითხვა ჩნდება: **კი მაგრამ, ამ სააკაშვილსა და მის ხროვას მთელი ცხრა წლის განმავლობაში თქვენ თვითონ (მთელი ხელისუფლება) არ მოათრევთ ზურგით? თუკი ხვდებით, თუკი იცით, რომ ისინი რევანშისტები, პროვოკატორები და ბინძური ადამიანები არიან, რომ ისინი შეთქმულებას ამზადებენ, რომ ისინი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ, რატომ არ მოქმედებთ ისე, როგორც ასეთ შემთხვევაში ღირსების მქონე და სახალხო ლეგიტიმაციით აღჭურვილი ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს?!**

ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს: **„გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მათ შორის იმ ვერსიაზე, როგორ მოხვდნენ აღნიშნული აგრესიული პირები ღონისძიებაზე და მაინცდამაინც ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე რატომ გააკეთეს მიზანმიმართული შეტევა? ეს არის ლეგიტიმური შეკითხვა, რომელსაც გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი. არსებობს ვერსია, რომ შესაძლებელია პროვოკატორების უკან იდგეს სწორედ რევანშისტული რადიკალური ძალა. ჩვენ კარგად გვახსოვს და არც არავის ამ ქვეყანაში არ დავიწყებია, რა მეთოდებით მართავდნენ აღნიშნული მოძალადეები და მკვლელები ჩვენს ქვეყანას, როცა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხდებოდა ტერორისტული აქტების დაგეგმვაც კი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.“**

ეს სერიოზული განცხადებაა. **რთული არ არის იმის წარმოდგენა, რომ სააკაშვილმა ხალხში თავისი ზონდერბრიგადა შეაგზავნა, რომლის წევრებმაც მიზანმიმართულად იმუშავეს ჟურნალისტების ცემაზე, ვინაიდან იციან, რომ დასავლეთი ყველაზე მეტად სწორედ ამგვარ ფაქტებზე რეაგირებს.** პრემიერმინისტრის შეფასებები საკმაოდ მკაცრი იყო, მაგრამ ობიექტურობის ჩარჩოებს არ სცდებოდა: **„რაც შეეხება აქციას, ეს იყო კლასიკური ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური და, მაშასადამე, ანტიეროვნული. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აგრესიული გამომსვლელები პოლიციის მიერ პატრიარქის დაკავებას ითხოვდნენ. მე ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას იმის გამო, რომ ამას ვიმეორებ.“**

ეს მართლაც კულმინაციური წერტილი იყო მთელი იმ სიბინძურისა, რაც საქართველოში ტრიალებს. **მოითხოვო დაპატიმრება ოთხმოცდაათს მიტანებული პატრიარქისა, რომელიც მწყემსთმთავარისა და ერის სულიერი მამის უმძიმეს ტვირთს ორმოცდამეოთხე წელიწადია უდრტვინველად ატარებს, არა მხოლოდ მკრეხელობა, არამედ უმძიმესი დანაშაულიცაა, რომელიც იურიდიულად უნდა ისჯებოდეს.**

მაინც ვინ არიან ეს ე.წ. დამოუკიდებელი ჟურნალისტები, რომლებიც ასე „გმირულად“, ასე „თავგანწირულად“ და ასეთი „სისპეტაკით“ ემსახურებიან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უმაღლეს იდეალებს? პრემიერმინისტრი ამ შემთხვევაშიც ერთმნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს: **„ჩვენ მივესალმებით დამოუკიდებელი მედიის არსებობას, მაგრამ, მოდი, თავს ნუ მოვიტყუებთ და ვთქვათ პირდაპირ, ოპოზიციური ტელევიზიები „მთავარი“, „ტვ პირველი“, „ფორმულა“ იმართებიან სააკაშვილის მიერ და არსებობენ მათი მოპარული ფინანსებით. შესაბამისად, მათი დღის წესრიგი და რევანშისტული რადიკალური „ნაცმოძრაობის“ დღის წესრიგი აბსოლუტურად იდენტურია. მათ ერთი მიზანი აქვთ — ძალადობრივი გზით ხელისუფლებაში მოსვლა.“**




საკითხავია, ნაქურდალ-ნაყაჩაღარი ფინანსებით შექმნილ ტელევიზიებში დასაქმებული მაღალანაზღაურებადი ჟურნალისტები სიტყვისა და გამოხატვის უფლებებს იცავენ ასე გაშმაგებით თუ იმ სოლიდურ წილებს, რომლებიც ნაყაჩაღარი თანხებიდან ხელფასებისა და ჰონორარების სახით ერიცხებათ? გასაგებია, მათი მუცლისგვრემა საიდანაც მოდის, მაგრამ განა ხალხმა ხელისუფლებას არ უნდა ჰკითხოს, რატომ არ აღკვეთს ნაქურდალი და ნაყაჩაღარი თანხებით გაპარპაშებული ტელეარხების საქმიანობას, რატომ არ შეაჩერებს ამ ძალადობასა და დაუფარავ დანაშაულს? პრეპრემიერმინისტრს, სამწუხაროდ, ამაზე არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, მან თქვა ისეთი რამ, რაც ამ ხელისუფლებისა და მთავრობის არც ერთი სხვა წევრისგან არ მოგვისმენია და, დარწმუნებული ვარ, ვერც მომავალში მოვისმენთ: **„კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, თუ რატომ ვიყავი წინააღმდეგი აღნიშნული ე.წ. აღლუმის ჩატარებისა. ჯერ ერთი, აღლუმი რა სახელია? მე ვიცი ერთი აღლუმი, ეს არის ჩვენი ჯარის აღლუმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება. სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, რომელიც შესაძლებელია მოწოდებული იყოს განსხვავებული აზრის გამოსახატავად, არსებობს სხვა ლოკაციები, რომელიც პოლიციამ შესთავაზა ლგბტ თემს. მანამდე, სამი დღის განმავლობაში, ვიდრე ისინი ამ ადგილებში იკრიბებოდნენ, მათ მიმართ არავითარი შეფერხება და აგრესია არ ყოფილა, პოლიციამ ყველაფრის პრევენცია მოახდინა, მაგრამ მოსახლეობის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი არის წინააღმდეგი დემონსტრაციულად, პროპაგანდისტულად, მარშის ფორმით აღლუმის ჩატარებისა, ამას ყველა უნდა დავემორჩილოთ. ეს არის ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრი და, ჩვენ, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ვალდებული ვართ, რომ ამას ანგარიში გავუწიოთ. ჩვენ ამას ყოველთვის გავუწევთ ანგარიშს და ისე არ იქნება, როგორც ადრე იყო, როცა უმცირესობა წყვეტდა უმრავლესობის ბედს.“**

ეს რევოლუციური განცხადებაა. ეს ბრძოლის გამოცხადებაა იმ ძალების მიმართ, რომლებსაც, სახარების ენით თუ ვიტყვით, **„სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც“.**

ეს ნათქვამი მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით, რევოლუციურია, მე, პირადად, არ გამკვირვებია. ჯერ კიდევ **შვიდი წლის წინათ, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი სრულიად ახალგაზრდა პრემიერმინისტრი იყო, იგი დაჟინებით ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციაში ჩაეწერათ ოჯახის დეფინიცია, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იყო, მაგრამ მან ამას მიაღწია და ქართველი ხალხი სწორედ პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უნდა უმადლოდეს, რომ დღეს საქართველოს კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი არსებობს, რომელიც ქვეყანას და ქართველ ერს ოჯახის სიწმინდის ხელყოფისგან იცავს.** დარწმუნებული ვარ, ბატონ ირაკლის მაშინ თანამდებობა მისი ამ პოზიციის გამო დაატოვებინეს. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მიზეზი მაინც ეს იქნებოდა. აქედან გამომდინარე, **ღარიბაშვილმა შესანიშნავად იცის, რა ვერაგ ძალას უპირისპირდება ამ რევოლუციური განცხადებით, მაგრამ იგი ამაზე წავიდა. რა უნდა ვიფიქროთ, რატომ გადადგა მან პირადად მისთვის ასე სახიფათო და სარისკო ნაბიჯი? სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, მან ეს ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ინტერესების დასაცავად და ერის ღირსების შესანარჩუნებლად გადადგა, იმ მოძალადეთა შესაჩერებლად გადადგა, რომლებიც სულში ხელებს გვიფათურებენ და ჩვენი გადაკეთება განუზრახავთ, თავიანთ თარგზე ჩვენი მოჭრა და იმ გზაზე შეყენება გადაუწყვეტიათ, რომ ჩვენ ჩვენ აღარ ვიყოთ.**



ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი სიტყვებით დასავლეთის ბოროტ ძალებს ისევე გააწნა სილა, როგორც თავის დროზე **კონსტანტინე გამსახურდიამ,** როდესაც მათ ასე მიმართა: **„თქვენ ეგოისტები ხართ. თქვენ ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნათ, ე.ი., ჩვენ აღარ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ, ან ვართ... თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად ჯონი, ჟანი ან ჰანსი გვერქვას.“** უდიდესი შინაგანი ძალა სჭირდებოდა პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ეს ის საქციელია, რომელიც თავის გაწირვას უტოლდება.

ეს მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი არ არის დაკარგული, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია სატანასთან გამკლავება, რომ სწორი ძალისხმევისა და გონიერი წინამძღოლის ვითარებაში მკვდრებით მოვაჭრენი უკან დაიხევენ და იმ სოროებში შეძვრებიან, საიდანაც ცხვირის გამოყოფას მანამდე ველარ გაბედავენ, ვიდრე ქართული ნერვი ფეთქავს, ქართული სული არ ჩაფერფლილა და ისტორიის ღერძი ისე არ გამრუდებულა, წარსულს მთლიანად მოვწყდეთ.

**ვალერი კვარაცხელია**

სამხედრო ექსპერტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობამ ჩვენ მოგვცა მხოლოდ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამერიკას სჭირდებოდა და შესაძლოა, მომავალშიც დასჭირდეს მსგავს კამპანიებში, მაგრამ ის, რაც უშუალოდ საქართველოს სჭირდება თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, არ მოუცია“.**



### გურამ ნიკოლაიშვილი:

# ავღანეთში ნატოს ინტერესების 17-წლიანმა ბრმა მსახურებამ საქართველოს ვერაფერი მისცა

**9 ივლისს სენაკში, მე-2 ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზაზე საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ ავღანეთში 17-წლიანი სამშვიდობო მისიის დასრულების გამო ოფიციალური ცერემონია გაიმართა, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად უცხოელი სტუმრებიც დაესწრნენ. ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველი სამხედროების მიერ „საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში“ შეტანილ წვლილზე ისაუბრა და მიღწევები შეაჯამა: „17 წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ და გმირმა სამხედროებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს მსოფლიო მშვიდობის დაცვისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს იყო ჩვენი მებრძოლების თავდადებული ბრძოლა, მათი ღირსეული ბრძოლა, რომლითაც ჩვენს ქვეყანას განუმტკიცეს ღირსეული პარტნიორის, ხოლო ჩვენს ჯარს მამაცი და პროფესიონალი ჯარის სახელი...“**

თუმცა მისივე თქმით, ეს არ იყო უმთავრესი, რასაც ქვეყანამ მიაღწია აღნიშნულ მისიებში აქტიური მონაწილეობით. პრემიერის შეფასებით, მთავარი არის ის, რომ ამით ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროატლანტიკურ სტრუქტურებს, გახდა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის განუყოფელი ნაწილი და ყველას აჩვენა, რომ საქართველოს შეუძლია, იყოს „უსაფრთხოების მიმწოდებელი“ და რომ „ქვეყანა მზადაა, იყოს უსაფრთხოების მიმწოდებელი და პარტნიორებთან ერთად იბრძოლოს გლობალური მშვიდობის დასაცავად. 2004 წლიდან ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო მისია ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია. ჩვენ, ალიანსის არაწევრ სახელმწიფოებს შორის მისიაში მონაწილე სამხედროების რაოდენობის მიხედვით, უმსხვილესი კონტრიბუტორი ქვეყანა ვიყავით და საქმით დავამტკიცეთ ჩვენი მხარდაჭერა ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მხარდამხარ გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში...“

შეგახსენებთ, რომ საქართველო ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე ნატოს საერთაშორისო მისიაში (ISAF) 2004 წლის აგვისტოდან ჩაერთო, რაც იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ ალიანსში ინტეგრირების უმთავრეს წინაპირობად იქნა შეფასებული. მას შემდეგ სამხედრო კამპანიაში 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა, თუმცა 17 წლის განმავლობაში ქვეყანამ ნატოში ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია.

**რა მოუტანა საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში დიდი წარმომადგენლობით მონაწილეობამ და როგორ აისახება ეს მომავალში ჩვენს უსაფრთხოებაზე — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო გურამ, რამდენიმე კვირის წინათ ავღანეთის საერთაშორისო უსაფრთხოების მისიიდან ბოლო ქართველი ჯარისკაცები დაბრუნდნენ, სამხედრო კამპანია ოფიციალურად დასრულდა. ამის გამო 9 ივლისს სენაკის სამხედრო ბაზაზე ღონისძიება გაიმართა, რომელზეც პრემიერმა საინტერესო განცხადებები გააკეთა და ქართველების მიერ მისიაში შეტანილი წვლილი შეაფასა. მისი თქმით, ამ მისიით საქართველომ დაამტკიცა, რომ შეუძლია, იყოს „უსაფრთხოების მიმწოდებელი“. მოდი, ჯერ მისიაზე ვისაუბროთ, რა მოგვიტანა ამ მისიაში აქტიურმა მონაწილეობამ 17 წლის განმავლობაში?**

— წვლილზე რაც ითქვა პრემიერის ან პრეზიდენტის მიერ ცერემონიაზე, ნამდვილად ასეა — 17 წლის განმავლობაში საქართველომ ლომის წილი შეიტანა ნატოს მისიაში. 20 000-ზე მეტმა ჯარისკაცმა მიიღო მასში მონაწილეობა და დაიხარჯა უდიდესი რესურსი. ეს არ არის მცირე რაოდენობა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის. სხვათა შორის, გახსოვთ, ალბათ, რომ პირველ ეტაპზე, ვგულისხმობ 2008 წლამდე პერიოდს, სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე ჩვენი პირადი შემადგენლობის რაოდენობა 1800 სამხედრომდეც აღწევდა. იმხანად საქართველოს ეს ოპერაცია სამხედრო ბიუჯეტის 20-დან 30%-მდე უჯდებოდა — წელიწადში 250 მლნ ლარამდე. რაც შეეხება შემდგომი წლების ხარჯებს, ბოლო წლებში ეს რიცხვი შეადგენდა სამხედრო ბიუჯეტის 30%-ს, ხოლო სამხედრო ბიუჯეტი თითქმის 700 მილიონი ლარია. კოლოსალურ თანხებზეა საუბარი.

**— კონკრეტულად რას ხმარდებოდა ეს ფული, რისთვის იხარჯებოდა, ძირითადად?**

— ძირითადი ხარჯი მიდიოდა სამშვიდობო ოპერაციებზე, რათა პირადი შემადგენლობა მუდმივად დაკავებულიყო ამ ოპერაციით. ახლა როგორ იყო დაკავებული: 1000-დან 1200 კაცამდე მონაწილეობდა უშუალოდ ოპერაციებში და 1200 კაცი აქ ემზადებოდა მათ შესაცვლელად. შემდეგ ის 1200 სამხედრო რომ ჩამოვიდოდა, სამი თვით შვებულებაში გადიოდა. ანუ, 3500-დან 3600-მდე ჯარისკაცი მუდმივად დაკავებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ამ ოპერაციებით. ეს მთელი ჩვენი პირადი შემადგენლობის თითქმის მესამედია. გარდა ამისა, **არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ევროკავშირის ეგიდით, საფრანგეთის სამშვიდობო ძალებთან ერთად, მალიშიც ვმონაწილეობთ ერთი ასეულით. სხვათა შორის, ეს ოპერაცია წელიწადში 7 მილიონ ევრომდე გვიჯდებოდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ 2004 წლიდან პირადი შემადგენლობის სწრაფი რეაგირების კორპუსი გერმანიაშიც გადიოდა სწავლებებს, რომლის შენახვაც და მომზადებაც ასევე კოლოსალური თანხები დაჯდა...**

**— შედეგად საქართველომ რა მიიღო? რა იყო ამ ოპერაციებში ასეთი მაღალი აქტივობით მონაწილეობის მიზანი და არის თუ არა 17 წლის თავზე ეს მიზანი მიღწეული?**

— კარგი შეკითხვაა. შედეგად ჩვენ მივიღეთ ის პოლიტიკური ინდულგენცია, რომელიც ემსახურება ერთადერთ მიზანს — ხელისუფლებისა და მისი ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის, როგორც პროცესების ავანგარდის, შენარჩუნებას. რაც შეეხება კონკრეტულად ჯარს და იმას, რა მისცა ნატოს ოპერაციებში მონაწილეობის ამ 17-წლიანმა პერიოდმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, **საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობამ ჩვენ მოგვცა მხოლოდ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამერიკას სჭირდებოდა და შესაძლოა, მომავალშიც დასჭირდეს მსგავს კამპანიებში, მაგრამ ის, რაც უშუალოდ საქართველოს სჭირდება თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, არ მოუცია.**

რა გვაქვს დღეს რეალურად: მხოლოდ საკომენდანტო სამსახური, რომელსაც გარკვეული ობიექტების დაცვა შეუძლია. **ის, რომ იქ, მაგალითად, არტილერისტი მომზადებულიყო, ან ტანკისტი, ან საინჟინრო ძალები და ა.შ., არ მომხდარა. პირიქით, ამ ოპერაციებზე ამხელა კონცენტრირების პირობებში უამრავი ტექნიკა დარჩა აქ უპატრონოდ. ბევრი გაფუჭდა, ბევრი, საერთოდ, გამოუსადეგარი შეიქნა...**

სხვათა შორის, **არტილერია, რომელიც ყოველთვის ძლიერი მხარე იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების, დღეს, როგორც არასდროს, სავალალო მდგომარეობაშია. არაფერს ვამბობ ავიაციასა და საზღვაო ძალებზე, რომლებიც იზორიამ საერთოდ გააუქმა, ძვირი სიამოვნებაა და ვერ შევინახავთო. წარმოიდგინეთ, 37 გემი გვყავდა, რომელთაგან 17 იყო საბრძოლო და დაჭრეს. ზოგი ჩაძირეს, ზოგი გაყიდეს...**

**— სხვათა შორის, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ვრცელდებოდა ხმები, რომ საზღვაო ძალების მოშლა დიდ კორუფციულ გარიგებასთან იყო დაკავშირებული...**

— რა თქმა უნდა, არსებობს ამ ეჭვების საფუძველი. **2008 წლის შემდეგ ვიღაცას დასჭირდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტერიტორია, რომელიც, მოგეხსენებათ, ფოთშია და ეს ტერიტორია 1 ლარად გაასხვისეს. დღეს ეს სიმდიდრეები, ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები კერძო პირებისაა. სხვათა შორის, იქ არაჩვეულებრივი ტერმინალი იყო, სადაც გემები შედიოდა და ბრიგადა იდგა, იყო სასწავლო ცენტრიც, მაგრამ გააუქმეს. ასევე გააუქმეს სერჟანტების მომზადების სკოლა, შტაბი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკა იყო.**

**— კი მაგრამ, ვინ უნდა ყოფილიყო ამით დაინტერესებული?**

— **ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე გაკეთებულია ნატოსა და მთლიანად დასავლეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოდგენილი იმ გეგმებით, რომ საქართველოს ამხელა ჯარი არ სჭირდება. საქართველოს უნდა ჰყავდეს მხოლოდ 3500-დან 4000 ჯარისკაცამდე იმისთვის, რომ დასავლეთის სამშვიდობო ოპერაციებში მივიღოთ მონაწილეობა.** რაც შეეხება ჩვენს ამოცანებს, ეს მათ საერთოდ არ აინტერესებთ, და ეს მაშინ, როცა ბოლო პერიოდში ყველგან, ყველა რეგიონში, მათ შორის წყნარ ოკეანეში, შავ ზღვაში, ბალტიის ზღვაში მათ მიერ ჩატარებულ თითოეულ სწავლებაზე რუსეთისგან ასეთივე სწავლებებით მიიღეს მყისიერი პასუხი. წარმოიდგინეთ, **ამ სწავლებებით რუსეთმა ხმელთაშუა ზღვაში დააფრთხო იტალია, საფრანგეთი და ესპანეთი; ინგლისის გემები კი კისრისტეხვით გარბოდნენ იქიდან და უკან მისდევდნენ „სუ 34“-ები. აი, ეს არის რეალობა და ამ მომენტში ჩვენ გვტოვებენ საზარბაზნე ხორცად...** ავღანეთში ნატოს ინტერესების 17-წლიანმა ბრმა მსახურებამ საქართველოს ვერაფერი მისცა, საქართველოს ამ ყველაფერმა მისცა მხოლოდ პოლიტიკური ინდულგენცია, რომელმაც პროდასავლური პოლიტიკური სპექტრის ხელშეუხებლობა უზრუნველყო.

**— მომავალში თუ იქნება მსგავსი მისიები, რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ? როგორი პოლიტიკა იქნება ჩვენი მხრიდან ყველაზე სწორი?**

— ყველა თანხმდება, რომ პოლიტიკა ჩვეულებრივი აღებ-მიცემობაა, როცა რაღაცას გასცემ, აუცილებლად უნდა იღებდე სანაცვლოდ რამეს. ჯანსაღი, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ასეთია. რაც შეეხება საერთაშორისო სამხედრო მისიებს, საქართველო შეიძლება იყოს ამ პროცესში წარმოდგენილი, არ ვამბობ, რომ ეს კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს მაქსიმალური თანხვედრით ჩვენს ეროვნულ-სტრატეგიულ ინტერესებთან. **როგორ შეიძლება, აქედან ტანკისტი მოხსნა, იქ წაიყვანო და აქ ტანკი უპატრონოდ იყოს?! ეს ხომ ჩვეულებრივი მავნებლობაა?!** ეს ერთი და მეორე — **როგორ შეიძლება, შენი უსაფრთხოება, მთელი შეიარაღებული ძალების მომზადების დონე განსაზღვრო ვიღაცის სამხედრო კამპანიაში სამშვიდობო მისიის წარმატებით შესრულება-არშესრულების მიხედვით?!**

საქართველოს, რომელსაც ტერიტორიების ერთი-მესამედი დაკარგული აქვს და, რაც მთავარია, აქვს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა მეზობელ ზესახელმწიფო რუსეთთან, არ შეიძლება, უმთავრეს ამოცანად დასახული ჰქონდეს მისთვის აბსოლუტურად არაფრისმომცემი გეოპოლიტიკური ვექტორის სამხედრო კამპანიაში საკუთარი ინტერესების უგულებელყოფით მონაწილეობა. ეს არის ზუსტად ის მიდგომა და პრინციპები, რომლებმაც 20 წლის განმავლობაში მოგვიყვანა ამ ჩიხამდე და, როგორც ჩანს, ეს არ არის დასასრული, რადგან მომავალი შეიძლება კიდევ უფრო რთული იყოს. აი, ეს არის შესაცვლელი ძირფესვიანად, თუმცა იმ პირობებში, როცა პოლიტიკურ დღის წესრიგს მთლიანად აკონტროლებენ ვიწრო პარტიულ, კონიუქტურულ ინტერესებზე ორიენტირებული სუბიექტები, ცხადია, ახლო მომავალში ამ ცვლილებების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ეს ცვლილებები გაცილებით მასშტაბური პროცესების ნაწილია, პროცესების, რომლებიც ჯერჯერობით არ და ვერ ვითარდება ჩვენს ქვეყანაში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> **«არტილერია, რომელიც ყოველთვის ძლიერი მხარე იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების, დღეს, როგორც არასდროს, სავალალო მდგომარეობაშია. არაფერს ვამბობ ავიაციასა და საზღვაო ძალებზე, რომლებიც იზორიამ საერთოდ გააუქმა, ძვირი სიამოვნებაა და ვერ შევინახავთო. წარმოიდგინეთ, 37 გემი გვყავდა, რომელთაგან 17 იყო საბრძოლო და დაჭრეს, ზოგი ჩაძირეს, ზოგი გაყიდეს»**

> **«ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე გაკეთებულია ნატოსა და მთლიანად დასავლეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოდგენილი იმ გეგმებით, რომ საქართველოს ამხელა ჯარი არ სჭირდება. საქართველოს უნდა ჰყავდეს მხოლოდ 3500-დან 4000 ჯარისკაცამდე იმისთვის, რომ დასავლეთის სამშვიდობო ოპერაციებში მივიღოთ მონაწილეობა»**

**რაც დრო გადის, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სულ უფრო არაადეკვატურად იქცევა. პრაქტიკულად ყოველ წელს მოსახლეობას ახალ-ახალ პროგრამებს ტენიან (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), პრიორიტეტად სხვადასხვა პროდუქტს ასახელებენ, შემდეგ კი აცხადებენ, რომ მათი გათვლები არასწორი იყო. ასე მოხდა მოცვის შემთხვევაშიც. ლამის მთელ საქართველოში მოცვის პლანტაციები გაშენდა და ამ საქმეში ფული არაერთმა ცნობილმა ადამიანმა ჩადო.**

სოფლის მეურნეობის პრობლემები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ქართული სინამდვილისთვის უცხო ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, თუ საარჩევნო წელია, ყველა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ბიუჯეტი ისეთ სფეროს მოარგოს, ეფექტი რომ ჰქონდეს და ამომრჩევლის გული მოიგოს. ასე იყო ამჯერადაც, პარლამენტში შეტანილი ბიუჯეტის კორექტირების პროექტი ლამის ერთხმად დაამტკიცეს კომიტეტებზე და არც საპარლამენტო ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეს. როგორც წესი, ჩვენ ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმართულება გვაინტერესებს, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარება ქვეყანას ფეხზე წამოაყენებს. შესაბამისად, ძალიან გაგვახარა ჩანაწერმა: „2021 წლის ბიუჯეტის კორექტირების პროექტის მიხედვით, ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსება მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამებისთვის 55 მილიონი ლარით, 357 მილიონ ლარამდე იზრდება“, მაგრამ დეტალებს გავყევით და... ისევ გვატყუებენ და თანაც ძალიან მწარედ.**

# ისევ გვატყუებენ და თანაც ძალიან მწარედ

## სად არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ევროპა, ეს არის მეგობრობა და ევროკავშირისკენ სწრაფვაში ხელშეწყობა?



პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ერთი შეხედვით, წარმატებული იყო. ერთი შეხედვით იმიტომ, რომ არაერთ ისეთ ადამიანს ჩამოურიგეს პროგრამით გათვალისწინებული თანხები, მიწა მხოლოდ ქოთანში რომ უნახავს. ხელისუფლების დახმარება შემდეგში გამოიხატებოდა: ფერმერი წარადგენდა პროექტს, ბანკიდან იღებდა სესხს 12%-ად და ამ 12%-დან 3%-ს თვითონ ფარავდა, დანარჩენ 9%-ს კი — სახელმწიფო. რაღა თქმა უნდა, ძირ თანხას მსესხებელი ფარავდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ისე გამოდიოდა, რომ, მაგალითად, ასიათასლარიანი სესხი ფერმერს 3%-ად ეძლეოდა. ბევრი მცოდნე ამ პროგრამით წელში გაიმართა, უცოდინარებმა გვარიანად იზარალეს და ახლა სწორედ ამ პროგრამის 55 მილიონით გაზრდამ გაგვახარა, მაგრამ...

მომავალში ასე იქნება — **12%-იანი სესხიდან სახელმწიფო, ცხრის ნაცვლად, 6%-ს დაფარავს, ფერმერი — დანარჩენ 6%-ს, ე.ი., სახელმწიფომ სესხის პროცენტი შუაზე გაყო და მსესხებელს, რბილად რომ ვთქვათ, პროცენტი გააორმაგა. შედეგად, პროგრამას სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი არ დაამატეს ის 55 მილიონი ლარი, არამედ სწორედ სახელმწიფოსთვის დაწეული პროცენტიდან და ომახიანად განაცხადეს, პროგრამის დაფინანსება იზრდებაო, რეალურად კი ეს თანხა პოტენციური მსესხებლის ჯიბიდან ამოიღეს.**

რაც დრო გადის, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სულ უფრო არაადეკვატურად იქცევა. პრაქტიკულად ყოველ წელს მოსახლეობას ახალ-ახალ პროგრამებს ტენიან (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), პრიორიტეტად სხვადასხვა პროდუქტს ასახელებენ, შემდეგ კი აცხადებენ, რომ მათი გათვლები არასწორი იყო. ასე მოხდა **მოცვის** შემთხვევაშიც. ლამის მთელ საქართველოში მოცვის პლანტაციები გაშენდა და ამ საქმეში ფული არაერთმა ცნობილმა ადამიანმა ჩადო. **მოცვის პლანტაციები გურიაში ათეულობით ჰექტარზე ძმებმა არველაძეებმა გააშენეს, ნუშის ბაღების შემდეგ; მოცვი მოსინჯა ცნობილმა ბიზნესმენმა თემურ უგულავამ (მისი ბაღები საგარეჯოში საოცრებაა, თუმცა მან ასპროცენტიანი ინვესტიცია საკუთარი ჯიბიდან ჩადო და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაფერი დაიბრალოს). მოცვის მოსაყვანად საქართველოში მართლაც ყველა პირობაა,** მაგრამ, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეკლამას აკეთებდა, ორი მნიშვნელოვანი რამ არ გაითვალისწინა (ან დამალა): პირველი ის, რომ მოცვი მალე ფუჭდება და მოკრეფიდან რამდენიმე საათში ან უნდა გადამუშავდეს, ან ექსპორტზე გაიგზავნოს. სამაცივრე მეურნეობების არარსებობის პირობებში მოცვის დიდი რაოდენობით შენახვა გამორიცხულია; მეორე კი ის არის, რომ მსოფლიო ბაზარზე მოცვზე გაზრდილი მოთხოვნა მხოლოდ საქართველოში არ გაუგიათ და მოცვის მოყვანა ისეთმა ქვეყნებმაც დაიწყეს, რომლებსაც სავარგულებად ათი საქართველოს ოდენობის მიწები აქვთ.

ახლა კი გაირკვა, რომ მოცვის რეკორდული მოსავალი მოვიდა რუსეთში და რუსულ ბაზარზე მოცვის გატანა შეფერხდა. როგორც წესი, **სოფლის მეურნეობის სამინიტრო არ აღიარებს ხოლმე, რომ ქართული პროდუქციის უდიდესი ნაწილი რუსეთში იყიდება, მაგრამ ახლა იძულებული შეიქნა, დაედასტურებინა — მოცვის მოსავლის 90%-ზე მეტი შარშან სწორედ რუსულ ბაზარზე გაიყიდა, უმნიშვნელო რაოდენობა კი — სომხეთში, საამიროებში, უკრაინასა და პოლონეთში გავიდა.** ამ ქვეყნებში მოცვის უმნიშვნელო რაოდენობა ახლაც გავიდა, მაგრამ რუსეთში მოცვის ჭარბი მოსავლის გამო ქართული მოცვის შეფერხებამ ქართველი მეწარმეები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. სოფლის მეურნეობის სამინისტრო თითს ისევ რუსეთისკენ იშვერს, აქაოდა, მათი ჭარბი მოსავლის გამო, თუ შარშან მოცვი 7-9 დოლარი ღირდა, ახლა მისი ფასი 3-4 დოლარამდე დაეცაო. შესაბამისად, მწარმოებლებს ადგილზე მხოლოდ 1.5 დოლარს უხდიან და ესეც იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი გამოჩნდა. სამინისტროს აზრით, **რუსეთი ყოფილა დამნაშავე იმიტომ, რომ მსოფლიო ტენდენციას აჰყვა, მოცვის მოყვანა დაიწყო და ბაზარზე საკუთარი პროდუქცია გამოუშვა.**

გაგიკვირდებათ და, როცა **რუსეთში ერთი კილოგრამი მოცვი 3-4 დოლარი ღირს, ევროპაში მისი ფასი 6-8 ევრომდე მერყეობს, ე.ი., მოცვის ევროპაში გატანა გაცილებით მომგებიანია, ვიდრე რუსეთში. ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარხული — ევროპას ქართული მოცვი არ მიაქვს და იმიტომ კი არა, რომ ქართული პროდუქტი ცუდია (პირიქით, ძალიან კარგია), არამედ იმიტომ, რომ ქართულ პროდუქტს, უბრალოდ, ბაზარზე არ უშვებენ, რათა იქაური ნაწარმი არ ჩაძიროს და შემთხვევით მისი ადგილი ქართულმა არ დაიკავოს.**

**რუსეთში ერთი კილოგრამი მოცვი 3-4 დოლარი ღირს, ევროპაში მისი ფასი 6-8 ევრომდე მერყეობს, ე.ი., მოცვის ევროპაში გატანა გაცილებით მომგებიანია, ვიდრე რუსეთში. ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარხული — ევროპას ქართული მოცვი არ მიაქვს და იმიტომ კი არა, რომ ქართული პროდუქტი ცუდია (პირიქით, ძალიან კარგია), არამედ იმიტომ, რომ ქართულ პროდუქტს, უბრალოდ, ბაზარზე არ უშვებენ, რათა იქაური ნაწარმი არ განიდევნოს და შემთხვევით მისი ადგილი ქართულმა არ დაიკავოს**

ჰოდა, ვეკითხებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საგარეო უწყებას: **სად არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ევროპა? სად არის მეგობრობა და ევროკავშირისკენ სწრაფვაში ხელშეწყობა?** რომელ ევროკავშირზეა საუბარი, „დეზერტირების ბაზარში“ არ გვიშვებენ, ჩვენი პროდუქცია რომ გავასაღოთ?! **გამოვიდეს ახლა მთავრობის რომელიმე წევრი და მოგვიწოდოს: არიქა, მეგობრებო, ქართველ ფერმერებს უჭირთ, ჩადებული ინვესტიციები წყალს მიაქვს, მოცვი იყიდეთ, თანაც საუკეთესო პროდუქციააო. ამას ვერც ერთი ვერ იზამს, იმიტომ, რომ დასავლელი ელჩები მაშინვე თავში წამოარტყამენ, — შენ ჩვენს ბაზარში ჩარევას როგორ ბედავო?**

რა გამოდის? რუსეთმა ნებისმიერი პროდუციის მოყვანა რომ დაიწყოს ჭარბად, ქართული ბაზარი კვდება? კარგია, რომ ყურძენსა და ატამს თუ ვაშლატამას, იქაური კლიმატის გამო ვერ მოიყვანენ (თუმცა ესეც ჯერ-ჯერობით), ანუ მთავარი პროდუქტები ისევ აქედან შევა, მაგრამ ეგებ სამომავლოდ ის მაინც გაითვალისწინოთ, რომ კონკრეტულად ერთი პროდუქცია წელს ძვირი თუ ღირს და დეფიციტურია, თავი თქვენს გარდა სხვასაც აბია და მეორე თუ არა, მესამე წელს მაინც, წარმოებას ისიც დაიწყებს, და ქართველი ფერმერები არ შეაკლათ თქვენს მიერვე მოგონილ „ნოუ ჰაუს“.

საინტერესოა, რომ ყოველთვის ყველაფერში დამნაშავე რუსეთია. მუშაობს ბაზარი — რუსეთი ოკუპანტი და მტერია; არ მუშაობს და, რაღა თქმა უნდა, ისევ ოკუპანტი და მტერია. რეალურად, **წინა ხელისუფლებასაც და ამჟამინდელსაც, ხელის შესაწმენდად რუსეთი აქვს არჩეული და ამ ყველაფერს ისე მიეჩვივნენ, ქალმა ვინმეს ცოლად გაყოლაზე უარი რომ უთხრას, იმასაც რუსეთს დააბრალებენ. სამაგიეროდ, დასავლეთია მუდამ „თეთრი და ფუმფულა“ და არავინ არ ფიქრობს, ოდესმე, ერთხელ მაინც, მას პასუხი მოსთხოვოს.**

შარშანდელი მონაცემებით, მოცვი, ძირითადად, რუსეთში გაიტანეს და მცირე რაოდენობით სხვა ქვეყნებში — სომხეთში, საამიროებში, უკრაინაში, პოლონეთში. რატომღაც ამ სიაში ვერ ვხედავთ ვერც გერმანიას, ვერც საფრანგეთსა და ჰოლანდიას... **სწორედ ამ ქვეყნის ელჩებმა დაიბერეს კისრის ძარღვები 5 ივლისს ლგბტ თემის დაცვით და სწორედ ისინი იყვნენ, ხელისუფლებას რომ ამუნათებდნენ. მაშინ სად ხართ, ბატონებო, როცა საქმე საქართველოში მოწეული პროდუქტების ლპობასა და ფერმერთა ზარალს ეხება?! თუ თქვენ მხოლოდ პოლიტიკური მიმართულებით ხართ ელჩები და ადამიანები შიმშლით თუ დაიხოცებიან, თქვენ არ გეხებათ?!**

**შარშანდელი მონაცემებით, მოცვი, ძირითადად, რუსეთში გაიტანეს და მცირე რაოდენობით სხვა ქვეყნებში — სომხეთში, საამიროებში, უკრაინაში, პოლონეთში. რატომღაც ამ სიაში ვერ ვხედავთ ვერც გერმანიას, ვერც საფრანგეთსა და ჰოლანდიას... სწორედ ამ ქვეყნების ელჩებმა დაიბერეს კისრის ძარღვები 5 ივლისს ლგბტ თემის დაცვით და სწორედ ისინი იყვნენ, ხელისუფლებას რომ ამუნათებდნენ. მაშინ სად ხართ, ბატონებო, როცა საქმე საქართველოში მოწეული პროდუქტების ლპობასა და ფერმერთა ზარალს ეხება?! თუ თქვენ მხოლოდ პოლიტიკური მიმართულებით ხართ ელჩები და, ადამიანები შიმშლით თუ დაიხოცებიან, თქვენ არ გეხებათ?!**

საბედნიეროდ, საქართველოში ტურისტების შემოსვლა ნელ-ნელა ჩვეულ ნიშნულს უბრუნდება, თუმცა, საუბედუროდ, უფრო და უფრო მატულობს ე.წ. ინდური შტამის შემთხვევები. სავარაუდოდ, ესეც რუსეთს დაბრალდება, რადგან ტურისტებს შორის სწორედ რუსები ჭარბობენ. თანაც, ძალიან მარტივია, ყველაფერი ისევ რუსეთს შეტენო, სადაც ამდენი აუტანია, ამასაც აიტანს. სამაგიეროდ, დასავლეთის თვალში გამოვჩნდებით „გმირები“ და მერე რა, რომ დასავლეთს საერთოდ არ ადარდებს, საღამოს ქართველი გლეხი მშიერი იძინებს თუ მაძღარი. მათთვის მთავარი ხომ პოლიტიკაა (ხეირის მომტანი მათთვის და არა ჩვენთვის) და არა ადამიანების ყოფა...

**ბესო ბარბაქაძე**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ ცდილობს ასე თავგამოდებით ლიბერალური ელიტა, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, განახევრებული, ტერიტორიაწართმეული და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმობნეული უძველესი კულტურის მქონე ერის საბოლოოდ გაქრობას? რატომ გვახვევენ თავს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლების პრინციპებს ამოფარებულნი, ისეთ კანონებს, რომლებიც ძირს უთხრის ოჯახს, სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ თვითმყოფადობას, ჯანსაღ ტრადიციებს, ქრისტიანულ მორალსა და ზნეობას, მართმადიდებელ ეკლესიასა და რწმენას?**

# თანამედროვე ლიბერალიზმის რეალური სახე ქართულ სინამდვილეში

**ივლისის ცხელ დღეებს მაღალი პოლიტიკური ტემპერატურაც დაემატა. დასავლეთში დაწერილი სცენარით მოქმედმა კოაბიტირებულმა ქოცნაცურმა პოლიტიკურმა ელიტამ საქართველოში საზაფხულო გასტროლები დაიწყო.
რა თქმა უნდა, წარმოდგენების დასკვნითი ნაწილი შემოდგომისთვის არის დაგეგმილი.**

21 ოქტომბრის არჩევნებში წარმოჩნდება სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტად გაშლილი ქოც-ნაცური სპექტაკლის შედეგები. ასეთ გარემოში სრულიად განსხვავებული ორიენტაციის კონსერვატიულ ძალებს პოლიტიკურ განზომილებაში დამკვიდრების არც ისე ურიგო შანსი გაუჩნდათ. თანამედროვე ლიბერალიზმის იდეოლოგებმა, რომლის თავგამოდებული ლობისტებიც ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლებებია, 1-5 ივლისს „თბილისის პარაიდის" კვირეულის გამართვა განიზრახეს. ამ მიზნის მისაღწევად მძლავრად აამოქმედეს მათგან მართული თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება.

ლიბერალები „თბილისის პრაიდის" არსს ასე განმარტავენ: „თბილისის პრაიდი" არის სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც უპირისპირდება ჰომო და ტრანსფობიას და საჯარო შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების გამოყენების გზით იბრძვის მის დასაძლევად. მოძრაობის მიზანია ქვეყანაში ისეთი გარემოს ფორმირების ხელშეწყობა, რომელშიც ლგბტ ადამიანები არიან დაცული, მიღებული, თავისუფალი და სხვა მოქალაქეების თანასწორი". ერთი შეხედვით, პრაიდის მონაწილეთა ინტერესები სრულად ექცევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ რომის კონვენციის ჩარჩოებში და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. **ქართველი კონსერვატორები და პატრიოტები, საქართველოს პატრიარქი, მართმადიდებელი ეკლესია და მრევლის უდიდესი ნაწილი პრაიდის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და მათ დასავლელ ქომაგებს ქრისტიანული მორალისა და ზნეობის ხელყოფაში ადანაშაულებენ.**

5 ივლისს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი ლიბერალების „ღირსების მარში" ვერ შედგა. ამ დღეს **კონსერვატორების რადიკალურმა ჯგუფმა პარლამენტის წინ დაბანაკებულ პრაიდის მონაწილეებსა და მათ მხარდამჭერებს შეუტია. დამფრთხალი მოწინააღმდეგე პანიკურად უკუიქცა, ჭყლეტაში მოყოლილებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს, თუმცა ზოგიერთ მათგანს გაავებული კონსერვატორის მუშტიც მტკივნეულად მოხვდა. რამდენიმე წუთში მიტოვებული კარვები და იქიდან „სათნოდ მომზირალი" ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, სურათი ნაგვის გროვად იქცა. ამ ორი დაპირისპირებული ძალის ინტერესთა კონფლიქტი მხოლოდ უმცირესობის უფლებათა ხელყოფით ან ამ უმცირესობათა უზნეობის აღკვეთის მოთხოვნით რომ შემოიფარგლებოდეს, გაცილებით ნაკლებ უბედურებასთან გვექნებოდა საქმე.**

თუ ყველაფერს გონების თვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებები და თავისუფლებები თანამედროვე ლიბერალებს ფეხებზე ჰკიდიათ. სინამდვილეში მათი ქმედებები წარმოუდგენლად საგანგაშო შედეგებზეა გათვლილი. ამგვარი პრაიდები და სხვა გაცილებით მასშტაბური ღონისძიებები მიზნად ისახავს ნაციონალური სახელმწიფოებისა და ერების აღრევას, ოჯახის ინსტიტუტის გაქრობას, საბოლოო ჯამში კი შობადობისა და მოსახლეობის კონტროლის გზით დედამიწის მოსახლეობის კარდინალურად შემცირებას. ახალი გლობალური წესრიგის მესვეურები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ლიბერალიზმით გაჯერებულ საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქციონ ინდივიდები და თითქოსდა მათ კეთილდღეობაზე ზრუნვის თვალთმაქცური მოტივით შეძლონ უმრავლესობის სრული იზოლაცია და კონტროლი.

2015 წელს გერმანიის ერთერთ უძველეს ქალაქში ქართულ-გერმანული კავშირი დავაფუძნე, რომელშიც გერმანელებთან ერთად იქ მცხოვრები წარმატებული ქართველები მოვიზიდე. კავშირში გაწევრებულ ყველა თანამემულეს უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული და საქვეყნოდ ცნობილ „ფოლკსვაგენის" ქარხანაში ინჟინრად, იურისტად და პროგრამისტად მუშაობდნენ. **მათ შორის იყო ერთი უცნაური პროგრამისტი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ისეთი მათემატიკური ფორმულა ჰქონდა შექმნილი, რომ სათანადო დაფინანსების პირობებში შეეძლო, მსოფლიო წესრიგი შეეცვალა. მისი ფორმულის ამოქმედების შემთხვევაში აღარ იარსებებდა ფული, დაიწყებოდა ტოტალური კონტროლი ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაზე, ისეთი**



**უვარგისი და დრომოჭმული საქმიანობა, როგორიც ფილოსოფია და პოეზიაა, წარსულს ჩაბარდებოდა,** არც ლიტერატურასა და ხელოვნების მიმართულებებს დაუდგებოდა კარგი დღე. მოკლედ, მსოფლიოში გამეფდებოდა უსაზღვრო ტექნოლოგიური კონტროლი. **ეს ლიბერასტი ქართველი უბრალო გერმანელსაც კი ქედმაღლურად უყურებდა, განსაკუთრებით ვერ იტანდა ეკლესიას, მღვდელს, ქრისტინულ რელიგიას. მასთან საუბრისა და კამათისას მეჩვენებოდა, რომ რობოტს ვესაუბრებოდი. მისთვის ბიბლია და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც" კი საბავშვო ზღაპარი და მდარე ღირებულების ქმნილება იყო.**

მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი გალიბერალებული ახალგაზრდა კაცის ილუზიები ცხოვრებაში უკვე ხორციელდებოდა. მალე მე სამშობლოში დავბრუნდი და უეცრად კორონავირუსის პანდემიამ იფეთქა. **განვითარებულმა მოვლენებმა გერმანიაში დარჩენილი უცნაური თანამემულე გამახსენა. უეცრად მსოფლიოში ერთი ხელის დაკვრით დამყარდა ახალი წესრიგი და ტოტალური კონტროლისა და ციფრული ტექნოლოგიების ბატონობის ხანა დადგა. საინფორმაციო და შესაბამისი საკანონმდებლო ძალადობის შედეგად ადამიანები სრულ იზოლაციაში მოექცნენ,** უშუალო კონტაქტები და ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ფუნქციების აღსრულება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები ინტერნეტის მეშვეობით ვირტუალურ განზომილებაში გადავიდა. ფულის ნაცვლად გაჩნდა გაურკვეველი წარმომავლობის ბიტკოინები. **უზარმაზარი სივრცე ეკონომიკურმა კოლაფსმა მოიცვა, გამოუსწორებელი ზიანი მიადგა საშუალო ფენასა და მცირე ბიზნესს (აღარაფერს ვამბობ უქონლებზე), უზარმაზარი ვალი წამოიკიდეს პატარა და განვითარებადმა ქვეყნებმა. ტოტალურად მართული საკანონმდებლო და საინფორმაციო პროპაგანდის შედეგად პირბადეაფარებული და სახედაკარგული ადამიანები უეცრად იქცნენ ინდივიდუალურობაწართმეულ, ლაგამამოდებულ, დამფრთხალ არსებებად.** ამ არნახული მასობრივი ფსიქოზისა და კონტროლის პირობებში არსებობს ადამიანების მცირე ნაწილი, რომელიც ამ ყველაფერში ტრანსნაციონალური ლიბერალური ფინანსური კლანისა და მისგან მართულ ზესახელმწიფოთა ინტერესებს ხედავენ. **ისინი ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში დამყარებული ახალი წესრიგი წყალს ასხამს ძლევამოსილთა ფიფნასურ და პოლიტიკურ კაპიტალზე, აჩერებს საშიშ მიგრაციულ პროცესებსა და მსოფლიო მოსახლეობის კატასტროფულად მატების ტენდენციებს.** სხვათა შორის, თუ ევროპაში კოვიდპანდემიის „აფეთქების" მომენტს გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ ევროპული პანდემია ემთხვევა სირიაში განვითარებულ მოვლენებს, როცა რუსეთმა ცეცხლი გაუხსნა თურქეთის ჯარს. **მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა, არც ევროკავშირმა და არც მოკავშირეთა სამხედრო ალიანსმა მას მხარი არ დაუჭირეს. მოვლენების ამგვარი სცენარით განაწყენებულმა ერდოღანმა კი დაარღვია ევროკავშირთან დადებული შეთანხმება, რომელიც თურქეთის სახელმწიფოს ავალდებულებდა, სოლიდური თანხის სანაცვლოდ არაბული ქვეყნებიდან დევნილების ევროპისკენ გადაადგილება შეჩერებინა. თურქეთმა საზღვარი გახსნა და დევნილების უზარმაზარი ნაკადი ევროპას მიაწყდა.** ზუსტად მაშინ „იფეთქა" რატომღაც ევროპაში კოვიდ 19-ის პანდემიამ და ევროპის სახელმწიფოებმა საზღვრები ჩაკეტეს.

რადიკალური ლიბერალიზმი, რომელმაც დღეს ასეთი მასშტაბური სახე მიიღო, საკმაოდ შორიდან მოდის. ინგლისელმა მღვდელმა, ეკონომისტმა, სოციოლოგმა და დემოგრაფმა **თომას რობერტ მალთუსმა** ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში იწინასწარმეტყველა მოსალოდნელი დემოგრაფიული აფეთქების საგანგაშო შედეგები. **თავის კვლევებში მეცნიერი მღვდელი ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებების, ანუ სამომხმარებლო პროდუქტის (საკვების) მოპოვება (წარმოება) — არითმეტიკული პროგრესიით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა სოციალურ აფეთქებას.** მას მიაჩნდა, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპების შეჩერებაში დიდ როლს თამაშობდა დაავადებები, განსაკუთრებით ინფექციური (ეპიდემიები), ძალადობა, თავშეუკავებული სექსუალური ცხოვრება, გვიანი ქორწინება, ომი, კატასროფები და სხვა კატაკლიზმები. მალთუსი ცდილობდა, მოსახლეობის ზრდის პროცესების ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები „მოსახლეობის კანონის" სახით ჩამოეყალიბებინა.

არადა, მალთუსის სიცოცხლეში მსოფლიოს მოსახლეობამ ძლივს მიაღწია 1 მილიარდს. კიდევ ერთი მილიარდით მოსახლობის მატებას თითქმის 1 საუკუნე დასჭირდა. ნამდვილი დემოგრაფიული აფეთქება კი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: **მსოფლიოს მოსახლეობა 1962 წელს 3 მლრდ გახდა, 1974 წელს — 4 მლრდ, 1987 წელს — 5 მლრდ, 1999 წელს — 6 მლრდ, ხოლო 2011 წელს — 7 მლრდ. ამრიგად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს მოსახლეობამ უსწრაფესი ტემპით დაიწყო მატება უსასრულობისკენ. მოსახლეობის ჰიპერბოლური ზრდის ტენდენციებში მეცნიერებმა, ფინანსურმა ოლიგარქიამ და პოლიტიკოსებმა სერიოზული საფრთხე დაინახეს. არის სხვა საგანგაშო ტენდეციაც — ამჯერად მოსახლეობის ზრდის ტემპით ჩინეთსა და ინდოეთს აფრიკულმა და არაბულმა ქვეყნებმა გაუსწრეს. პარალელურად სრულიად საპირისპირო რამ ხდება უკიდურესი ლიბერალიზმის სენით დაავადებულ დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. აქ ძირძველი მოსახლეობა მცირდება. მხცოვან ადამიანთა რაოდენობა იზრდება, ხოლო ახალგაზრდობა საგანგაშოდ მცირდება.** ეს მოვლენა ევროპაში დემოგრაფიული პირამიდის სახელით არის ცნო- ▶

**კონსერვატორების რადიკალურმა ჯგუფმა პარლამენტის წინ დაბანაკებულ პრაიდის მონაწილეებსა და მათ მხარდამჭერებს შეუტია. დამფრთხალი მოწინააღმდეგე პანიკურად უკუიქცა, ჭყლეტაში მოყოლილებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს, თუმცა ზოგიერთ მათგანს გაავებული კონსერვატორის მუშტიც მტკივნეულად მოხვდა. რამდენიმე წუთში მიტოვებული კარვები და იქიდან «სათნოდ მომზირალი» ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, სურათი, ნაგვის გროვად იქცა. ამ ორი დაპირისპირებული ძალის ინტერესთა კონფლიქტი მხოლოდ უმცირესობის უფლებათა ხელყოფით ან ამ უმცირესობათა უზნეობის აღკვეთის მოთხოვნით რომ შემოიფარგლებოდეს, გაცილებით ნაკლებ უბედურებასთან გვექნებოდა საქმე**

**უზარმაზარი სივრცე ეკონომიკურმა კოლაფსმა მოიცვა, გამოუსწორებელი ზიანი მიადგა საშუალო ფენასა და მცირე ბიზნესს (აღარაფერს ვამბობ უქონლებზე), უზარმაზარი ვალი წამოიკიდეს პატარა და განვითარებადმა ქვეყნებმა. ტოტალურად მართული საკანონმდებლო და საინფორმაციო პროპაგანდის შედეგად პირბადეაფარებული და სახედაკარგული ადამიანები უეცრად იქცნენ ინდივიდუალურობაწართმეულ, ლაგამამოდებულ, დამფრთხალ არსებებად.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბილი. ევროპულ ქვეყნებში ამ შემაშფოთებელი დისბალანსის აღდგენა, ემიგრაციის, ძირითადად, აზიური, აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან შემოსული ლტოლვილების ხარჯზე ხდება. ამრიგად, დემოგრაფიულ აფეთქებას ახლავს არანაკლებ არნახული მიგრაციის ტალღა, რომელსაც განსაკუთრებით უწყობს ხელს ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმები (სამხედრო კონფლიქტები, საომარი მოქმედებები, რევოლუციები და სხვა პროცესები). მაგალითად, 2016 წელს სირიაში გაჩაღებული ომის შედეგად გერმანიას მილიონამდე ემიგრანტი მიაწყდა. რამდენიმე წლის წინათ, გაეროს მონაცემებით, ემიგრანტების საერთო რაოდენობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და 67 მილიონს გადააჭარბა. ძალზე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მალთუსის თეორია გამომდინარეობს და ეფუძნება არსებობისთვის ბრძოლის პრინციპებსა და შედეგებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდისა და არსებობის საშუალებების მოპოვების ტემპებს შორის დისბალანსი განსკუთრებით ამძაფრებს სოციალურ დაძაბულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თვალსაზრისით ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალური (სოციალისტური) იმპერიის, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ფაქტია, რომ ამ გლობალურ მოვლენას დაუყოვნებლივ მოჰყვა გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილებისათვის გააფთრებული ბრძოლა, რომელშიც წამყვან როლს თამაშობს ზესახელმწოფოების ინტერესებთან შერწყმული ტრანსნაციონალური ფინანსური კლანი. **დღეს საიდუმლო აღარ არის, რომ ხუთივე კონტინენტზე მსოფლიო სიმდიდრის 99%-ს ფლობს ადამიანთა 1%, მათგან კი 45 უმდიდრესი ადამიანი გიგანტური ქონების მეპატრონეა. სწორედ ამ ერთი მუჭა მდიდრებისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გაუმაძღრობის შედეგია განვითარებადი ქვეყნების უმოწყალოდ ძარცვა, ხელოვნურად შექმნილი და წახალისებული „ფერადი რევოლუციები“, ეთნოკონფლიქტები თუ პირდაპირი საომარი მოქმედებები (ინტერვენციისა და ოკუპაციის სახით), დევნილობა და არნახული მიგრაციული პროცესები.**

ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ადამიანური შრომის შემსუბუქებისა და კომფორტული გარემოს შექმნის პარალელურად, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა კიდევ უფრო გაამწვავა არსებობისთვის ბრძოლის პროცესი. ისიც უდავო ფაქტია, რომ სწორედ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა მისცა საშუალება ერთ მუჭა ადამიანებს, ხელში ჩაეგდოთ უსაზღვრო სიმდიდრე. უფრო მეტიც: **მათ თანამედროვე ტექნოლოგიებმა შესაძლებლობა მისცა, ერთი ცენტრიდან მართონ ადამიანთა უდიდესი მასები. არსებული სიტუაციის თავისებურება არის ისიც, რომ ფინანსურ კლანს თავისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დღეს აღარ სჭირდება იაფი მუშახელის უდიდესი ბაზარი. მათთვის საკმარისია მაღალკვალიფიციური და ზომბირებული ადამიანების მცირერიცხოვანი კადრები. დიახ, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეცნიერული მიღწევები საშუალებას იძლევა, შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსები ხელოვნური ინტელექტით ჩაანაცვლო. უდავო ფაქტია, უსულო რობოტი თანდათან იკავებს ადამიანის ადგილს ნებისმიერ სფეროში.**

**ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:**

**1. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და არსებულმა პოლიტიკურმა ფონმა ნაციონალურ სახელმწიფოებს ტრანსნაციონალური ფორმა შესძინა;**

**2. მსოფლიო სიმდიდრის ფაქტობრივი მეპატრონე მცირერიცხოვანი კლანი აღმოჩნდა და პოლიტიკური გავლენებიც მის ხელში მოექცა;**

**3. დემოგრაფიული აფეთქების შედეგად მსოფლიოს მოსახლეობამ, კარგა ხანია, საგანგაშო ნიშნულს მიაღწია;**

**4. დემოგრაფიული აფეთქების ეპიცენტრები, ძირითადად, აზიის, აფრიკისა და არაბულ ქვეყნებშია, დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კი პირიქით — ძირძველი მოსახლეობა საგანგაშოდ მცირდება;**

**5. აზიური, აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან დაძრული ემიგრაციის უზარმაზარი ტალღა მძიმედ ტვირთად აწვება დასავლეთს;**

**6. ფინანსური და პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობს, მის ხელთ არსებული რესურსებით, მათ შორის თანამდროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევებით, ლიბერალიზმის პროპაგანდითა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით ტოტალურ კონტროლს დაუქვემდებარონ ადამინები და მსოფლიო მოსახლეობა სასურველ ნიშნულამდე დაიყვანონ.**

ამრიგად, ფინანსური და პოლიტიკური ელიტა, კარგა ხანია, თავს იმტვრევს არა მხოლოდ მოსახლეობის ზრდის ტემპის შესაჩერებლად, არამედ მისი რაოდენობის „სასურველ“ ნიშნულამდე დასაყვანად (სხვადასხვა მოსაზრებით, ასეთი ნიშნული 1-2 მილიარდია). ამ თვალსაზრისით, **მათ, დიდი ხანია, ლიბერალიზმის სახით მიაკვლიეს ქმედუნარიან საშუალებას, რომელიც სქესობრივი უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის პოროპაგანდასა და წახალისებაში მდგომარობს. პარალელურად დაიწყეს შეტევა ტრადიციულ (პატრიარქალურ) ოჯახებზე (მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროზე), ჰეტეროსექსუალებსა და მათ დამცველ ეკლესიაზე.** ფაქტია, გასულ საუკუნეში სექსუალური რევოლუციებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ევროპის მასშტაბით გარკვეულ „წარმატებებსაც“ მიაღწიეს, თუმცა მსოფლიოს სხვა ნაწილში მათთვის ჯერჯერობით სანუგეშო არაფერია. **გლობალურ პრობლემებს შეჭიდებული გაბატონებული ელიტა ამიტომაც ცდილობს, ადამიანების მასობრივ „კასტრაციას“. ასე რომ, საქართველო დიდი ექსპერიმენტის პატარა ნაწილია, ჩვენთან არსებული პროცესები და პოლიტიკური ვნებათაღელვა კი — მისი მცირე გამოძახილი.**

და მაინც **რატომ ცდილობს ასე თავგამოდებით ლიბერალური ელიტა, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, განახევრებული, ტერიტორიაწართმეული და მსოფლიოს სხვადახვა კუთხეში მიმობნეული უძველის კულტურის მქონე ერის საბოლოოდ გაქრობას? რატომ გვახვევენ თავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებების პრინციპებს ამოფარებულნი, ისეთ კანონებს, რომლებიც ძირს უთხრის ოჯახს, სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ თვითმყოფადობას, ჯანსაღ ტრადიციებს, ქრისტიანულ მორალსა და ზნეობას, მართლმადიდებელ ეკლესიასა და რწმენას? რატომ გვჩრიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების „მოოქროვილ ჩარჩოში“ ჩასმულ ისეთ კანონებსა და იდეოლოგიას, რომელიც რყვნის ახალგაზრდობას, სექსულური და ასაკობრივი ნიშნით ყოფს და აპირისპირებს ადამიანებს? იქნებ მათ ჩვენი ღვთივკურთხეული მიწა სურთ ქართველების გარეშე?**

აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ლიბერალიზმის მესვეურებმა ძალიან კარგად იციან, რა მოუტანა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ლიბერალიზმის სამშობლოს — დასავლეთს ამგვარმა რეფორმებმა. **თითქმის 10 წელი ვიცხოვრე გერმანიაში და კარგად ვიცი იქ არსებული დემოგრაფიული პირამიდის შემაშფოთებელი შედეგები. გერმანელები (ისე, როგორც სხვა ევროპელები) ჯერჯერობით ამ პრობლემას, როგორც უკვე აღვნიშნე, ემიგრანტების ხარჯზე უმკლავდებიან. ემიგრნატები და მათი შთამომავლობა კი თანდათან იკავებენ აქტიურ პოზიციებს ადგილობრივ ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ეს პროცესი განსაკუთრებით აშფოთებს ძირძველ მოსახლეობას. სწორედ ამის გამოძახილია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაციონალისტური და კონსერვატიული ტენდენციების გააქტიურება.**

ამ გადასახედიდან **საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ ევროპელებს, მათ მძლავრ სახელმწიფოებს უკიდურესმა ლიბერალიზმმა უმცირესობაში ყოფნისა და სხვა კატაკლიზმების საფრთხე შეუქმნა, რას მოუტონს მათი კანონებისა და წესრიგის ისეთ ქვეყანაში დამკვიდრება, რომელსაც, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობა არ აქვს; რას დამართებს უკიდურესი ლიბერალიზმი იმ ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც ისედაც სულს ღაფავს და უცხოური სესხით სულდგმულობს, რა ბედი ეწევა უმოკლეს პერიოდში თითქმის განახევრებულ და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფნტულ ძირძველ მოსახლეობას.**

ჩემო გონიერო მკითხველო, ალბათ, დამეთანხმებით, რომ **ამ საყოველთაო გამოწვევებისა და საშიში ტენდენციების ფონზე, ჩვენ, პატარა ერის შვილებს, განსაკუთრებული წინდახედულობა გვმართებს. დადგა დრო, განგაშის ზარები დავარისხოთ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ გლობალური პროექტების არქიტექტორებს ქართველი ერის მომავალი და მისი მართლმადიდებლური მრწამსი არ ანაღვლებთ. მეტიც, ქართული კონსერვატიზმი, ნაციონალური ინტერესები, თავისი მართლმადიდებელი ეკლესიით მათთვის ზედმეტი თავის ტკივილია, ამიტომაც ებრძვიან მას ასე თავგამოდებით. საქართველო არასდროს მდგარა ასეთი განსაცდელის წინაშე.** უწინ მტერი აშკარად, იარაღმომარჯვებული გვებრძოდა, დღეს კი შორეული „მოყვარე“ ფოჩიან კანფეტში ჩაღვენთილი შხამით გვწამლავს. ალბათ, დადგა ჟამი, ამ უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს მოსახლეობა, ქართველი მამულიშვილების მეთაურობით, ზნეობრიობის დროშის ქვეშ დადგეს.

წინ ახალი დიდგორი გველოდება, მხოლოდ ასეთ, ერთ მუშტად შეკრულ ერთობას შეეწევა უფალი!

**ზურაბ დგებუაძე**



**დღეს საიდუმლო აღარ არის, რომ ხუთივე კონტინენტზე მსოფლიო სიმდიდრის 99%-ს ფლობს ადამიანთა 1%, მათგან კი 45 უმდიდრესი ადამიანი გიგანტური ქონების მეპატრონეა. სწორედ ამ ერთი მუჭა მდიდრებისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გაუმაძღრობის შედეგია განვითარებადი ქვეყნების უმოწყალოდ ძარცვა, ხელოვნურად შექმნილი და წახალისებული «ფერადი რევოლუციები», ეთნოკონფლიქტები თუ პირდაპირი საომარი მოქმედებები (ინტერვენციისა და ოკუპაციის სახით), დევნილობა და არნახული მიგრაციული პროცესები**

**თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა საშუალება მისცა ერთ მუჭა ადამიანებს, ხელში ჩაეგდოთ უსაზღვრო სიმდიდრე. უფრო მეტიც: მათ თანამედროვე ტექნოლოგიებმა შესაძლებლობა მისცა, ერთი ცენტრიდან მართონ ადამიანთა უდიდესი მასები. არსებული სიტუაციის თავისებურება არის ისიც, რომ ფინანსურ კლანს თავისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დღეს აღარ სჭირდება იაფი მუშახელის უდიდესი ბაზარი. მათთვის საკმარისია მაღალკვალიფიციური და ზომბირებული ადამიანების მცირერიცხოვანი კადრები. დიახ, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეცნიერული მიღწევები საშუალებას იძლევა, შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსები ხელოვნური ინტელექტით ჩაანაცვლო. უდავო ფაქტია, უსულო რობოტი თანდათან იკავებს ადამიანის ადგილს ნებისმიერ სფეროში**

აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი და ფიზიკოსი, ლიტერატორი და მორალისტი ბლეზ პასკალი თავის უკვდავ ნაწარმოებ „აზრებში“ წერს: „სჯობს, იყო ხარაზი და გეძინოს მეფურ სიზმრებში, ვიდრე იყო მეფე და სიზმრად ცხოვრობდე ხარაზის ცხოვრებით“... ერთხელ ბატონ ბიძინას დავუწერე — სრულიადაც არ მშურს თქვენი ბევრი ფული და არც თქვენი „მშვიდი ძილის“-მეთქი“.**

# გრიგოლ ონიანი: XX საუკუნის ყალბი ისტორია, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გააყალბეს ისტორიის «პიგმეებმა», უნდა განადგურდეს!

**ბატონი გრიგოლ ონიანი, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე, როგორც ავტორი, 2014 წლიდან თანამშრომლობს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“. ამ წლების განმავლობაში გაზეთის ყოველ ნომერში აქვეყნებს წერილებს კაცობრიობის ისტორიაში უნიშვნელოვანესი პიროვნების, ბევრისთვის ჯერ კიდევ ამოუცნობი პოლიტიკური ფიგურის, სტალინის ფენომენის შესახებ, მის როლზე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, ფაშიზმზე გამარჯვებაში, მენშევიკების მიერ გატაცებული ქართული საგანძურის საქართველოში დაბრუნებაში, ქართული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურისა და არქიტექტურის აყვავების საქმეში; ცდილობს, პასუხი გასცეს ისტორიის ასე მომრავლებულ ფალსიფიკატორებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებაში საბჭოთა კავშირისა და სტალინის როლების დაკნინებას ცდილობენ.**

## «ბიბლიური ათი მცნება, როგორც პროგრესული მოძღვრება, იესო ნაზარეველმა დახვეწა, ოცი საუკუნის შემდეგ კი სტალინმა ადამიანთა ცხოვრების წესად აქცია»

**მდიდარი ბიოგრაფიის მქონე, მრავალჭირგამოვლილ გრიგოლ ონიანს, რომელსაც რამდენიმე დღეში, 25 ივლისს, დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდება, ეპოქალურმა რყევებმა სამართლიანობის განცდა ვერ დაუჩლუნგა და ჭეშმარიტების დადგენის სურვილი ვერ დაუკარგა. „სტალინი — ეს სახელი საუკუნეებს გაუძლებს, ამ ადამიანის საიდუმლოს თაობები შეისწავლიან“, — ასე იწყება გრიგოლ ონიანის ბესტსელერადქცეული მრავალტომეულის ერთ-ერთი ტომი (დღეს გამოცემულია 6 ტომი, გამოსაცემად მზადდება მე-7).**

**ბატონ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲡ იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე ვესტუმრეთ და იმ აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრეთ, რომლებიც ყველა თაობის წარმომადგენლებისთვის საინტერესოა.**

**— ბატონო გრიგოლ, რამდენიმე დღეში 85 წელი შეგისრულდებათ. ისე მხნედ გამოიყურებით, ვერავინ იტყვის, რომ ამდენი წელი გაწევთ მხრებზე. ხომ არ გაგვიმხელთ იმ საიდუმლოს, რით შეინარჩუნეთ ყველა ადამიანისათვის ესოდენ ძვირფასი ჯანმრთელობა და მხნეობა?**

— ადამიანის წელთა სიმრავლე, ცხოვრება, დიდად არის დამოკიდებული მის ბუნებაზე. ბოროტი ადამიანები ხშირად ცოტა ხანს ცოცხლობენ, რადგან ცხოვრების მძიმე ჭაპანს ემატება ბოროტი ზრახვები, რომლებიც კიდევ უფრო ამძიმებს მათ ცხოვრებისეულ ტვირთს. ბოროტება არა მხოლოდ კაცის კვლა, ყაჩაღობა და ბანდიტობაა, არამედ შური, ბოღმა, ტყუილი, მომხვეჭელობა, ანგარება, არასწორი გზით ბევრი ფულის შოვნისკენ სწრაფვა და მერე, ასე ვთქვათ, „მოპოვებულის“ დაცვა. **ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲑᲚᲔᲖ ᲞᲐᲡᲙᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑ „ᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ“ ᲬᲔᲠᲡ: „ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲘᲧᲝ ᲮᲐᲠᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲫᲘᲜᲝᲡ ᲛᲔᲤᲣᲠ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲨᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲖᲛᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲔ ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ“... ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲬᲔᲠᲔ — ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲨᲣᲠᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ „ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲫᲘᲚᲘᲡ“-ᲛᲔᲗᲥᲘ.**

**— ბატონო გრიგოლ, აგერ უკვე 7 წელია, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ არც ერთი ნომერი არ ჩაგიგდიათ, რომ სტალინის ფენომენსა და მის გენიაზე არ გამოგექვეყნებინათ სტატიები, რომლებიც, ძირითადად, საარქივო დოკუმენტებზეა აგებული. როგორ ახერხებთ ამას?**

— არაადამიანური შრომით. მე გამორჩეული ნიჭითა და უნარებით დაჯილდოებული კაცი არ ვარ. ბუნებამ არაფერი მიბოძა ჯანმრთელობის გარდა. არ ვიცი სიმღერა, ცეკვა, ხატვა, სპორტის არც ერთ სახეობაში არ მაქვს გამორჩეული ნიჭი. გაზეთისთვის მოწოდებული მასალა და მასზე მუშაობა კი ქვის კოდვის ტოლფასია, რომელიც უზარმაზარ შრომასთან არის დაკავშირებული. ღამე ისე დამთენებია თავზე, ვერც გამიგია, სანამ ელექტრონათურას დღის შუქი არ შეცვლიდა.

**— ახალგაზრდობიდანვე ასე მუშაობდით?**

— ახალგაზრდობაში ღვინის სმას, სადღეგრძელოებსა და სამეურნეო საქმიანობას ვიყავი გადაყოლილი და სად მეცალა წიგნების დასაწერად (იღიმის)? ოდესმე თუ წიგნს დავწერდი, ვერც კი წარმომედგინა. მამაჩემს რომ ენახა წიგნზე ავტორად დაწერილი ჩემი სახელი და გვარი, ალბათ, სიხარულით გაგიჟდებოდა.

**— მაინც როგორ გადადგით პირველი ნაბიჯი წიგნის დაწერისკენ?**

— აკადემიკოსმა **ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲛᲐ** ეროვნულ აკადემიაში, მის სამუშაო ოთახში, სადაც შემთხვევით მოვხვდი, თხელი ბროშურა გადმომცა. როგორც კი დავხედე, მომეწონა. თავდაპირველად ბროშურის დიზაინმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომელსაც ჰქონდა წარწერა „აკადემიკოს ნიკო მარის 120 წელი“. ბროშურის კითხვა იქვე დავიწყე. თხრობა იწყებოდა ნიკო მარის ფრაზიდან ამონარიდით ქართული ენის შესახებ. ბროშურის კითხვა მანქანაში განვაგრძე. შინ მისულმა, **ᲡᲐᲜᲐᲛ ᲚᲘᲤᲢᲘ ᲩᲔᲛ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲓᲐ, ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ. ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲐᲗᲓᲘ, ᲤᲚᲝᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲛᲝᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ, ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲓᲐᲕᲨᲐᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ.** მივადექი რუსულ წარწერას, რომელიც გაზეთ „პრავდის“ რომელიღაც ნომრიდან იყო მოყვანილი: „Великий учйнный из грузинской семьи“. სათაურის ქვეშ ქვესათაური ჰქონდა, უფრო მსხვილი ასოებით: Народ должен знать своих учённых“. სიტყვათა წყობამ, აზრთა სისადავემ, ამ სიტყვების ავტორამდე მიმიყვანა. **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲣᲙᲐᲜᲩᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲛᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲪᲐ ᲒᲐᲛᲔᲮᲡᲜᲐ... ᲙᲐᲚᲐᲛᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲙᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ, — ᲒᲠᲘᲨᲐ ᲬᲔᲠᲐᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ.** ასე დაიწყო ჩემი უძილო ღამეები და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მუზეუმებში უთავბოლო ხეტიალი...



**«ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲨᲘ ᲣᲙᲐᲜᲩᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲛᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲪᲐ ᲒᲐᲛᲔᲮᲡᲜᲐ... ᲙᲐᲚᲐᲛᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲙᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ, — ᲒᲠᲘᲨᲐ ᲬᲔᲠᲐᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲐᲡᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲣᲫᲘᲚᲝ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲨᲘ ᲣᲗᲐᲕᲑᲝᲚᲝ ᲮᲔᲢᲘᲐᲚᲘ»**

**— ამ წლების განმავლობაში უკვე გამოეცით „სტალინის“ 6 ტომი, რომლებიც ბესტსელერად იქცა. როგორც თქვენი წიგნების ერთგულ მკითხველს, მაინტერესებს, კიდევ რამდენი ტომის მასალა შეიძლება მოიპოვოთ?**

— ჯერ ჩაძირულ „ტიტანიკამდე“ არ მიმიღწევია. ვნახოთ, რა დამხვდება იქ. ბევრჯერ გამცრუებია იმედი — როცა მეგონა, უკვე მივედი განძთან, ბუტაფორია დამხვედრია, მაგრამ ვფიქრობ, „ტიტანიკზე“ არსებული ყველა ძვირფასეულობა აღწერილია გემზე ატანამდე, ამიტომ მათი ადგილზე დათვალიერება ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ფანატიზმით შეიძლება განისაზღვროს.

**— ჩაძირულ ტიტანიკში, ალბათ, სტალინს გულისხმობთ, არა?**

— დიახ, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲔᲡ „ᲛᲝᲓᲠᲔᲘᲤᲔ ᲐᲘᲡᲑᲔᲠᲒᲔᲑᲛᲐ“ — ᲛᲐᲡᲝᲜᲗᲐ ᲚᲝᲟᲔᲑᲛᲐ. ᲡᲣᲠᲓᲐᲗ, ᲒᲐᲔᲫᲐᲠᲪᲕᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲘᲛ ᲢᲕᲘᲠᲗᲐᲛᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲙᲡ“ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲖᲔ ᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲣᲠᲗᲣᲚᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲜ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.**

**— და რა ერქმევა ამ სასწაულს?**

— სტალინიზმი. მე-20 საუკუნის ყალბი ისტორია, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გააყალბეს სტალინის შემდეგდროინდელმა „პიგმეებმა“, უნდა განადგურდეს. და ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიყალბის საძირკვლის ჩამყრელი სწორედ სტალინია. სტალინმა, თავკერძა დედ-მამის შვილივით მიისაკუთრა „მუჟიკი“ რუსების მიერ გაღმერთებული ლენინის არაფრის მაქნისი თეორია და მისი მემკვიდრე გახდა, რომ არაფერი ვთქვათ, მის მოწაფეობაზე. სიტყვა „ცეცხლის“ წარმოთქმით ენა არ იწვის — **ᲘᲤᲘᲪᲔᲑᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲛᲘᲡ ᲧᲐᲚᲑ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲘᲗ, ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲙᲘᲗ. ᲪᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ-** ▶



აქტუალური ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „სტალინი შეიწირეს „მოდრეიფე აისბერგებმა“ — მასონთა ლოჟებმა. და სურდათ, გაექარცვათ, მაგრამ მეცნიერებამ ვერ შექმნა იმ ტვირთამწეობის მექანიზმი, რომელიც „ტიტანიკს“ მზის სინათლეზე ამოიტანდა, ამიტომ მას ოკეანის ფსკერზე სწავლობენ ურთულეს პირობებში, რათა ხელახლა შექმნან მსგავსი სასწაული“.

◀ **გულ ქრისტიანულ მორალსა და პატრიარქის ტახტს განამტკიცებდა.**

დღეს სტალინიზმი სოციალიზმია. თუ მას სტალინის სიცოცხლეში რუსული სოციალიზმი ერქვა, ამჟამად ჩინურ სოციალიზმად გადაიქცა. სოციალიზმი, სადაც უნდა არსებობდეს ის, სტალინიზმის არსებობაა. ჩამორჩენილი ჩინეთის სუპერსახელმწიფოდ გადაქცევა სტალინიზმის ბრწყინვალე გამარჯვებაა. დღევანდელი ღარიბი რუსეთის უძლეველობის სიმბოლოც სტალინიზმია. უკვდავი არასდროს კვდება და არ მოკვდება. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. **ისწავლო სტალინი, ნიშნავს, სწავლობდე მე-20 საუკუნეს: „სხვა მეოცე საუკუნე არასოდეს არ ყოფილა“, — ამბობს გალაკტიონი.**

**— ბატონო გრიგოლ, სტალინზე ბევრი რამ დაწერეთ და კიდევ ბევრს დაწერთ, მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს: რატომ ებრძვის დასავლეთი ასეთი თავგამოდებით ტრადიციასა და სარწმუნოებას?**

— ეს ახალი არ არის. ეს გუშინდელი დღის გამეორებაა. ეს ნეოტროცკიზმია, ამ იდეოლოგიით რუს ხალხს მსოფლიო რევოლუციაში კოცონზე ფიჩხის მოვალეობა უნდა შეესრულებინა. დასავლეთი ხარხარებდა და დასცინოდა სტალინს, რათა მას სურდა, შეექმნა ახალი ადამიანი; დასცინოდა, რადგან არ იცის, ადამიანი ადამიანად რომ არის დაბადებულიო. დიახ, სტალინმა ნამდვილად შექმნა ახალი ადამიანი, რომელსაც ხელში მისცა საუკუნეებგამოვლილი აპრობირებული სამოქმედო პროგრამა **„საბჭოთა კონსტიტუცია“,** რომელსაც ხალხმა **„სტალინური კონტიტუცია“** უწოდა. რა იყო საბჭოთა ადამიანის მორალური კოდექსი, რომელიც კონსტიტუციაში ჩაიდო? **ბიბლიური ათი მცნება, როგორც პროგრესული მოძღვრება, იესო ნაზარეველმა დახვეწა, ოცი საუკუნის შემდეგ კი საბოლოო სახით სტალინმა ადამიანთა ცხოვრების წესად აქცია.** არავინ იცის, როგორი იქნება საზოგადოება, რომელშიც მათ მიერ (ვგულისმობ ლიბერალური სამყაროს) „შექმნილი“ ადამიანები იცხოვრებენ. ვინ დაბეჭდავს **სოფოკლეს** „ოიდიპოს მეფეს“, როგორც ტრაგედიას, რომელიც კომედიად გადაიქცევა, როდესაც „ჭიქა წყლის გამო“ (დედასთან სქესობრივი აქტის მიზეზით) ოიდიპოსი თვალებს დაითხრის და კიბიდან დაგორდება? როგორ ახარხარდება სამყარო, როდესაც მსოფლიოში განდიდებული **შექსპირი** ტაკიმასხარად იქნება აღიარებული მისი ეჭვიანობის გამო; გაქრებიან კასიოები, იაგოები, დეზდემონები და მათ ადგილს დაიკავებენ ლიბერალები — კრებსითი ლომჯარიები, ხიდაშელები, ჩერგოლეიშვილები და სხვანი; დაიდგმება ვოდევილები: როგორ ნეტარებას განიცდის დეისაძე მშობელ დედაზე, როგორ გარყვნილებას ეწევა „ოქროს ხანის“ შემოქმედი **თამარ მეფე;** ისწავლიან, როგორ მოიშორონ ორსულმა მოსწავლე გოგონებმა ნაყოფი თუნდაც დიდ შესვენებაზე, გაკვეთილებს შორის. აი, ასეთი იქნება ლიბერალების მიერ ახალი ადამიანებისაგან შექმნილი საზოგადოება. თუ ტრადიციულ ქართულ ცეკვაში სამჯერ ეახლება ვაჟი ქალს, რათა გამოიცეკვოს, ხოლო ქალი მაინც უარზეა, თანამედროვე აღზრდისა და ცეკვის ილეთების მიხედვით, ვაჟმა რეპით უნდა მიმართოს თავის პარტნიორს — „ჩაიხადე მალე, უნდა გიქნა მალე, დრო არა მაქვს, მალე“. იქნებ ასეც ჯობდეს, რადგან დროის აჩქარებამ, სექსიც დააჩქარა, მაგრამ დახეთ, კიდევ არსებობენ ტრადიციის დამცველი ქალები, რომლებიც გლობალურ ტენდენციებთან ბრძოლაში ტოლს არ უდებდნენ მამაკაცებს. სწორედ ასეთი გმირობის ტოლფასია **ნინო სუხიშვილი,** რომლის სახელიც **მაია წყნეთელისა** და **თამარ ვაშლოვნელის** სახელების გვერდით სამუდამოდ ჩაიწერება სპეტაკ ქართველ ქალთა მატიანეში.

**— გლობალური ტენდენციები ახსენეთ...**

— გლობალურ ტენდენციასა და გეოპოლიტიკაზე რა უნდა გითხრათ? აგვიკრძალეს ფილმ „გიორგი სააკაძის“ ჩვენება და ყურება, ეკრანებიდან გაქრა ფილმი „ბაში-აჩუკი“, სცენიდან ჩამოვიდა „ღალატი“, „სამშობლო“; აგვიკრძალეს სახალხო დღესასწაულები „დიდგორობა“, „არხილოსკალოობა“. გაგონება არავის უნდა ასპინძის, კრწანისის, ტაშისკარის ბრძოლების. **დავით აღმაშენებელი** ჯალათია, ადამიანებს სარზე სვამდაო; თამარი მეფე ბოზიაო, გიორგი მეფე — პედოფილი, ვახტანგ გორგასალი — ლოთი, ერეკლე — გამყიდველი, სტალინი — მანიაკი, ადამიანებს ხოცავდაო. დიდი მოურავი, თურმე, წიწილებივით ხოცავდა თურქებსა და ირანელებს. სამშობლოს თოფითა და ხმლით იცავდნენ და არა ცივილიზებულად — შარვლის ჩახდითა და მტრისთვის უკანალის მიშვერითო. 1943 წელს სტალინგრადთან გამარჯვების აღსანიშნავად **სალვადორ დალიმ** სტალინს ფერწერული ტილო მიუძღვნა — „გეოპოლიტიკური ბავშვი ახალშობილის დაბადებას უყურებს“. ამ ტილოზე პლანეტაზე თითის მიშვერით პატარა ბავშვს მიანიშნებს, რომ კვერცხის ფორმის დედამიწის სფერო ერთ ადგილზე (მიანიშნებს კავკასიაზე) იხსნება და ახალშობილი ცდილობს გარეთ გამოსვლას. როგორც ყოველთვის და ყველგან, დაბადებას თან სდევს სისხლი, დედამიწის სფეროდანაც მოედინება სისხლი და ქვემოთ გუბე დგება. აი, ეს არის ახალი სიცოცხლის წარმოშობის სალვადორ დალისეული წარმოსახვა. სტალინგრადში ფაშიზმი სისხლისგან დაიცალა, — ამაყობს გეოპოლიტიკოსი. სტალინგრადში, თურმე, ბევრი ადამიანი დაუხოცავთ, — წუხს ლიბერალი. ასე ესმით შარვალჩახდილ ქართველებს გეოპოლიტიკა.

**— ბატონო გრიგოლ, სტალინი, ალბათ, გრძნობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში რყევები დაიწყებოდა.**

— საფრანგეთის პრეზიდენტი **დე გოლი** ირწმუნებოდა, რომ სტალინის ხელში რუსეთი უძლეველია, მაგრამ „ვერ ვხედავ ძლიერ რუსეთს სტალინის გარეშე“-ო. **ჰიტლერი** ასე მოძღვრავდა თავის მარშლებს: „ჩვენი ყველაზე დიდი მტერი სტალინია. ჩვენ რუსეთი ისე უნდა დავანგრიოთ, რომ მან კვლავ ვერ შეძლოს მსგავსი პიროვნების წარმოშობა“. **ავერელ ჰარიმანი,** აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში, ამბობდა: „ჩვენ ყველას გვწამდა, რომ სტალინის ხელში მტერი აუცილებლად განადგურებული იქნებოდა, მაგრამ არავინ იცოდა, რა იქნებოდა უსტალინოდ“. სტალინი, თავის მხრივ, ხშირად საყვედურობდა აგიტპროპს (აგიტაციაპროპაგანდისტებს): „ჩვენ კერპთაყვანისმცემლებს ვზრდით იმის მაგივრად, რომ აღვზარდოთ პატრიოტები, საქმის მცოდნენი, ბეჯითნი. თუ არ შევცვლით ჩვენს იდეოლოგიას, დავიღუპებით“. სტალინის სიტყვებია: **„მე რომ მოკვდები, თქვენ ჭირვეული ბავშვებივით ერთმანეთს დაერევით. ვიცი, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავს უამრავ ნაგავს დააყრიან, მაგრამ ისტორიის ულმობელი ქარი მალე გაფანტავს მას“.**

სტალინის პოლიტიკური ანდერძი კი ასეთია: **„ჩვენი პარტიისა და ხალხის მრავალი საქციელი დამახინჯდება, პირველ რიგში, საზღვარგარეთ და ასევე ჩვენს ქვეყანაში. სიონიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ ისწრაფვის, სასტიკად იძიებს შურს ჩვენი წარმატებისა და მიღწევების გამო. ის კვლავ განიხილავს რუსეთს, როგორც ბარბაროსულ ქვეყანას, როგორც სანედლეულე დანამატს, და ჩემი სახელიც ცილისწამების ლაფში ამოისვრება.** მსოფლიო სიონიზმი მთელი ძალით შეეცდება, გაანადგუროს ჩვენი კავშირი ისე, რომ რუსეთი აღარასდროს აღდგეს. სსრკ-ის სიძლიერე ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლის სათავე მიმართული იქნება, უპირველეს ყოვლისა, ამ მეგობრობის გაწყვეტისკენ, გარეუბნის რუსეთისგან გამოყოფისკენ. აქვე უნდა ვაღიარო, რომ ყველაფერი არ გაგვიკეთებია. აქ ჯერ კიდევ სამუშაოების დიდი სფეროა. **ნაციონალიზმი განსაკუთრებული ძალით წამოწევს თავს. ის გაანადგურებს ინტერნაციონალიზმს და პატრიოტიზმს გარკვეული დროით, მხოლოდ გარკვეული დროით. ეროვნული ჯგუფები და კონფლიქტები წარმოიქმნება. გამოჩნდება პიგმიის მრავალი ლიდერი, თავიანთი ერების მოღალატე.** საზოგადად, მომავალში განვითარება უფრო რთული და თუნდაც მძვინვარე გზებით წარიმართება, ბრუნვები ძალიან მკვეთრი იქნება. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთი აღფრთოვანდება, მკვეთრი წინააღმდეგობები გაჩნდება დასავლეთთან. და მაინც, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, დრო გავა, და ახალი თაობები ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და გამარჯვებებს მიაპყრობს ყურადღებას. ახალი თაობები მოვლენ და ისინი კიდევ ერთხელ აღმართავენ თავიანთი მამებისა და ბაბუების დროშას და მოგვცემენ შესაფერის ღირებულებას. **ისინი თავიანთ მომავალს ააშენებენ ჩვენს წარსულზე“.** სტალინის ჩვეულებრივი ადამიანისთვის ბევრი შეუმჩნეველი თვისება ჰქონდა და ეს, ძირითადად, გადასახლებაში ოთხი წლის განმავლობაში შამანებთან ცხოვრებისა და მეგობრობის შედეგი იყო.

**— ჩემთვის ცნობილა, რომ ამას წინათ თქვენთან სტუმრად იმყოფებოდა ძალიან საინტერესო პიროვნება, რომელიც სტალინის ცხოვრების ე.წ. შამანურ პერიოდს სწავლობდა და სწავლობს და, თუ არ ვცდები, იაკუტიიდან უნდა იყოს ეს მეცნიერ-პროფესორი. რატომ არ წერთ ამ შეხვედრაზე?**

— ჩემი და მისი ხანგრძლივი საუბარი ჩაწერილი მაქვს ვიდეოფირზე. გამძვინვარებული პანდემიის პირობებში, თვითონ არ ისურვა სხვა ადამიანებთან შეხვედრა, არც მესამე პირთან ისაუბრა (ოპერატორი და თანაშემწე თავისი ახლდა). მთხოვა, ჩანაწერი არ გაასაჯაროვოო. მისი მონათხრობი არც ისე სენსაციურია, მაგრამ არის რაღაც მაგიურიც, რომელიც არ ვიცოდი. რაც შეეხება საერთო თემას, მითხრა, რომ მან სერიოზული კვლევა ჩაატარა სტალინისტებზე და ჩემთანაც ამიტომ მოვიდა. **მისი დაკვირვებით, სტალინისტები შესამჩნევად დიდხანს ცოცხლობენ. ჩემს კითხვაზე — აკვირდება თუ არა ის ანტისტალინელების სიცოცხლის ხანგრძლივობას, მკვეთრად და გარკვევით მიპასუხა: ისინი ან მოულოდნელად, ან ტანჯვით ამთავრებენ სიცოცხლესო და ამის დასტურად მაგალითები მომიყვანა, მაგრამ გასაჯაროებაზეც უარი განმიცხადა.**

**— ბატონო გრიგოლ, აპირებთ 85 წლის იუბილის აღნიშვნას?**

— ვფიქრობდი, აღმენიშნა არა ჩემი დაბადების დღე, არამედ ჩემი მე-7 ტომის პრეზენტაცია, თუ ჩემი დაბადების დღისთვის გამოვიდოდა. წიგნის დაბეჭდვა ვერ მოესწრო, ამიტომაც, ალბათ, ჩემი დაბადების დღის აღნიშვნაც გადაიწევს, მაგრამ არა უსასრულოდ. იცით, რა მითხრა სტუმარმა? სტალინს 70 წლის იუბილე რომ არ გადაეხადა, 80 წლის იუბილეს სულ სხვა პირობებში გადაიხდიდაო. რაც შემეხება მე, 100 წლის იუბილეს გადავიხდი ტურუხანსკის იმ სახლში, რომელშიც სტალინი ცხოვრობდა ბოლო გადასახლების პერიოდში...

ესაუბრა
**ბესო ბარბაქაძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**





იერუსალიმში




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

სისხლიანი ქრონიკები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰაიტის პრეზიენტ ჟოვენელ მოიზის მკვლელობაში მონაწილეობდა 28 ადამიანი, მათ შორის — აშშ-ის 2 მოქალაქე (ჯეიმს სოლაჟი და ჟოზეფ ვენსონი) და 26 კოლუმბიელი. მათგან, სულ ცო?ა, 6 ადრე არმიაში მსახურობდა. 9 ივლისს დააპატიმრეს 17 თავდამსხმელი, მოკლულია 3, გრძელდება 8 კოლუმბიელის ძებნა.**



ჟოვენელ მოიზი და მისი ცოლი

# ჰაიტის პრეზიდენტის მკვლელობაში 2 ამერიკელი და 26 კოლუმბიელი გადამდგარი სამხედრო მონაწილეობდნენ



**ჰაიტის პრეზიდენტის, ჟოვენელ მოიზის მკვლელობაში მონაწილეობდა 28 ადამიანი, მათ შორის — აშშ-ის 2 მოქალაქე (ჯეიმს სოლაჟი და ჟოზეფ ვენსონი) და 26 კოლუმბიელი. მათგან, სულ ცო?ა, 6 ადრე არმიაში მსახურობდა, — იუწყება ფრანგული გამოცემა Le monde. 9 ივლისს დააპატიმრეს 17 თავდამსმელი, მოკლულია 3, გრძელდება 8 კოლუმბიელის ძებნა.**

ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში გრძელდება პრეზიდენტ ჟოვენელ მოიზას მკვლელების ძებნა, — წერს Le monde. ქვეყნის პოლიციის ხელმძღვანელ **ლეონ ჩარლზის** განცხადების თანახმად, შეიარაღებული ჯგუფი შედგებოდა 26 კოლუმბიელისა და ამერიკის 2 მოქალაქისგან, წარმოშობით ჰაიტელებისგან.

როგორც გამოცემა წერს, სატელევიზიო პრესკონფერენციის მიმდინარეობისას ლეონ ჩარლზმა მოსახლეობას ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და არეულობების პროვოცირებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.

პოლიციის განყოფილებასთან, სადაც ჰყავთ დაკავებულები, ასამდე ადამიანი შეიკრიბა მოთხოვნით, „დაეწვათ“ დამნაშავეები. ადგილობრივმა პრესამ გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, როგორ დაწვეს, სავარაუდოდ, მკვლელების მანქანა.

კოლუმბიის თავდაცვის სამინისტრო თვლის, რომ, სულ ცოტა, 6 დაქირავებული მკვლელი ადრე კოლუმბიის არმიაში მსახურობდა. მინისტრმა **დიეგო მოლანომ** პოლიციასა და არმიას უბრძანა, დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ ამ საქმის გამოძიებას.

ჟოვენელ მოიზის მკვლელობა კიდევ მეტ დესტაბილიზაციას მოუტანს ამ ღარიბ ქვეყანას, — აღნიშნავს ფრანგული გაზეთი. დადგება სახელმწიფოს მომავლის საკითხი და, პირველ რიგში, მისი ლიდერის.

ამჟამად ლიდერობაზე პრეტენზიას აცხადებს ორი ადამიანი.

ჰაიტის პრეზიდენტის ბოლო გადაწყვეტილება იყო პრემიერმინისტრად **არიელ ანრის** დანიშვნა, მაგრამ მას ჯერ არ დაუწყია მოვალეობის შესრულება. პრეზიდენტის მკვლელობიდან რამდენიმე საათში საგანგებო მდგომარეობა პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **კლოდ ჟოზეფმა** გამოაცხადა და მთავრობას გაფართოებული უფლებები მიანიჭა. ის, აგრეთვე, დაჰპირდა გაეროს წამომადგენელს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები დაგეგმილ ვადაში გაიმართება — 26 სექტემბერს.

ჰაიტის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟოვენელ მოიზის მკვლელობა 2021 წლის 7 ივლისს მოხდა. პრეზიდენტი მეუღლესთან ერთად თავის რეზიდენციაში მოკლეს ბოროტმოქმედებმა, რომლებმაც სახელმწიფოს პირველი პირის დაცვის წევრებს გამოუცხადეს, რომ აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტოდან (DEA) იყვნენ და ასე შეაღწიეს რეზიდენციის ტერიტორიაზე, შემდეგ კი თავში რამდენიმეჯერ გასროლით სიცოცხლეს გამოასალმეს პრეზიდენტი, მისი მეუღლე კი, მძიმედ დაჭრილი, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერ გადაარჩინეს.

**russianrt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააპატიმრეს

# «ჩვენ აქ საცდელი მაიმუნებივით ვართ», — ყაზახმა გენერალმა აშშ-ს ბრალდება წაუყენა და... მოკვდა

**2016 წელს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა ყაზახეთში ააშენა სამეცნიერო ობიექტი, ბიოლოგიური დაცვის მესამე ხარისხით — ცენტრალური რეფერენს-ლაბორატორია. ის განლაგებულია ყაზახეთის მასგუტ აიკომბაევის სახელობის ზოონოზური (დაავადება, რომელიც გადადის ცხოველიდან ცხოველზე ან ადამიანზე) ინფექციების ცენტრის ტერიტორიაზე.**



ამირბეკ ტოგუსოვი

აშშ-ისა და ნატოს კვლევები ტარდება სხვა სამეცნიერო ობიექტებშიც, მათ შორის ბიოლოგიური უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ბიოტექნოლოგიების ნაციონალურ ცენტრსა და მის ფილიალებში. პროექტს ხელმძღვანელობენ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამედიცინო ცენტრისა და ბრიტანული და გერმანული სამეცნიერო დაწესებულებების სპეციალისტები.

**რას შეისწავლიან ამერიკელი სპეციალისტები ამ მხარეში?** — დაავადებებს, დამახასიათებელს რეგიონის მოსახლეობისთვის, აგრეთვე, მათი გავრცელების მეთოდებს ცხოველებისა და მწერების დახმარებით.

**რა მიზნით?**

უწინარესად, თავიანთი სამხედროების დასაცავად ამ მიწაზე შეჭრისა და ოკუპაციის შემთხვევაში, მეორე — ბიოლოგიური ომის მოსამზადებლად და საწარმოებლად ცენტრალური აზიის რეგიონში.

**ამერიკელები ამის შესახებ საჯაროდ არ ლაპარაკობენ, მაგრამ ვინ დაიჯერებს მათ კეთილგანზრახვასა და ზრუნვას ადამიანებზე? განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რომ დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებლის მქონე ვირუსსაც კი შეუძლია, ავნოს ეკონომიკასა და საზოგადოებას. ეს უკვე დაამტკიცა კორონავირუსის პანდემიამ.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ „მოძმე“ რესპუბლიკებში დარჩა საბჭოთა ლაბორატორიები, რომლებიც ახლა დაიკავეს ამერიკელებმა. ასე მოხდა უკრაინაში, საქართველოში, უზბეკეთსა და მოლდოვაში, ახლა ყაზახეთშიც.

ალმათის ბიოლაბორატორიას მთლიანად აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატები. ეს არის ობიექტი, რომელშიც მუშაობენ ძალიან სახიფათო პათოგენებსა და ვირუსებზე; მათ შორის ჭირისა და ციმბირის წყლულის, ტულარემიისა და ბრუცელოზის გამომწვევზე. აქ უნდა გავიხსენოთ სახიფათო ინფექციების აფეთქებები იმ რეგიონებში, რომლებშიც ამერიკული ბიოლაბორატორიებია განლაგებული.

დიდი ხანია, საიდუმლო აღარ არის, რომ აშშ ძალიან სახიფათო ტოქსინებს, ბაქტერიებსა და ვირუსებს ამზადებს, თანაც გაეროს კონვენციის დარღვევით, რომელიც კრძალავს ბიოიარაღის წარმოებას.

ყაზახეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალმა **ამირბეკ ტოგუსოვმა** რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: **„ჩვენ აქ ისე ვართ, როგორც საცდელი მაიმუნები, ჩვენი ტერიტორია კი ბუნებრივი საცდელი პოლიგონია ახალი ვირუსების ტესტირებისთვის (...) ლაბორატორიები არ ექვემდებარება ეროვნულ კონტროლს და მუშაობენ საიდუმლო რეჟიმში“.**

მაღალი რანგის სამხედრომ შესაბამისი მასალები 2020 წელს რუსეთს გადასცა და უეცრად გარდაიცვალა.

როგორც ცნობილია, ამჟამად პენტაგონი ცდილობს ეთნიკური ბიოლოგიური იარაღის შექმნას, რათა გაანადგუროს ცალკეული გენოტიპები ან ეთნიკური ჯგუფები. ამის ოფიციალური მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ ეს არც არის საჭირო. ცნობილია, რომ აშშ აგროვებს რუსებისა და ჩინელების ბიომასალას, ეს ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო აშშ-ის სახელმწიფო შესყიდვების სახელმწიფო რეესტრის ვებგვერდზე.

ალსანიშნავია, რომ ყაზახეთის ბიოლაბორატორიების ქსელში ჩადებულია 400 მლნ დოლარი. რესპუბლიკის მოსახლეობა უკმაყოფილოა, ადამიანები ამბობენ, რომ ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიები ამ საიდუმლო ობიექტებში ჩატარებული ცდების შედეგია.

**rusvesna.su-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

**ალმათის ბიოლაბორატორიას მთლიანად აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატები. ეს არის ობიექტი, რომელშიც მუშაობენ ძალიან სახიფათო პათოგენებსა და ვირუსებზე; მათ შორის ჭირისა და ციმბირის წყლულის, ტულარემიისა და ბრუცელოზის გამომწვევებზე. აქ უნდა გავიხსენოთ სახიფათო ინფექციების აფეთქებები იმ რეგიონებში, რომლებშიც ამერიკული ბიოლაბორატორიებია განლაგებული**



ბიოლაბორატორია ალმათიში

ლისაბონში მდებარე ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრი იუწყება, რომ პერუდან, ბოლივიიდან და კოლუმბიიდან წამოსულმა ნარკოტიკმა წალეკა ევროკავშირის ქვეყნები. ამასთანავე, ნარკოკარტელები კლიენტებს გაცილებით სუფთა და ხარისხიან საქონელს სთავაზობენ. ამჟამად ევროპა, აშშ-ის შემდეგ, მეორე ადგილზეა მომწამვლელი თეთრი ფხვნილის მოხმარების მიხედვით.

ევროპის კოკაინიზაცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ბებერი და განარკომანებული ევროპის ქუჩებში სისხლი და კოკაინი მოედინება

**ევროპა თანდათან ხდება კოკაინით ვაჭრობისა და ამ ნარკოტიკის მოხმარების ცენტრი, — წერს იტალიური Giornale. თუ ადრე კოკაინის გამავრცელებელ ქვეყნად მიიჩნევდნენ მხოლოდ კოლუმბიას, ბრაზილიას, მექსიკას, აშშ-ს, ახლა ბებერი კონტინენტის კოკაინიზაცია დაიწყო.**

თებერვალში გერმანიისა და ბელგიის საბაჟოების თანამშრომლებმა რეკორდული რაოდენობის კოკაინი ამოიღეს — 23 ტონაზე მეტი. ტვირთი მიდიოდა ტრანზიტით ჰოლანდიაში. **გერმანიის სპეცსამსახურმა ჰამბურგში 16 ტონა ნარკოტიკი 5 საზღვაო კონტეინერში აღმოაჩინა, რომლებიც პარაგვაიდან იყო გამოგზავნილი. კიდევ 7,2 ტონა კოკაინი ამოიღეს ანტვერპენში, სადაც ის პანამიდან შევიდა. „ეს ერთჯერადად ამოღებული ნარკოტიკის ყველაზე დიდი რაოდენობაა მსოფლიოში“, — განაცხადეს გერმანელმა სამართალდამცველებმა.**

ლისაბონში მდებარე ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრი იუწყება, რომ პერუდან, ბოლივიიდან და კოლუმბიიდან წამოსულმა ნარკოტიკმა წალეკა ევროკავშირის ქვეყნები. ამასთანავე, ნარკოკარტელები კლიენტებს გაცილებით სუფთა და ხარისხიან საქონელს სთავაზობენ. ამჟამად ევროპა, აშშ-ის შემდეგ, მეორე ადგილზეა მომწამვლელი თეთრი ფხვნილის მოხმარების მიხედვით. მოთხოვნა „საქონელზე“ გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. **„კოკაინის ცირკულიაცია ევროპის ქალაქის ქუჩებში, — წერს Giornal, — ნიშნავს არა მხოლოდ ნარკომანიასა და დეგრადაციას, არამედ ომს ნარკობანდებს შორის ნარკოტიკების ცენტრებზე კონტროლის მოსაპოვებლად, იარაღით უკანონო ვაჭრობის ბრუნვის გაზრდას ბალკანეთიდან დანარჩენ ევროპაში, ხელშეწყობას კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულში, ნარკოქალაქების შექმნას ბებერი კონტინენტის გულში...“**

ევროპის კოკაინური დედაქალაქი ლონდონია. ბრიტანეთის დედაქალაქის მცხოვრებნი ყოველდღიურად მოიხმარენ 27 კგ სუფთა კოკაინს, წელიწადში კი — 8 ტონაზე მეტს.

თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებმა ბევრი ახალი შესაძლებლობა წარმოაჩინა. დაშიფვრის ტექნოლოგიები კი ნარკომოვაჭრეებს შუალედური ეტაპების გამოტოვების საშუალებას აძლევს მყიდველთან მისასვლელ გზაზე. **„დღეს ახალგაზრდებს შეუძლიათ, ნარკოტიკი შეუკვეთონ, ალბანელებს, სერბებს, ადგილობრივ ბანდებს კი შეუძლიათ, შემკვეთებს დიდი რაოდენობით ნარკოტიკი პირდაპირ კარის ზღურბლთან მიუტანონ. ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის გაეროს სამმართველოს მონაცემებით, ინგლისისა და უელსის ზრდასრული მოსახლეობის 2,25% მოიხმარს ნარკოტიკს, შოტლანდიაში უფრო მეტი — 2,5%.**

„ბრიტანეთს, — წერდა The Gardian-ი, — უყვარს კოკაინი და მისი სიყვარული ამ ნარკოტიკისადმი ძლიერდება“.

ამასთანავე, კოკაინის მოხმარება „აღარ არის მხოლოდ მდიდრების ხვედრი“, მისი მომხმარებლის რაოდენობამ განსაკუთრებით მოიმატა ახალგაზრდებში, რაც იწვევს გავლენის სფეროების სისხლიან განაწილებას ნარკოტრაფიკში ჩართულ ბრიტანულ ბანდებს შორის.

**დიდი ბრიტანეთის დედოფლის სპეცსამსახურების მონაცემებით, ევროპაში კოკაინის შეტანასა და ვაჭრობაზე კონტროლს იყოფენ ალბანური მაფია „შიპტარე“ და იტალიური „ნდრანგეტა“. ისინი მოკავშირეები არიან და ქმნიან საერთაშორისო დანაშაულებრივ კარტელს. გასულ წელს მხოლოდ „ნდრანგეტამ“ უფრო მეტი ფული გამოიმუშავა, ვიდრე „დოიჩე ბანკმა“ და „მაკდონალდსმა“ ერთად.**




**კოკაინით მოვაჭრე ბანდებს შორის ქუჩაში ბრძოლებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვება ხოლმე თვით ევროპის მშვიდ ქალაქებშიც. საბერძნეთში ალბანელთა ბანდებს შორის დაწყებულ ბრძოლებში 13 ადამიანი დაიღუპა; შვედეთში — 124. ნარკობარონები დათარეშობენ საფრანგეთში, მხოლოდ ქალაქ მარსელში ბოლო წლებში 154 ადამიანი მოკლეს**




ასე რომ, ლაპარაკია ძალიან დიდ თანხებზე და გასაკვირი არ არის, რომ ევროპელ მაღალჩინოსნებს არ ხელეწიფებათ ნარკომაფიასთან ეფექტიანი ბრძოლა — ისინიც ნარკოტიკების ვაჭრობით მიღებული შემოსავლებით ცხოვრობენ.

კოკაინით მოვაჭრე ბანდებს შორის ქუჩაში ბრძოლებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვება ხოლმე თვით ევროპის მშვიდ ქალაქებში. **საბერძნეთში ალბანელთა ბანდებს შორის დაწყებულ ბრძოლებში 13 ადამიანი დაიღუპა, შვედეთში — 124. ნარკობარონები დათარეშობენ საფრანგეთში, მხოლოდ ქალაქ მარსელში ბოლო წლებში 154 ადამიანი მოკლეს.**

ბელგიური **ანტვერპენი,** დიდი ხანია, ევროპის „კოკაინურ კარიბჭედ“ (აკონტროლებენ ალბანელები) გადაიქცა. ამ პორტში 2016-დან 2019 წლამდე ამოღებული ნარკოტიკების ღირებულება 3,2 მლრდ ევროს შეადგენდა. ეს უზარმაზარი ფული შესაძლებლობას აძლევთ ნარკოტიკით მოვაჭრეებს, გავლენა იქონიონ დიდ პოლიტიკაზე.

„ანტვერპენის პორტში შემოტანილი ნარკოტიკის (ევროპაში შეტანილი კოკაინის ნახევარი ამ პორტზე მოდის) რაოდენობა ისე დიდია, რომ კორუფცია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, — ამბობს ანტვერპენის მერი **ბარტ დე ვევერი,** — პორტი საცერივითაა დახვრეტილი... ფული, რომელსაც ჩვენ ნარკოტიკების ვაჭრობით ვიღებთ, უზარმაზარია. ეს აღწევს საზოგადოების ყველა ფენაში. აღწევს პოლიტიკაში... ანტვერპენში ჩვენ ვართ იმ ზღვარზე, როცა ადამიანები პოლიტიკურ გავლენებს ყიდულობენ“.

„ბებერი და განარკომანებული ევროპის ქუჩებში სისხლი და კოკაინი მოედინება, რომლის მცხოვრებნიც ნარკოტიკების მოხმარებით ხელს უწყობენ ტრანსნაციონალურ-ორგანიზებულ დანაშაულს ევროპის რუკის გადაკეთებაში“, — ასკვნის იტალიური გაზეთი Giornale.

**Fonds.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



**გერმანიისა და ბელგიის საბაჟოების თანამშრომლებმა რეკორდული რაოდენობის კოკაინი ამოიღეს — 23 ტონაზე მეტი. ტვირთი მიდიოდა ტრანზიტით ჰოლანდიაში. გერმანიის სპეცსამსახურმა ჰამბურგში 16 ტონა ნარკოტიკი 5 საზღვაო კონტეინერში აღმოაჩინა, რომლებიც პარაგვაიდან იყო გამოგზავნილი. კიდევ 7,2 ტონა კოკაინი ამოიღეს ანტვერპენში, სადაც ის პანამიდან შევიდა. «ეს ერთჯერადად ამოღებული ნარკოტიკის ყველაზე დიდი რაოდენობაა მსოფლიოში», — განაცხადეს გერმანელმა სამართალდამცველებმა**

მწვანე საფრთხე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტურბინებს, პანელებს, ბატარეებსა და ელექტროგადამცემ ხაზებს დასჭირდება მილიარდობით ტონა რკინა, სპილენძი, ალუმინი, კობალტი, ლითიუმი, იშვიათი ელემენტები, პლასტმასი და სხვა მასალა. ამისთვის საჭირო იქნება მილიარდობით ტონა მადნის ამოღება შახტებიდან და კარიერებიდან, შემდეგ მისი გადამუშავება და ტრანსპორტირება და ეს ყველაფერი მოხდება წიაღისეული სათბობის გამოყენებით. ზემოჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არის სუფთა, მწვანე და ეკოლოგიურად უსაფრთხო.**

# ჯო ბაიდენის «მწვანე კურსი» — საფრთხე პლანეტისთვის

გთავაზობთ პოლ დრისენის — „კონსტრუქციული მომავლისთვის“ კომიტეტისა და თავისუფალი მეწარმეობის დაცვის ცენტრის ენერგეტიკის, გარემოს, ეკოლოგიური განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის — სტატიას „რეალური საფრთხე პლანეტისა და ადამიანებისთვის“, რომელიც საინფორმაციო პორტალმა Eurasia Review-მა გამოაქვეყნა.




**ჩვენს პლანეტას, ადამიანებს, ველურ ბუნებასა და თავისუფლებებს რეალური საფრთხეები ემუქრება მწვანე ფანატიკოსებისგან, რომლებიც მოითხოვენ, რომ ნახშირბადოვანი ენერგეტიკა შევცვალოთ ამინდზე დამოკიდებული ქარის ტურბინებითა და მზის პანელებით გამომუშავებული ელექტროენერგიით, აგრეთვე, ავტომობილ «ტესლასთვის» განკუთვნილი ნახევარტონიანი უზარმაზარი აკუმულატორებით**

**ეკოლოგიური აქტიურობა უკვე მაშინ იყო დამღუპველი, როცა ვწერდი წიგნს „ეკოიმპერიალიზმი: მწვანე ძალა — შავი სიკვდილი“. ეს ხდებოდა 18 წლის წინათ. მას შემდეგ ვითარება განუხრელად უარესდებოდა, განსაკუთრებით „მოახლოებული ანთროპოგენური კლიმატური აპოკალიფსური“ ისტერიკის შემდეგ, როცა მკაცრად მოითხოვდნენ, მსოფლიოს უარი ეთქვა წიაღისეულ სათბობზე და აეკრძალათ ან შეეცვალათ ცხოვრების თანამედროვე სტანდარტები.**

მოთხოვნებმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ისინი ეფუძნება, ძირითადად, დაუსაბუთებელ მტკიცებულებებს პლანეტის ტემპერატურის მომატებაზე, ამინდის ცვლილებაზე, ყინულის დნობასა და ველური ბუნების გაქრობაზე. ამ მტკიცებულების რეალური საფუძველი არ არსებობს, მაგრამ კლიმატური ალარმისტები მას წარმოაჩენენ, როგორც სახარებისეულ ჭეშმარიტებას.

**ეკოლოგიური ექსპერტების ერთ ჯგუფს სურს, როგორც უწოდებენ, „ეკოციდი“ გადააქციოს „საერთაშორისო დანაშაულად“, და ეს ხდება იმისთვის, რომ დაიწყონ დევნა და საპყრობილეში გამომწყვდევა იმ პოლიტიკური ლიდერებისა და კორპორაციების ხელმძღვანელებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ „ეკოლოგიის მასობრივ ნგრევაში“.**

ამ „ეკოლოგიის ნგრევამ“, ფანატიკოსთა მტკიცებით, ახლა ნაცისტური გენოციდის ანალოგიურ მასშტაბს მიაღწია. სხვა ჯგუფები ეწევიან „დიდი გადატვირთვის“ აგიტაციას, ე.ი., მოითხოვენ, რომ კორპორაციებმა უარი თქვან თავიანთ ტრადიციულ როლებზე და ნაცვლად ამისა ყურადღება გადაიტანონ „პლანეტის გადარჩენაზე“, აგრეთვე, რასობრივ და გენდერულ „თანასწორობაზე“. **ეს კი ნიშნავს იმას, რომ კომპანიებმა უნდა მიიღონ „ეკოლოგიური დიქტატურა გარკვეული ხარისხით“, კორპორაციულ-სახელმწიფოებრივი ტირანია და „დაღმავალი ავტორიტარიზმი“. სანაცვლოდ ისინი მიიღებენ უზარმაზარ მოგებას, თუ შეეცდებიან საიმედო ენერგეტიკის შეცვლას მწვანე ენერგეტიკით, რაც კლიმატის სტაბილურობის სახელით საშუალო და მუშათა კლასის ცხოვრების დონის გაუარესებას გამოიწვევს.**

მემარცხენე-რადიკალური მოძრაობები, ეკოისტერიკასა და ნაცისტურ ანალოგიებს იმისთვის იყენებენ, რომ ყურადღება გადაიტანონ საშინელი დაავადებებისა და სიკვდილიანობისგან, რომლებიც მოუტანეს „ფერად ადამიანებს, როცა მათ უარი უთხრეს ენერგომომარაგებასა და სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებზე“.

**წიაღისეული სათბობის მომწოდებლებისა და მომხმარებლების მიმართ ნეგატიური ეპითეტები ისეთივე უაზრო, დაუსაბუთებელი და ღვარძლიანია, როგორც იყო ებრაელების, ბოშების, სლოვაკებისა და სხვა „არასასურველი ადამიანების“ დახოცვის შესახებ ნაცისტების განცხადებები, რეალურად კი, ჩვენს პლანეტას, ადამიანებს, ველურ ბუნებასა და თავისუფლებებს რეალური საფრთხეები ემუქრება მწვანე ფანატიკოსებისგან, რომლებიც მოითხოვენ, რომ ნახშირბადოვანი ენერგეტიკა შევცვალოთ ამინდზე დამოკიდებული ქარის ტურბინებითა და მზის პანელებით გამომუშავებული ელექტროენერგიით, აგრეთვე, ავტომობილ „ტესლასთვის“ განკუთვნილი ნახევარტონიანი უზარმაზარი აკუმულატორებით.**

ეს ახალი მწვანე კურსი ხელს შეუშლის სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ ზრდას, აგრეთვე, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას; გამოიწვევს, ისტორიაში უპრეცედენტო მასშტაბის ეკოლოგიურ ზარალს.

**ჯო ბაიდენის ადმინისტრაციას სურს, რომ 2030 წლისთვის ნახშირწყალბადის გარეშე ელექტროენერგიის გამომუშავებამ 80% შეადგინოს, 2035 წელს — 100%, ხოლო 2050 წლისთვის წიაღისეული სათბობი საერთოდ ამოიღონ აშშ-ის ეკონომიკის ყველა სექტორიდან. ეს გამოიწვევს ქვანახშირისა და ბუნებრივი აირის გამორიცხვას ელექტროენერგიის საწარმოებლად. აიკრძალება ბენზინისა და დიზელის საწვავის გამოყენება ტრანსპორტისთვის, ბუნებრივი აირის — ლითონის დნობისა და წარმოების სხვა სახეებისთვის, აგრეთვე, გასათბობად, წყლის გასაცხელებლად და კერძის მოსამზადებლად,** ეს გამოიწვევს ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების მატებას წელიწადში 2,7 ლრდ მეგავატ/სთ-დან (ასეთი იყო 2018 წელს აშშ-ში წიაღისეული საწვავის წილი ელექტროენერგიის საერთო მოცულობაში) 7,5 მლრდ მეგავატ/სთ-მდე 2060 წლისთვის. **საჭირო იქნება სარეზერვო ენერგიის გამუდმებით შევსება — აკუმულატორების დამუხტვა უქარო და მოღრუბლულ დღეებში, რათა საზოგადოება დაცული იყოს ელექტროენერგიის გათიშვისგან, კიბერშეტევებისა და მასობრივი კოლაფსისგან.** ამ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად ახალი ატომური და ჰიდროელექტროსადგურების გარეშე საჭირო იქნება **ათიათასობით ქარის საზღვაო ტურბინა, შედარებით მცირე ზომის მილიონობით მიწისზედა ტურბინა და რამდენიმე მილიარდი მზის პანელი. საკმარისი რაოდენობის ელექტრობის უზრუნველსაყოფად უქარო და მოღრუბლული კვირის განმავლობაში საჭირო იქნება მილიარდზე მეტი აკუმულატორი. დასახლებულ პუნქტებთან ამ ყველაფრის მისაყვანად საჭირო იქნება ათასობით მილის (1 მლ = 1482 მ — გ.გ.) სიგრძის ახალი ელექტროგადამცემი ხაზები.**

აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის წარმოებაში ქარისა და მზის წილი მხოლოდ 25-50 პროცენტია წელიწადში და, რაც მეტი მწვანე ენერგია იქნება საჭირო, მით მეტი ტურბინისა და პანელის დამზადება დაგვჭირდება ისეთ რაიონებში, რომლებშიც ამ მოწყობილობების ელექტრობის გამომშვები წელიწადში 15-20%-ია. მხოლოდ **პრეზიდენტ ბაიდენის გეგმის შესრულებას 2030 წლისთვის ამერიკის სანაპიროზე 30 000 მეგავატი ქარის ენერგიის გამომუშავების შესახებ 14 მეგავატი სიმძლავრის 2100 ტურბინა დასჭირდება, მაგრამ ამ ტურბინებმა სრული სიმძლავრით რომ იმუშაონ კვირაში 7 დღეს და დღეში 24 საათის განმავლობაში, ისინი მაინც ვერ შეძლებენ ნიუ-იორკის შტატის პიკური საზაფხულო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მით უმეტეს აშშ-ის სრულიად დაკმაყოფილებას.** თანაც, სადაც უნდა დაამონტაჟონ, ეს მოწყობილობები მაინც დაანგრევენ და გააფუჭებენ თვალწარმტაც ტერიტორიას, სახნავ მიწებს და გარეული ცხოველების ბინადრობის ადგილებს. **ტურბინების ფრთები დახოცავს მილიონობით ფრინველს, ზღვის ტურბინების ვიბრაციული ხმაური შეაფერხებს ნავიგაციას და დელფინებთან და ვეშაპებთან კავშირს.**

ამ ტურბინებს, პანელებს, ბატარეებსა და ელექტროგადამცემ ხაზებს დასჭირდება მილიარდობით ტონა რკინა, სპილენძი, ალუმინი, კობალტი, ლითიუმი, იშვიათი ელემენტები, პლასტმასი და სხვა მასალა. ამისთვის საჭირო იქნება მილიარდობით ტონა მადნის ამოღება შახტებიდან და კარიერებიდან, შემდეგ მისი გადამუშავება და ტრანსპორტირება და ეს ყველაფერი მოხდება წიაღისეული სათბობის გამოყენებით. ზემოჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არის სუფთა, მწვანე და ეკოლოგიურად უსაფრთხო.

ამ ენერგოტევად მოღვაწეობაში ხშირად გამოიყენება ქიმიური ნივთიერებები და გამოიყოფა ტოქსიკური აირები, რაც მოითხოვს წყლის უზარმაზარ მოცულობას და წარმოქმნის ტოქსიკური ქიმიკატების უზარმაზარ ტბებს. **მხოლოდ ბაიდენის ამ პროგრამით ქარისა და ზღვის ტურბინების შექმნას დასჭირდება რამდენიმე ათეული მილიონი ტონა სპილენძის მადნის გადამუშავება.** ამას დაუმატეთ მზის პანელებისთვის, სარეზერვო აკუმულატორებისთვის, ქარის ტურბინებისთვის, საზღვაო და სახმელეთო ელექტროგადამცემი ხაზებისთვის, ელექტრომობილებისთვის, ელექტროგათბობის სისტემებისა და სხვა ტექნოლოგიებისთვის საჭირო ნედლეული, რომელიც აჭარბებს მოპოვებისა და გადამუშავების პროგნოზულ შესაძლებლობებს — **გლობალურ მწვანე კურსს ჩვენი მზის სისტემის რესურსების ნახევარი დასჭირდება.**

ეკოლოგიური ფანატიკოსები მოითხოვენ, რომ აშშ-მა განაგრძოს ბლოკირება ან აკრძალოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. ისინი და ბაიდენის გუნდი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ეს მოპოვება, ძირითადად, დავუთმოთ ჩინეთს და სრულიად არ ფიქრობენ აშშ-ის უსაფრთხოებაზე.

**ჩინური კომპანიები უკვე აკონტროლებენ ბევრი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას და გადამუშავებას აფრიკაში. ისინი აწარმოებენ ქარის ტურბინების, მზის პანელებისა და ბატარეების დიდ ნაწილს აშშ-ში. ისინი არ იცავენ აშშ-ის კანონებსა და სტანდარტებს გარემოს დაცვის სფეროში, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს და სამართლიანი გამომუშავებისა და ადამიანის უფლებების ნორმებს.**

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 40 ათასზე მეტი ბავშვი მშობლებთან ერთად მუშაობს დღეში რამდენიმე დოლარისთვის ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებით მოწამვლის საფრთხის ქვეშ. ეს ხდება იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს კობალტზე მოთხოვნა, რომელიც უახლოეს ხანში მკვეთრად მოიმატებს მწვანე ენერგეტიკის კურსის ჩარჩოებში. ჩინეთში გადაგზავნილი კობალტის მადნის გადამუშავებისას კი ადამიანებს ხშირად ემართებათ სისხლის დაავადებები, სიმსივნე და უჩნდებათ ჯანმრთელობის სხვა პრობლემები. ჩინეთი მონურ შრომას იყენებს მზის პანელების შესაქმნელად და აშშ-სა და ევროპაში გასაყიდად.

**კომიტეტი „კონსტრუქციული მომავლისთვის“ მხარს უჭერს ბაიდენის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სასამართლო პროცესს, რომელიც წიაღისეულ სათბობზე უარის თქმისა და „ნახშირბადის სოციალურ ხარჯვაზე“ ყალბი განცხადებების გამო ბაიდენის ადმინისტრაციის წინააღმდეგ რამდენიმე შტატის მიერ შეტანილი სარჩელით უნდა დაიწყოს.**

ეს „კლიმატური ქაოსისა“ და „ენერგიის განახლებადი წყაროების“ მათ ფანტაზიებში რეალობის ელემენტებს შეიტანს.

**კლიმატური და ეკოლოგიური პროგრამების რეალიზაციისადმი ტოტალიტარული მიდგომა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადამიანის უფლებებს, არამედ ველურ ბუნებასაც. რამდენიმე შტატმა სარჩელი შეიტანა ბაიდენის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, იმ გეგმების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც, უარი უნდა ითქვას სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებაზე, აგრეთვე ფალსიფიცირებული განცხადებების გამო «ნახშირბადის სოციალურ ხარჯვაზე»**

**regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ახალი ალიანსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეთანხმების მონაწილეები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპელი ხალხების თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს ტრადიციებს, ევროპული სახელმწიფოების კულტურისა და ისტორიის პატივისცემას, ევროპის იუდეურ-ქრისტიანულ მემკვიდრეობასა და საერთო ფასეულობებს, რომლებიც ჩვენს ერებს აერთიანებს...**

# პოლონეთი, უნგრეთი, იტალია — დაუმორჩილებელი სამეული ევროკავშირში

**პოლონეთის მმართველი პარტია „სამართალი და სამართლიანობის“ (PiS.) თავმჯდომარე იაროსლავ ჩაკინსკიმ განაცხადა, რომ შეიქმნა ალიანსი ევროპული კონსერვატიული ძალებისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს „მომავალი ევროპის დეკლარაციას“.**

პოლონეთის პარტია „სამართლისა და სამართლიანობის“ გარდა ალიანსში გაერთიანდნენ: Fratelli d Italia (იტალია), VOX (ესპანეთი), Fidesz-ი (უნგრეთი), Lega (იტალია), Rassemlement national-ი (საფრანგეთი), VMRO (ბულგარეთი), FPO (ავსტრია), Vlaams Belang-ი (ბელგია), Dansk Folkeparti (დანია), EKRE (ესტონეთი), Perussuomalianset (ფინეთი), Elliniki Lysi (საბერძნეთი), ja21 (ნიდერლანდები), Lietuvas Lenku rinkimu akcija (ლიეტუვა), Purtidul National Taranesc Crestin Democrat (რუმინეთი).

პოპულარული პოლიტიკოსებიდან შეიძლება დავასახელოთ **ვიქტორ ორბანი, მარინ ლე პენი** და **მარიო სალვინი.** ალიანსის ლიდერები სექტემბერში ვარშავაში შეიკრიბებიან კონფერენციაზე და სამოქმედო გეგმას დასახავენ.

პროექტის ინიციატორები არიან: პოლონური პარტია „სამართალი და სამართლიანობა“, უნგრული Fidesz-ი და იტალიური Lega. ამა წლის აპრილის დასაწყისში ბუდაპეშტში გაიმართა შეხვედრა ორბანის, სალვინისა და პოლონეთის პრემიერმინისტრ **მათეუშ მორავეცკის** (პარტია „სამართალი და სამართლიანობის“ სახელით) შორის. შეხვედრაზე გამოცხადდა აღნიშნული პარტიების სამმხრივი კავშირი. როგორც უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელმა, რომლის პარტიამაც სკანდალით დატოვა ევროპის სახალხო პარტია, იმხანად განახადა, **„ევროპის სახალხო პარტიამ, აშკარაა, პასუხისმგებლობა დაიკისრა, ითანამშრომლოს ევროპელ მემარცხენეებთან, ქრისტიანულ დემოკრატიას კი ევროპაში რეალური წარმომადგენლობა არ ჰყავს“. ეს თვალსაზრისი, თუმცა პირდაპირ არა, მაგრამ მაინც ასახულია სამი ქვეყნის ერთობლივ დეკლარაციაში, მასში ლაპარაკია რადიკალური ძალების მისწრაფებების მიუღებლობაზე, განახორციელონ ევროკავშირის „კულტურული, რელიგიური ტრანსფორმაცია“ და გამოთიშონ ევროპელი ერები ევროპის მშენებლობიდან, ამ რადიკალური ძალების სურვილზე „შექმნან ევროპული ზესახელმწიფო, დაანგრიონ ტრადიციები, გადააკეთონ სოციალური ინსტიტუტები და მორალური პრინციპები“.**

შეთანხმების მონაწილეები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპელი ხალხების თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს ტრადიციებს, ევროპული სახელმწიფოების კულტურისა და ისტორიის პატივისცემას, ევროპის იუდეურ-ქრისტიანულ მემკიდრეობასა და საერთო ფასეულობებს, რომლებიც ჩვენს ერებს აერთიანებს...

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ერების ძირითადი უჯრედი არის ოჯახი. როცა ევროპაში სერიოზული დემოგრაფიული კრიზისია, შობადობა დაბალ დონეზეა და მოსახლეობა ბერდება, ამის პასუხი ოჯახური პოლიტიკა უნდა იყოს და არა მასობრივი მიგრაცია. ფსონი კეთდება ქვეყნებზე, რომლებმაც შექმნეს ევროკავშირი, ამიტომ **აუცილებელია, წინ აღვუდგეთ ევროკავშირის მმართველი ორგანოების გარდაქმნას ისეთ სტრუქტურად, რომელიც პრიორიტეტული იქნება ნაციონალურ ინსტიტუტებზე. უარყოფილია ბერლინის წინადადება, გაუქმებულიყო კონსენსუსის პრინციპი ევროკავშირში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, რადგან ეს გადაიყვანს ევროკავშირს „ოლიგარქიის განსაკუთრებულ ფორმაში“ და უუნაროდ აქცევს ეროვნულ მთავრობებსა და პარლამენტებს“.** ევროკავშირის მმართველ ძალებს ჯერჯერობით რეაქცია არ გამოუვლენიათ ალიანსის გამოწვევის მიმართ, მაგრამ ეჭვი არავის შეეპარა, რომ პასუხს აუცილებლად გასცემენ.

**ევროკავშირის ბოსები მთავარ დარტყმას ამზადებენ პოლონეთსა და უნგრეთზე, რომლებსაც ბოლო წლებში რეგულარულად უტევს ბრიუსელი. გამორიცხული არ არის, რომ მათ წინააღმდეგ აამოქმედებენ ფონდებიდან სახსრების გამოყოფის დაბლოკვის მექანიზმებს; გაძლიერდება მიმდინარე საინფორმაციო კამპანია ვარშავისა და ბუდაპეშტის „ბოროტ რეციდივისტებად“ წარმოსაჩენად, რომლებიც არღვევენ კანონის უზენაესობის პრინციპსა და სიტყვის თავისუფლებას. კაჩინსკისა და ორბანის პარტიებს ბრალს დასდებენ სახიფათო ნაციონალიზმის გაღვივებაში, რომლის მსგავსმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. ეს, უწინარესად, იმიტომ გაკეთდება, რომ ალიანსში განხეთქილება შეიტანონ.**

როგორც Polska Radio24 აღნიშნავს, ქსენოფობიასა და ფაშიზმში დადანაშაულებამ „უნდა დააფრთხოს ამომრჩევლები, აგრეთვე, უარი ათქმევინოს კონსერვატიულ პარტიებს თანამშრომლობაზე, რადგან, თუკი ცნობილია, რომ მოცემულ ქვეყნებში პარტია X-ს საერთო არაფერი აქვს ფაშიზმთან, მეზობელი ქვეყნის პარტია Y-ს შეიძლება გენეტიკაში ჰქონდეს ნაცისტური ტრადიციები.

შეძლებენ კი ასეთ ვითარებაში ევროპელი კონსერვატორები მდგრადი კოალიციის შექმნას თუ მისკენ მიმავალ გზაზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან? მათი ოპონენტები დარწმუნებულნი არიან, რომ კოალიციის შექმნას ვერ შეძლებენ. როგორც ევროპარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერმა **ირატჩე გარსია პერესმა** განაცხადა, **„ეს უკიდურესად მემარჯვენე, პოპულისტური და ნაციონალისტური კავშირი დიდხანს ვერ გაძლებს“.** ხოლო, „ვინც ვერ შეძლებს თანამშრომლობას, საბოლოოდ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, როგორც უკვე ვნახეთ მსგავსი ექსპერიმენტებისას ევროკავშირის პარლამენტში“.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რა საბაზისო წერტილებს განსაზღვრავენ კონსერვატორები გამაერთიანებელი პროგრამისთვის.

**ევროუნიონისტების საწინააღმდეგო თამაში რაღაც ევროპის შეერთებული შტატების შესაქმნელად საკმარისი არ იქნება, აუცილებელია პოზიტიური პროგრამის წარდგენა სრულიად ევროკავშირის დონეზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ალიანსი შედგება პარტიებისგან, რომლებიც ნაციონალურ პრიორიტეტებს ანიჭებენ უპირატესობას, მათ ერთმანეთთან შეთანხმება გაუჭირდებათ, რადგან მოუწევთ ბევრ საშინაო და საგარეო საკითხზე შეთანხმება.** მაგალითად, შეთანხმება აშშ-თან (ჩინეთთან და რუსეთთანაც) ურთიერთობაზე. და აქ იქნება ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები, ამიტომ ევროპელი კონსერვატორების ამჟამინდელი აქცია ევროკავშირის „კულტურული რევოლუციისა“ და „ცენტრალიზაციის“ შესაჩერებლად წინაამდეგობის გაწევის ბოლო თავგანწირული მცდელობა შეიძლება აღმოჩნდეს გლობალიზაციის ზეიმის წინ.


მორავეცკი, ორბანი და სალვინი

**«გვწამს, რომ ჩვენი ერების ძირითადი უჯრედი არის ოჯახი. როცა ევროპაში სერიოზული დემოგრაფიული კრიზისია, შობადობა დაბალ დონეზეა და მოსახლეობა ბერდება, ამის პასუხი ოჯახური პოლიტიკა უნდა იყოს და არა მასობრივი მიგრაცია. ფსონი კეთდება ქვეყნებზე, რომლებმაც შექმნეს ევროკავშირი, ამიტომ აუცილებელია, წინ აღვუდგეთ ევროკავშირის მმართველი ორგანოების გარდაქმნას ისეთ სტრუქტურად, რომელიც პრიორიტეტული იქნება ნაციონალურ ინსტიტუტებზე»**



**jarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**პოლონეთის პარტია „სამართლისა და სამართლიანობის“ გარდა ალიანსში გაერთიანდნენ: Fratelli d Italia (იტალია), VOX (ესპანეთი), Fidesz-ი (უნგრეთი), Lega (იტალია), Rassemlement national-ი (საფრანგეთი), VMRO (ბულგარეთი), FPO (ავსტრია), Vlaams Belang-ი (ბელგია), Dansk Folkeparti (დანია), EKRE (ესტონეთი), Perussuomalianset (ფინეთი), Elliniki Lysi (საბერძნეთი), ja21 (ნიდერლანდები), Lietuvas Lenku rinkimu akcija (ლიეტუვა), Purtidul National Taranesc Crestin Democrat (რუმინეთი). პოპულარული პოლიტიკოსებიდან შეიძლება დავასახელოთ ვიქტორ ორბანი, მარინ ლე პენი და მარიო სალვინი**



მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემი და შენი წინაპრები კი ძმებს და მეზობლებს უდროოდ აი ამ მიწაში მარხავდნენ, შენ რომ ამ ქვეყნად მოსულიყავ და საქართველო ჩვენი გქონოდა. შენთვის, გერასიმე, ერთმანეთი ცხოვრებაშიც და ბრძოლის ველიდან გაჰქონდათ, იმათითაა სწორედ ეს მიწა გაპოხიერებული და მთელი მიდამო, რომელსაც ერთხელაც არ გადაავლე მოწყალე თვალი შენ, გერასიმე! სულ რომ არაფერი, ამ საოცარ კუთხეში თვალნათლივი სილამაზეც კი ვერ დაინახე და, ნახშირს რომ ათვისება უნდა, ამაში დამეთანხმე, და რომ ასეთ სამშობლოს ნახშირზე მეტად უნდა ათვისება, ეს აღარ იცი, ა, გერასიმე?“**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

„გაუღე კარი ცვლილებებს, მაგრამ მათ სანაცვლოდ ღირებულებებს ნუ დათმობ“
*დალაი ლამა*

# მიხვდი რამეს, გერასიმე?



**„ჩვენ, ადამიანები, მრავალფეხა არსება ვართ, სხვადასხვა წესით მოარული, და არ ვართ, როგორც შენ ეს გგონია, მარტო, რადგანაც დიდი სიტყვა — ერი გვქვია, და მე, ვისაც მუდამ მახსოვს ეს, შენ, სამშობლოდავიწყებული, მხოლოდ პირადი კეთილდღეობით გატაცებულ-აღტაცებული, წამოგიყვანე აქ, ჩემთვის დროებით რომ აგეწყო ფეხი, ამ წმინდა ღელეშიც კი გაგაბანინე ტანი, გაყოყოჩებულს, ყინული რომ შემოგცლოდა, მაგრამ, აჰ, ნურას უკაცრავად, მაინც ვერ შეგაგნებინე ის სითბო, რითაც მე ვცხოვრობ და რითაც ვსუნთქავ. შენ, შენის ჭკუით, კვლავაც ჩემზე ამაღლებული, გაპრანჭული დარჩი, მაგრამ იცოდე, უსამშობლოდ — კაცი არა ხარ“**



**„ახლა კი, გერასიმე, უკანასკნელ არჩევანს გთავაზობ. აგერ, გახედე, ავტობუსი მოემართება და, თუ იკადრებ, მოაჯექი და წადი, ხოლო, თუ ისურვებ, ორიოდ დღით აქ, ამ სოფელში, დავრჩეთ და იმ ჩვენს მასპინძელს ყანის გათოხნაში მოვეხმაროთ. მიწის სუნი რომ გეცემა, ეგებ კიდევ გამოვიდეს რაიმე შენგან, გერასიმე. ძალას არ გატან, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ასე აჯობებს... — და დარცხვენილმა დაამატა, — საშობლოსათვის.
— მთლად აირია, — რა ვქნა, მიჭირს ხოლმე ამ სიტყვის წარმოთქმა, ეს ხომ ისეთი სიყვარულია, დაფარვა რომ სჭირდება, იმდენად ნაღდი და ნათელია, უხერხულიცაა თქმა... მაგრამ, მაიძულე...“**

**საქართველოს ისტორიაში ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის თავდადებული მოღვაწეობისა და ბრძოლის გარდა ისეთი ფაქტებიცაა შემონახული, როცა ქართველი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი, ვითომ ევროპულ ღირებულებებს ზიარებული, ქართულად ლაპარაკსაც კი თაკილობდა. ჰოდა, ეს ვითომ ევროპელები სინამდვილეში „ფუყე თავთავები“ იყვნენ და სხვა არაფერი, რადგან მათ არ იცოდნენ ყველაზე მთავარი — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“. ამ სიტყვებს გურამ დოჩანაშვილის გმირი ეუბნება ისეთ ადამიანს, რომელზეც გასულ საუკუნეში იტალიელი ფილოსოფოსი იულიუს ევოლა წერდა, — საკუთარი ნაციის სიყვარული გაუქრაო, „არამარტო ნაციის, არამედ ზოგადად „საკუთარის“ სიყვარული. შეიძლება ითქვას, ყალიბდება გარკვეული სახის ფობია, „საკუთარის“ ფობია, რომელიც განვითარებას პოულობს „უცხოს“ შესწავლასა და სიყვარულში“(„წარმართული იმპერიალიზმი“).**

**სწორედ ასეთი კაცია გერასიმე, რომლის შემობრუნებას საკუთარი ფესვებისკენ თავგამოდებით ცდილობს შალვა კეჟერაძე...**

**დღეს რამდენი გერასიმეა ამ ქვეყანაში, ვინ მოთვლის, მაგრამ, საბედნიეროდ, არც შალვასნაირები დაცოტავდნენ, რომლებიც, ალბათ, დიდი სიამოვნებით კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ამ ამონარიდს უდიდესი ქართველი მწერლის, გურამ დოჩანაშვილის, მოთხრობიდან „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“:**

„ძალიანაც კარგი, ესეც, შალვას ჯინზე — გათენებულიყო საკმაოდ, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოჩანდა ბილიკი; ჩემოდნით ხელში, გულდაჯერებული მივყვებოდი გზას. ხოლო იგი, შალვა, ზურგრუკზაკიანი, უკან მოდიოდა. მისი დანახვა აღარ მინდოდა, პატარა ხანს უმძრახად ვიარეთ, ერთხელაც არ წავბორძიკებულვარ, და შემომესმა:

**— ასწიე თავი.**

კი, მეტი საქმე არა მქონდა, ისედაც გაჭყეპილი ვიყავი აქაურობით, ის არ მერჩია, დაბლა მეცქირა, ორმოში რომ არ ჩამცდენოდა ფეხი? მაგრამ სერი რომ ავიარეთ, მჭახედ გაისმა:

**— გერასიმე, სდექ!**

შეცბუნებულმა, მოვიხედე და გავშრი — აჰ, ისე მკაცრად შემომცქეროდა...

**— სანამ ლაპარაკს დავამთავრებ, ფეხი რომ მოიცვალო,** — განრისხებული მიმზერდა, — **ცუდად იქნება შენი საქმე, იცოდე!**

გიჟია, მოძალადე, ოხერი... ადგილზე გავქვავდი, იმან კი სამიოდ ნაბიჯი ქვემოთ ჩაინაცვლა, შედგა, დაფიქრებული ამომყურებდა.

მე სერზე ვიდექ.

**— ჩემი და შენი წინაპრები, გერასიმე,** — ხმას დაუდაბლა, — **ამ მიწისათვის მუდამ იბრძოდნენ, და თუ არ რაიმე ღირებული, ვინ სულელს მოეპრიანება ერთთავად მოღერებული ხმლის ქვეშ ყოფნა. მიხვდი რაიმეს?**

მე სერზე ვიდექი.

**— რა სისხლისღვრაში გადარჩენილან, რამდენ ბრძოლაში. შენ, ყოფილ ისტორიკოსს, ჩამოგითვალო შემოსევები? და შენს უშუალო წინაპართაგან ერთი მაინც რომ დაღუპულიყო იმ აურაცხელ, უთვალავ ხიფათში, ნამდვილად არ იქნებოდი ახლა აქ, აი ამ მიწაზე, ამჟამად მშვენიერი ფეხსაცმელებით რომ დგახარ, გაიგე თუ არა, ა, გერასიმე! მაგრამ სულაც არ გახსოვს ისინი...**

ვიდექი მე სერზე.

**— ჩემი და შენი წინაპრები კი ძმებს და მეზობლებს უდროოდ აი ამ მიწაში მარხავდნენ, შენ რომ ამ ქვეყნად მოსულიყავ და საქართველო ჩვენი გქონოდა. შენთვის, გერასიმე, ერთმანეთი ცხოვრებაშიც და ბრძოლის ველიდან გაჰქონდათ, იმათითაა სწორედ ეს მიწა გაპოხიერებული და მთელი მიდამო, რომელსაც ერთხელაც არ გადაავლე მოწყალე თვალი შენ, გერასიმე! სულ რომ არაფერი, ამ საოცარ კუთხეში თვალნათლივი სილამაზეც კი ვერ დაინახე და, ნახშირს რომ ათვისება უნდა, ამაში დამეთანხმე, და რომ ასეთ სამშობლოს ნახშირზე მეტად უნდა ათვისება, ეს აღარ იცი, ა, გერასიმე?**

სერზე ვიდექი მე.

**— აქ, ამ მიწაზე, რომელსაც ეგზემასავით არ მოდებია ჯერაც ასფალტი, დაგაბიჯებინე ფეხი, უმადურო, ვერაფერს მიხვდი; ნამდვილი გლეხი გაგაცანი, ამ გლეხით გიდგას პირში სული, მაგრამ რა ამაყად, რა ამაყად, აჰ, შეიფერე ყველაფერი, რითაც ქანცგაწყვეტილი, ნაშრომნაჯაფი, შუაღამით გაღვიძებული, გაგვიმასპინძლდა, როგორ გგონია, ემართა იმას ჩვენი რაიმე?**

მე ვიდექი სერზე.

**— და არც ის იცი, რომ სამშობლო მხოლოდ მინდორველი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა, გერასიმე. და სუფრასთანაც როგორ იქცეოდი — სამშობლოს შეცნობა რომ გდომებოდა, მჭადზე პრასს შემოახვევდი და ლობიოში ჩააწობდი, შენ კი მელასავით სხვის გაზრდილ ქათამს არხეინად მიადექი და არაფერია ამაში ცუდი, მადლობა მაინც რომ გეთქვა, მაგრამ აარა, არა, კუთვნილივით მიიღე, თითქოს დაამადლე კიდეც სტუმრობა და შენ, ვისი წინაპარიც დიდგორის შემდეგ ჭრილობებში მარილს იყრიდა, კატალინაზე გვაწვდიდი ბრტყელ-ბრტყელ ცნობებს, შეგირცხვა ნამუსი!**

ვიდექი მე სერზე.

**— წვიმისას, გერასიმე,** — ათვალწუნებით ამომცქეროდა, — **ქუჩაში მანქანიდან თუ გადაგიხედავს, შეამჩნევდი, რომ ზოგიერთ გამვლელს შარვლის ცალი ტოტი ტალახით მთლად დაწინწკლული აქვს, მეორე კი — სუფთა. და თუმცა შარვლის ის ტოტი გაცილებით პეწიანად გამოიყურება, ერთმანეთზე ორივეს თანაბრად მიუძღვით ბრალი — იმ დასვრილს სუფთატოტიანი ფეხი სტყორცნის ტალახს და ის ამოთხვრილი წესიერად რომ მიაბიჯებს, იმიტომ გამოიყურება მეორე მშვენივრად და კარგად. მე და შენც ასე ვართ, გერასიმე, მე თუ რამ ხინჯი მემჩნევა, ისევ შენ გამო და თავად რომ გამოიყურები კოხტად, ჩემი და ამ გლეხის წყალობითაა, იცოდე. ჩვენ, ადამიანები, მრავალფეხა არსება ვართ, სხვადასხვა წესით მოარული, და არ ვართ, როგორც შენ ეს გგონია, მარტო, რადგანაც დიდი სიტყვა — ერი გვქვია, და მე, ვისაც მუდამ მახსოვს ეს, შენ, სამშობლოდავიწყებული, მხოლოდ პირადი კეთილდღეობით გატაცებულ-აღტაცებული, წამოგიყვანე აქ, ჩემთვის დროებით რომ აგეწყო ფეხი, ამ წმინდა ღელეშიც კი გაგაბანინე ტანი, გაყოყოჩებულს, ყინული რომ შემოგცლოდა, მაგრამ, აჰ, ნურას უკაცრავად, მაინც ვერ შეგაგნებინე ის სითბო, რითაც მე ვცხოვრობ და რითაც ვსუნთქავ. შენ, შენის ჭკუით, კვლავაც ჩემზე ამაღლებული, გაპრანჭული დარჩი, მაგრამ იცოდე, უსამშობლოდ — კაცი არა ხარ.**

სერზე ვიდექი მე.

**— ახლა კი, გერასიმე, უკანასკნელ არჩევანს გთავაზობ. აგერ, გახედე, ავტობუსი მოემართება და, თუ იკადრებ, მოაჯექი და წადი, ხოლო, თუ ისურვებ, ორიოდ დღით აქ, ამ სოფელში, დავრჩეთ და იმ ჩვენს მასპინძელს ყანის გათოხნაში მოვეხმაროთ. მიწის სუნი რომ გეცემა, ეგებ კიდევ გამოვიდეს რაიმე შენგან, გერასიმე. ძალას არ გატან, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ასე აჯობებს...** — და დარცხვენილმა დაამატა, — **საშობლოსათვის.** — მთლად აირია, — **რა ვქნა, მიჭირს ხოლმე ამ სიტყვის წარმოთქმა, ეს ხომ ისეთი სიყვარულია, დაფარვა რომ სჭირდება, იმდენად ნაღდი და ნათელია, უხერხულიცაა თქმა... მაგრამ, მაიძულე...**

ჰოიი, ავტობუსი — ჭიათურაში ქიმწმენდელი კაცი მელოდება, კოსტუმი უნდა გამომეტანა ჩემი და იქ, ლიეპაში, ვინ იცის, როგორ ღელავდნენ, ეგებ ოჯახშიც ედეპეშნათ, ძალიან მაფასებს და გაგიჟდება ცოლი. ამ შალვას, მოცლილს, ხომ ვერ ავყვებოდი, თვალი ავარიდე და ფრთხილად, კიდევ რაიმე რომ არ ეთქვა, ავი მოლოდინით მხრებაწურულმა ავიარე სერი, ავტობუსს ხელი დავუქნიე, გამიჩერდა და, სკამზეც არ ვიყავი ჯერ დამჯდარი, შალვამ თავი შემოჰყო ფანჯარაში და, ასე მეგონა, ბრიყვი, უზრდელი, ერთს გემრიელად შემომაგინებდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, სულ სხვა რამ შემძახა:

**— ნახვამდის, სიმიკოო!**

... ქართველებში, ისევე როგორც მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ხანდახან თავისებური ადამიანებიც შეინიშნებიან. თავისებური ადამიანი, როგორც წესი, უბოროტოა და ერთგვარი ცნობისწადილის აღმძვრელი, თუმცა გამონაკლისი, როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც დასაშვებია, მაგრამ არც ერთი ძმა კეჟერაძე ბოროტი ნამდვილად არ იყო და თავ-თავიანთი მიდრეკილება ჰქონდათ.

**ღმერთო, კეთილად გეტარებინოს სამთავე საქართველოს ძნელ, მიმოხვეულ გზებზე...“**

**ტოპონიმიკისა და სიწმინდის მფლობელობის გამო მეორე იერუსალიმად წოდებული მცხეთა, 7 სვეტზე აგებული და ამით სოლომონის ტაძარს მიმსგავსებული სვეტიცხოველი, კვართი უფლისა და წმინდა სვეტი სახისმეტყველებად აღძრავს ქართველებს.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გილოცავთ სვეტიცხოვლობას



**13 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 12 მოციქულის ხსენების დღეს აღნიშნავს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი კი 12 მოციქულის სახელზეა აგებული და ამიტომაც 13 ივლისის დღესასწაული ასევე იწოდება სვეტიცხოვლობად.**

**სვეტიცხოვლობის დღესასწაული დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სადიდებლად „კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“.**

**გადმოცემის მიხედვით, იესო ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს — ელიოზსა და ლონგინოზს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. ელიოზმა სიწმინდე მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიდონიას გადასცა, რომელმაც კვართი მკერდზე მიიხუტა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და კვართითურთ დაკრძალა. ლეგენდის თანახმად, საფლავზე ამოსულა კვიპაროსის მშვენიერი ხე. მცხეთაში მისგან გამოკვეთეს პატიოსანი ჯვარი, რომლის აღმართვისთანავე ქართლში ყველა კერპი დაიმსხვრა.**

როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს ჰურიათა, ღვთის განგებულებით იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება თავისი და სიდონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა ჩვენისა, ტირილითა და გოდებით მოისმინა ძმისგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად გახმაურდა ქართლში. ადერკი მეფემ მოისურვა, თავად შეემოსა კვართი, მაგრამ იგი სიდონიას გაცივებულ მკლავებს ვერავინ მოაშორა. ელიოზმა და წმიდა კვართთან ერთად დამარხა. სიდონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა.

სულთმოფენობის შემდგომ მოციქულებმა წილი ჰყარეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქართლის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა და მისი ბრძანებით, ღვთისმშობლის კურთხევით საქართველოში საქადაგებლად წამოვიდა **წმიდა ანდრია პირველწოდებული.**

წმიდა ანდრიამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მოაქცია წარმართები, დაადგინა მღვდლები და დიაკვნები, აღაშენა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და იერუსალიმში დაბრუნდა პასექის აღსასრულებლად.

ურჯულოთა ზედამდგომელობითა და წარმართთა შიშით ქართველებმა დაივიწყეს შემოქმედი თვისი და ჯვარცმული მაცხოვარი.

გავიდა ჟამი. სომხეთის მეფე თრდატის მიერ წმიდა ქალწულმოწამეთა მოწყვეტის შემდეგ, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ნინო ჯავახეთის მთებით ქართლში გადავიდა.

ამ დროს ქართლში მეფობდა მირიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. მირიანი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა: თაყვანს სცემდა ცეცხლსა და ქართულ კერპებს, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული.

ქართლში მოსული ნინო უბრნისში ჩავიდა და ურიათუბანში დასახლდა. ოციოდე დღის შემდეგ მთელი ქართლი დაიძრა წარმართული ღვთაების, არმაზის, დღესასწაულზე. დღესასწაულს მთელი სამეფო კარი ესწრებოდა. წმიდა ნინომ ლოცვა აღავლინა ღვთის წინაშე და არმაზის, გაცის და გაიამის კერპები სასწაულებრივ დაიმსხვრა. ნინო მცხეთაში დასახლდა. ის ყველას ეკითხებოდა კვართის ამბავს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავის ახსოვდა. ამ ძიებაში ნინომ გაიცნო მცხეთელ ჰურიათა მღვდელმთავარი აბიათარი — ელიოზის შთამომავალი, მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი დედა. წმიდა ნინომ ისინი ქრისტეს სჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან მღვდელი არ იყო, ნათლისღების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ.

წმიდა ნინომ უფლისგან კურნების ნიჭი მიიღო. ის ჯვარცმული მაცხოვრის სახელითა და ვაზის ჯვრის მადლით კურნავდა დავრდომილებს. მან განკურნა ნანა დედოფალიც. ამის შემდეგ მირიან მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა.

ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მოუხდა უჩინო მტერი, გულში კვლავ ჩაუდო კერპთა და ცეცხლის სიყვარული და მახვილით მოწყვეტა ქრისტიანეთა. მან გადაწყვიტა მცხეთაში დაბრუნებისთანავე ქრისტიანთა განდევნა და ნინოს მოკვდინება. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა.



ამაღლება სვეტისა ცხოველისა

მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა, მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისთვის.

**სანამ კონსტანტინეპოლით გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდნენ, მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინო მოწაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისცემად, მის მიახლოებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილები აღსდგებოდნენ.**



ელიოზ მცხეთელის მიერ კვართის გამოსყიდვა

**სვეტი-ცხოველის ძირიდან უძველესი დროიდან მოედინებოდა მირონი, რომლითაც საზრდოობდა და წარემატებოდა ქრისტეს სარწმუნოებაში ქართველი ერი. პლატონ იოსელიანის ვარაუდით, ეს მაცოცხლებელი წყარო შაჰ-აბასის შემოსევებისას, 1614-1617 წლებში, უნდა დაწყვეტილიყო, რადგან შაჰს თურმე ძალზე შეურაცხუყვია ტაძარი, ხოლო 1624 წელს შაჰ-აბასის თანამედროვემ, „საელჩო პრიკაზში“ გამომძახებულმა იოანიკე ბერძენმა, ივან გრამოტინს ასეთი რამ უთხრა: როცა შაჰ-აბასის პაპამ, შაჰ-თამაზმა, ივერია დალაშქრა (ეს იყო 1541-1553 წლებში), შაჰს სვეტიცხოვლის ტაძარი ცხენებისა და პირუტყვის სადგომად გადაუქცევია; აი, სწორედ მას შემდეგ შეწყდა სვეტიდან მირონის დენაო.**

**მცხეთაში ერთი კლდის თავზე მშვენიერი, სურნელოვანი, სასწაულთმოქმედი ხე იდგა. მისი ფოთლით ისარნაკრავი მომაკვდავი ნადირი იკურნებოდა.** როდესაც იოანე ეპისკოპოსს ეუწყა ეს ამბავი, ბრძანა: „ჭეშმარიტად ღვთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი და დამარხულ ჟამისა მისთვის და აწღა მოეფინა მადლი ღვთისა ქართლსა და მის ხისგან ჯერ არს შექმნა ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანის სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“.



პატიოსანი ჯვრის აღმართვა

**მირიან მეფის ძემ, რევიმ, ეპისკოპოსის ლოცვაკურთხევითა და ერის თანხლებით, მოჭრა ხე, რტოებითურთ წამოასვენა და ეკლესიის სამხრეთით აღმართა. ხეს ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში არც ფერი შეუცვლია, არც ფოთლები დასცვენია. შემდგომ ამ ხისგან სამი ჯვარი გააკეთეს.**



წმიდა სიდონია

ამის შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში ხალხი ერთსა და იმავე ჩვენებას ხედავდა: ღამით ეკლესიას ვარსკვლავებით გარშემორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა თავს, განთიადის ორი ვარსკვლავი გამოეყოფოდა სხვებს, ერთი აღმოსავლეთისკენ მიდიოდა, მეორე კი — დასავლეთისაკენ, თავად ცეცხლოვანი ჯვარი კი არაგვს გაღმა, კლდოვანი ბორცვის თავზე ჩერდებოდა და იქიდან უჩინარდებოდა ზეცაში. ამ სასწაულის გამო წმიდა ნინოს რჩევით მეფემ ერთი ჯვარი დასავლეთით თხოთის მთაზე აღამართინა, მეორე — ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვრისთვის კი ადგილი ვერ შეარჩიეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მიენიშნებინა ადგილი, რომელზეც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორწმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ **ჯვარი აღემართა არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვზე. როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.**

* * *

**ტოპონიმიკისა და სიწმინდის მფლობელობის გამო მეორე იერუსალიმად წოდებული მცხეთა, 7 სვეტზე აგებული და ამით სოლომონის ტაძარს მიმსგავსებული სვეტიცხოველი, კვართი უფლისა და წმინდა სვეტი სახისმეტყველებად აღძრავს ქართველებს. ჩვენც ერთ პარალელს გავავლებთ: სოლომონისეული ტაძრის ნანგრევებიდან ამოვარდნილმა ცეცხლმა დაწვა იულიანე განდგომილის მიერ ღვთის ნების წინააღმდეგ ტაძრის ასაგებად გაგზავნილი მუშები. იქიდან, საიდანაც ადრე მირონი მოედინებოდა, უფალმა ცეცხლი ამოაფრქვია. ამიტომაც გვეშინოდეს სვეტი-ცხოველთან უკრძალველად მიახლებისა, განსაკუთრებით — კვართის დღესასწაულზე, გვეშინოდეს და შევიქმნათ იმ „საზეპურო ერად“, რომელსაც უფალი, ნიშნად დიდი წყალობისა, სვეტი-ცხოველის ძირიდან აღმოუცენებს „მირონსა, ვითარცა ღმერთმყოფელსა და ნათელმყოფელსა“.**

მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი IV, თბილისი, 2001 წ.

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეშფოთებულმა დასავლეთმა“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას იმავე 1952 წლის მაისში ხელი მოაწერინა „ევროპის თავდაცვითი კავშირის შესახებ“ ხელშეკრულებაზე. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის ივნისში, უკვე ლავრენტი ბერიამ, მისთვის დამახასიათებელი ენერგიულობით, თავიდან წარუდგინა გერმანელებს ქვეყნის გაერთიანებისა და სუვერენიტეტის დაბრუნების გეგმა, ნეიტრალური სტატუსის სანაცვლოდ, მაგრამ ამ ინიციატივას გაგრძელება აღარ მოჰყოლია, ვინაიდან თვითონ ბერია რამდენიმე დღეში მოკლეს ხრუშჩოვის ბანდის წევრებმა.**

# დასავლეთი საქართველოს გაერთიანებას ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ მხარს არ დაუჭერს

**2012 წელს ევრაზიის ინსტიტუტმა დიდი გამოკითხვა ჩაატარა — ერთადერთმა ქართულმა ორგანიზაციამ დასავლეთის დაკვეთისა და ფინანსების გარეშე გამოარკვია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებს აგებდა. გარდა ამისა, გამოკითხვით დადასტურდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი „ქართული ოცნებისაგან“ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ელოდა და მოითხოვდა.**

კითხვარში ასეთი კითხვაც გვქონდა:

„თქვენთვის რა არის პრიორიტეტული: **ა) საქართველოს გაერთიანება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რეინტეგრაცია თუ ბ) საქართველოს ნატოში ინტეგრირება, ნატოს წევრობა?“** პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო — რესპონდენტთა 90 პროცენტზე მეტმა პრიორიტეტი **„ა“ ვარიანტს** მიანიჭა, რაც გასაკვირი სულაც არ არის. თუკი დადგება დილემა, რომ საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს, მაგრამ უნდა დაკარგოს აფხაზეთი და შიდა ქართლი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იქნება.

მაგრამ **საკითხავია, წინააღმდეგი იქნებიან თუ არა საქართველოს ხელისუფლება, ე.წ. ოპოზიციური სპექტრი, მასმედია, არასამთავრობო სექტორი — ე.ი. ყველა, ვინც ამერიკა-ევროპის, სოროსისა და სხვა „დონორების“ დაფინანსებასა და კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.** ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოების ეს „ზედაფენა“ პირიქით იმოქმედებს — ერთიანი საქართველოს იდეას გაწირავს ნატოს წევრობის სანაცვლოდ. ამ ეროვნულ ღალატს კი, არ გამოვრიცხავ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერის (მთავრობის მეთაურის), **კონრად ადენაუერის,** პოლიტიკით მოუძებნონ გამართლება. **კონრად ადენაუერი გახლავთ გერმანიის ის ლიდერი, რომელმაც განზრახ თქვა უარი გერმანიის გაერთიანებაზე და თავისი ქვეყანა ნატოში ჩაითრია, რამაც გერმანიის 40-წლიანი გაყოფა, უამრავი ოჯახის დაშლა, ბერლინის კედელი და ათასნაირი სხვა პრობლემა გამოიწვია.**

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი და პირადად მარშალი **სტალინი** სულაც არ იყვნენ მოწადინებულნი, გერმანია დაშლილიყო რამდენიმე ნაწილად ან ორად გაყოფილიყო. პირიქით, ჯერ კიდევ **1945 წელს სტალინი უფრო ერთიანი გერმანიის ვარიანტისკენ იხრებოდა, თუკი იგი იმგვარად იქნებოდა ორიენტირებული, რომ საბჭოთა კავშირისთვის საფრთხეს აღარასოდეს შექმნიდა, მაგრამ დასავლეთის ანტისაბჭოთა პოლიტიკამ და ცივი ომის გაჩაღებამ გამოიწვია გერმანიის ორად გაყოფა.** თავდაპირველად, 1949 წლის 23 მაისს, სწორედ დასავლეთგერმანული ფედერაციის დაარსება გამოცხადდა, მხოლოდ ამის შემდეგ რამდენიმე თვეში (7 ოქტომბერს) გაფორმდა აღმოსავლეთ გერმანიის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, სადაც კომუნისტური, ერთპარტიული მმართველობა დამყარდა. სწორედ სტალინმა წამოაყენა ისტორიული ინიციატივა გერმანიის გაერთიანების შესახებ 1952 წლის მარტში. ეს მოვლენა მსოფლიო ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „სტალინის ნოტა“. **სტალინის ინიციატივამ ისეთი შოკი გამოიწვია დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში, რომ მას ბლეფიც კი უწოდეს, თითქოს სტალინს სინამდვილეში დასავლეთის შეცდომაში შეყვანა სურდა და სულაც არ აპირებდა გერმანიის გაერთიანებას,** მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ მოსკოვიდან წამოსული ინიციატივა სრული სერიოზულობით იყო მომზადებული. **სტალინის ინიციატივის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გერმანია უნდა გაერთიანებულიყო, როგორც დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფო, თავისუფალი არჩევნებითა და კონსტიტუციით, მას უნდა დაბრუნებოდა სრული სუვერენიტეტი საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ჰყოლოდა ძლიერი შეიარაღებული ძალები...** ეს ყველაფერი მხოლოდ ერთადერთი წინაპირობით — ერთიანი და დემოკრატიული გერმანია, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, **ნეიტრალური სახელმწიფო** უნდა ყოფილიყო.

შეგახსენებთ, რომ 1949 წელს უკვე შექმნილი იყო დასავლეთის სამხედრო ბლოკი — ნატო, ხოლო ვარშავის პაქტი და სოციალისტური ქვეყნების სამხედრო ბანაკი, როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობდა (ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია 1955 წელს შეიქმნა, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და ნატოში მიღების ფონზე). **სტალინი მოქმედებდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ევროპელი ხალხების ინტერესებიდან გამომდინარე — ევროპის გულის, გერმანიის, მშვიდობიან და ნეიტრალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება დაამშვიდებდა ცივი ომით გამოწვეულ ვნებებს; გამალებული შეიარაღების ნაცვლად, სამშვიდობო ყაიდაზე გადაიყვანდა ევროპელი ერების ცხოვრებას.**

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს, თავისი აგრესიული მიზნებიდან გამომდინარე, ხელს არ აძლევდა მშვიდი ევროპა, რომელიც მოსკოვს აღარ აღიქვამდა მტრად და საფრთხედ, ამიტომ **ამერიკელებმა ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ სტალინის ინიციატივა არ განხორციელებულიყო. მათი მთავარი საყრდენი დასავლეთ გერმანიაში ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კონრად ადენაუერი გახლდათ.** ადენაუერი ამერიკულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დიდი ხნის წინათ იყო შემჩნეული, თუმცა მისი პირადი თვალსაზრისი იყო ის, რომ ნეიტრალური გერმანია, რომელსაც თავისი განვითარების გზა ექნება, საშიშია საკუთარი თავისთვის და მეზობლებისთვისაც, ამიტომ გერმანიას შეზღუდული უნდა ჰქონოდა სუვერენიტეტი და უნდა მომხდარიყო მისი რადიკალური ინტეგრაცია ამერიკის მიერ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ



კონრად ადენაუერი

**კონრად ადენაუერი გახლავთ გერმანიის ის ლიდერი, რომელმაც განზრახ თქვა უარი გერმანიის გაერთიანებაზე და თავისი ქვეყანა ნატოში ჩაითრია, რამაც გერმანიის 40-წლიანი გაყოფა, უამრავი ოჯახის დაშლა, ბერლინის კედელი და ათასნაირი პრობლემა გამოიწვია**

სტრუქტურებში. **კათოლიკე წვრილბურჟუა ადენაუერს ახასიათებდა უკიდურესი ანტიკომუნიზმი, მაგრამ საქმე მხოლოდ კომუნიზმის მიმართ სიძულვილში არ მდგომარეობდა. ადენაუერი ვერ იტანდა აზიას, ყოველივე იმას, რაც ევროპასთან არ ასოცირდებოდა მისსავე წარმოდგენებში. მაგალითად, გერმანიის სოციალ-დემოკრატი კანცლერი 1970-იან წლებში — ვილი ბრანდტი (მან მუხლი მოიდრიკა ვარშავაში ნაციზმის მსხვერპლთა პატივსაცემად), რომელიც ახლოს იცნობდა ადენაუერს, თავის მოგონებებში წერდა, რომ „ადენაუერი მდინარე ელბას აღმოსავლეთით მდებარე ევროპას აზიად მიიჩნევდა, როდესაც მაგდებურგს გავცდებოდით ბერლინის მიმართულებით, აღმოსავლეთისკენ, ადენაუერი მატარებლის კუპეში ფარდებს ჩამოაფარებდა — არ სურდა „აზიური სტეპის“ დანახვა“,** — წერს ბრანდტი მემუარებში. რეალურად, ადენაუერი ვერ იტანდა 1870 წელს გაერთიანებული გერმანიის იმპერიის ფუძეს — **ლუთერანულ პრუსიას,** მის სამხედრო სულისკვეთებას.

ამიტომაც **ადენაუერი იდეალური მოკავშირე აღმოჩნდა ამერიკელებისთვის, რომლებმაც მისი საშუალებით დაბლოკეს სტალინის ინიციატივა გერმანიის გაერთიანების შესახებ.** ადენაუერმა აუკრძალა საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტ **რიხარდ მაიერ ფონ ახენბახს,** გამოექვეყნებინა ანალიზი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა საფრთხე ევროპისათვის გაზვიადებულია, სინამდვილეში საბჭოთა კავშირის სამხედრო დოქტრინა თავდაცვაზე იყო ორიენტირებული და არ ესწრაფვოდა ევროპის დაპყრობას (ახენბახის ანალიტიკა 1980-იან წლებამდე იყო გასაიდუმლოებული). 1952 წლის 16 მარტს, ანუ სტალინის ინიციატივის გასაჯაროებიდან მე-6 დღეს, ადენაუერმა ქალაქ ზიგენის ევანგელისტურ მუშათა წრესთან გამართული შეხვედრისას განაცხადა: **„ნეიტრალიტეტი ჩვენთვის ნიშნავს, გადავიქცეთ არარაობა ქვეყნად; ჩვენ გავხდებით ობიექტი და ველარ ვიქცევით სუბიექტად /.../ ჩვენი მიზანია, დასავლეთი იმდენად გაძლიერდეს, რომ მან შეძლოს საბჭოთა კავშირთან გონივრული და რაციონალური საუბარი“.** ეს საბჭოთა კავშირის ინიციატივაზე უარს ნიშნავდა. ამან სახტად დატოვა „შიდაგერმანული საქმეების“ მინისტრი, ანტიფაშისტი **იაკობ კაიზერი,** რომელიც საბჭოთა ინიციატივას საინტერესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევდა. მართალია, **ადენაუერის პოლიტიკას დიდი კრიტიკა დაატყდა თავს, განსაკუთრებით ოპოზიციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან, მაგრამ გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობის უგულებელყოფა ადენაუერის ქრისტიან-დემოკრატების დიდი ნაწილისთვისაც მიუღებელი იყო.** ადენაუერის კრიტიკა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და პარტიის თანადამფუძნებელმა **გუსტავ ჰაინემანმა** (რომელიც 1969 წელს გფრ-ის პრეზიდენტი გახდა), ასევე კაბინეტის კიდევ ერთმა წევრმა — იუსტიციის მინისტრმა **თომას დელერმა** კანცლერს ბრალი დასდეს, რომ მან განზრახ არ შეისწავლა გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობა. **ჰენრი კისინჯერი** თავის ნაშრომში „დიპლომატია“ ადენაუერის ასეთ ქმედებას შიდაპოლიტიკური მიზნებისთვის ბრძოლას უკავშირებს. ასეა თუ ისე, ადენაუერმა თვითონ განახორციელა გერმანიის გაერთიანების ტორპედირება. **„შეშფოთებულმა დასავლეთმა“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას იმავე 1952 წლის მაისში ხელი მოაწერინა „ევროპის თავდაცვითი კავშირის შესახებ“ ხელშეკრულებაზე. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის ივნისში, უკვე ლავრენტი ბერიამ, მისთვის დამახასიათებელი ენერგიულობით, თავიდან წარუდგინა გერმანელებს ქვეყნის გაერთიანებისა და სუვერენიტეტის დაბრუნების გეგმა, ნეიტრალური სტატუსის სანაცვლოდ, მაგრამ ამ ინიციატივას გაგრძელება აღარ მოჰყოლია, ვინაიდან თვითონ ბერია რამდენიმე დღეში მოკლეს ხრუშჩოვის ბანდის წევრებმა.**

როგორც ისტორიამ აჩვენა, საბჭოთა კავშირი არასდროს არ ყოფილა გერმანიის გაყოფისა და, მით უმეტეს, დაშლის ინიციატორი; პირიქით, თავიდანვე ითვალისწინებდა გერმანელი ხალხის სწრაფვას ერთიანობისკენ. თვით 1980-იან წლებშიც გერმანელთა უმრავლესობა თანახმა იყო, ფედერაციული რესპუბლიკა ყოფილიყო ნეიტრალური და სანაცვლოდ გაერთიანება მიეღო — ამას მოწმობს ალენსბახის ინსტიტუტის მიერ იმჟამად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები. მაგრამ მოხდა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ: **მიხეილ გორბაჩოვმა და მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის გაერთიანება რაიმე არსებითი წინაპირობის, მით უმეტეს, ნეიტრალური სტატუსის გარეშე, დაუშვეს. საბჭოეთის დათმობები ისეთი ცალმხრივი და საკუთარი ინტერესებისთვის საზიანო იყო, რომ გერმანიის გაერთიანების ნაცვლად შედგა დასავლეთ გერმანიის მიერ აღმოსავლეთ გერმანიის შეერთება, „ანშლუსი“. ამის თქმა არაპოლიტკორექტულად მიიჩნევა თანამედროვე გერმანიაში, მაგრამ სიმართლე სწორედ ესაა.**

საქართველოსთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ეს გამოცდილება გერმანიის უახლესი ისტორიიდან. **გერმანია დასავლეთმა, ასე ვთქვათ, ნეიტრალიტეტის ფინურ მოდელს „გადაარჩინა“. დასავლეთი არც საქართველოს გაერთიანებას დაუჭერს მხარს ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ; არადა, ადრეც აღმინიშნავს, რომ რუსეთს მსგავსი ინიციატივა საქართველოს მიმართ უკვე ჰქონდა გამოცხადებული. კერძოდ, 2007 წელს რუსეთის ელჩმა კოვალენკომ საქართველოში ჟურნალისტების წინაშე თქვა, რომ საქართველო შეიძლება გაერთიანდეს, თუკი ნეიტრალურ სტატუსს აირჩევს.** ამ წინადადებას ისტერიკულად გამოეხმაურა სოროსულ-ქართული მასმედია, ხოლო უშიშროების საბჭოს მდივანმა **კოტე კემულარიამ** ასეთი შესაძლებლობა იმთავითვე გამორიცხა — **მისი სიტყვებით გამოვიდა, რომ ნატო მეტს ნიშნავს ქართველი ხალხისთვის, ვიდრე ერთიანი საქართველო.**

რეალურია „ახალი გორბაჩოვის“ მოლოდინი, რომელიც ყველაფერს უპირობოდ, რუსეთის საზიანოდ დათმობს? თუკი ამის გვჯერა, მაშინ უსასრულოდ უნდა ველოდოთ, ვინაიდან რუსეთში გორბაჩოვის მსგავსი ყველაფრის დამთმობი და რუსეთის **ინტერესების უარმყოფელი ელემენტები ვეღარასოდეს დაბრუნდებიან ხელისუფლების სათავეში. საქართველოს რეინტეგრაცია მხოლოდ რუსეთთან დიალოგის (ამის პარალელურად აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის), რუსეთის კეთილი ნების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.**

ახლა კი დრო საქართველოს საწინააღმდეგოდ მუშაობს...

**გულბაათ რცხილაძე**

**აშშ ნატოს დე იურე წევრი ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებში ისე სიღრმისეულად ვერ ერევა, როგორც ამას ბედკრული საქართველოს მიმართ აკეთებს. აშშ-ის ელჩი, ქალბატონი დეგნანი, საქართველოს ხელიდან ხელში ისე აგუნდავებს და აბრტყელებს, ვითარცა დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ.**

რეპლიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო ნატოს წევრია!



**ნატოს დე იურე წევრად საქართველოს აღარ მიიღებენ, რადგან ის ისედაც კარგად ემსახურება აშშ-დასავლეთის ვერაგულ ინტერესებს; რუსეთს ზედმეტად რატომ გააღიზიანებენ?!**

**ეს როგორ?! — გაოცებით იკითხავს მავანი. დიახ, საქართველო ნატოს წევრია, მაგრამ არა დე იურე, არამედ დე ფაქტო წევრი, თანაც წლების მანძილზე.**

წარმოგიდგენიათ, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დე ფაქტო წევრი, საქართველო უფრო სიღრმისეულად და ნაყოფიერად ემსახურება ნატოსა და აშშ-ის ინტერესებს, ვიდრე თვით ნატოს ნებისმიერი დე იურე წევრი ქვეყანა.

მრავალთა შორის მოვიყვან რამდენიმე ფაქტს, რომლებიც საქართველოს ნატოს დე ფაქტო წევრობას ნათლად ადასტურებს:

* **პირველი** — საქართველო საზარბაზნე ხორცად აზია-აფრიკის ქვეყნებში აშშ-ნატოს ინტერესებს ერთგულად ემსახურება;

* **მეორე** — თავისი ბრმა, გაშმაგებული რუსოფობიით, ე.ი., რუსეთის მისამართით ზიზღის, სიძულვილისა და მტრობის გამოხატვით საქართველო გულს უხარებს აშშ-ს, რომელიც რუსოფობიის გაძლიერებით ძალიან არის დაინტერესებული;

* **მესამე** — საქართველო ნატოს წევრი ქვეყნების საზღვაო თუ სახმელეთო ძალების გახშირებული წვრთნების პოლიგონადაა გადაქცეული, საქართველოს სამხედრო ძალების თანამონაწილეობით;

* **მეოთხე** — საქართველო ნატოს წევრი ქვეყნების სამიტებში მონაწილეობს;

* **მეხუთე — აშშ ნატოს დე იურე წევრი ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებში ისე სიღრმისეულად ვერ ერევა, როგორც ამას ბედკრული საქართველოს მიმართ აკეთებს. აშშ-ის ელჩი, ქალბატონი დეგნანი, საქართველოს ხელიდან ხელში ისე აგუნდავებს და აბრტყელებს, ვითარცა დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ.**

განა აქ ჩამოთვლილი და ბევრი სხვა სინამდვილე არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო უკვე არის ნატოს დე ფაქტო წევრი ქვეყანა?

**დასკვნა: ნატოს დე იურე წევრად საქართველოს აღარ მიიღებენ, რადგან ის ისედაც კარგად ემსახურება აშშ-დასავლეთის ვერაგულ ინტერესებს; რუსეთს ზედმეტად რატომ გააღიზიანებენ?!**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

# ქართველთა ისტორიული გამარჯვება

**დიახ, ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვებაა ის, რაც 5 და 6 ივლისს ვიხილეთ; მე, ისტორიკოს-პოლიტოლოგი, ასე ვთვლი. სიმართლის მოძღვარმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ 7 ივლისის ნომერში ღირსეულად შეაფასა 5 ივლისს განვითარებული მოვლენა, რომელსაც თავის წერილში ბატონმა ბესო ბარბაქაძემ ხალხის მიერ ჩატარებული „უსიტყვო რეფერენდუმი“ უწოდა. დიახ, ხალხმა და ეკლესიამ მედგრად და შეუპოვრად უთხრეს უარი პედერასტ-ლესბოსელთა თავგასულობას, ჩაშალა მათი ვაიმარში.**

ძალა ერთობაში რომ არის, ეს ქართველმა ხალხმა 5 ივლისს ყველას აჩვენა. ამ დღეს არნახული ლუსტრაცია გაუკეთდა ყველას და **ნათლად დავინახეთ, ვინ ვინ არის, ვინ რომელ ბარიკადზე დგას, ხალხის უმრავლესობის მხარეზეა თუ „ბილწთ ეკვრიან ზავითა“ — ან აშშ-დასავლეთს ჰმონებენ.**

ხალხისა და ეკლესიის ძალამ და შეუდრეკელობამ აიძულა „ოცნების“ ხელისუფალნი, მიჰყოლოდნენ მძლავრ დინებას, კერძოდ, პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პედერასტებს ურჩია, არ გაემართათ თავიანთი მარში რუსთაველის პროსპექტზე, ამით „ოცნების“ პარტიამ თავი დააღწია იმ დიდ დარტყმასა და რისხვას, რომელსაც მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში ხალხისაგან მიიღებდა.

* 5 ივლისმა, მომავალი ადგილობრივი არჩევნების წინ შავ დღეში ჩააგდო ის 15 პოლიტიკური პარტია, რომლებიც პედერასტთა მიერ გასამართ ვაიმარშს მხარს უჭერდნენ.

* 5 ივლისს ხალხისა და ეკლესიის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ქართულმა ეროვნულმა ღირსებამ, მეობა-იდენტურობამ გაიმარჯვა; ამაშია 5 ივლისის, როგორც დღის, ისტორიული მნიშვნელობა.

* 5 ივლისი ბოლმა-ცილისწამებით შეამკეს გადაგვარებულმა ქართველებმა; უკადრებელი იკადრეს ვაიევროპელმა გიორგი ვაშაძემ, პარლამენტარმა ხათუნა სამანიძემ და სხვებმა.

* 5 ივლისს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია — ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი დაშავდა, შექმნილ სიტუაციაში მათ უფრო თავდაჭერილად უნდა ემუშავათ.

ვიცი, აშშ-დასავლეთის მიერ გამოკვებილ-დამონებული მედია-საშუალებები შეეცდებიან, მიჩქმალონ, დააკნინონ 5 ივლისი, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ამასთანავე, ისიც ვიცი, რომ არსებობს ყველაზე ობიექტური გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რომელიც 5 ივლისს ყოველთვის ჯეროვან ადგილს მიუჩენს.

5 ივლისს — ისტორიული დღის — გამარჯვებას გილოცავთ თქვენ, ამ გამარჯვების შემოქმედო ჩემო საყვარელო ქართველო ხალხო! მარადიულობა თქვენ!

**ულრმესი პატივისცემით,**
**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**



**5 ივლისს ხალხისა და ეკლესიის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ქართულმა ეროვნულმა ღირსებამ, მეობა-იდენტურობამ გაიმარჯვა; ამაშია 5 ივლისის, როგორც დღის, ისტორიული მნიშვნელობა**

# მობილურ ტელეფონში ინტეგრირებული კამერა არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი იარაღია!



**აუცილებლობად მიმაჩნია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის ძალითაც აიკრძალება საარჩევნო უბანზე, ხმის მისაცემ კაბინაში ამომრჩევლის მიერ მობილური ტელეფონის შეტანა და მიკვირს, რომ ამდენი ხანს ამ ინიციატივაზე არავინ საუბრობს.**

მიმაჩნია, რომ მობილური ტელეფონი, უფრო ზუსტად, თანამედროვე ტელეფონებში ინტეგრირებული ფოტო და ვიდეოკამერა არის ამომრჩევლის ნებასა და, შესაბამისად, მთლიანად არჩევნებზე ზეგავლენის ერთ-ერთი ქმედითი ბერკეტი.

როდესაც ამომრჩევლებზე ადმინისტრაციულ წნეხს ახორციელებდნენ, დავუშვათ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ამომრჩეველმა თანდათან ისწავლა, რომ შემოთავაზებული ფქვილი, კარტოფილი თუ 20 ლარი შეიძლება აიღო, მაგრამ ხმა მაინც სასურველ პარტიასა თუ კანდიდატის მისცე. ეს იმიტომ, რომ კენჭისყრა ფარულია, არავის აქვს უფლება და შესაძლებლობა, ჩაიხედოს ამომრჩევლის მიერ შემოხაზულ ბიულეტენში, რომელსაც თვითონ ამომრჩევლი აგდებს ხმის მისაცემ ურნაში.

უკვე სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, როდესაც შემოვიდა ფოტო და ვიდეოკამერიანი მობილური ტელეფონები, ხელისუფლებამ მოიპოვა თავისი ამომრჩევლის კონტროლის მექანიზმი. ვინც ზემოქმედებას დაექვემდებარება — იღებს ტომარა ფქვილს ან 20 ლარს (თუ ნებისმიერ სხვა სიკეთეს), თავის „დამკვეთს“ უნდა დაუდასტუროს, რომ ხმა „სწორად“, ანუ ნამდვილად დამკვეთის სურვილის მიხედვით მისცა. ამომრჩეველი ვალდებულია, ხმის მისაცემ კაბინაში მის მიერ შემოხაზულ ბიულეტენს სურათი გადაუღოს და ამ გზით დაამტკიცოს ხმის „სწორი“ მიცემა. მართალია, ფოტოს გადაღების შემდეგ ამომრჩეველს შეუძლია, კალმით კიდევ სხვა აღნიშვნები გააკეთოს საარჩევნო ბიულეტენზე და გააფუჭოს იგი, მაგრამ ამას ბევრი არ იზამს... შესაბამისად, ხმა წავა „დამკვეთის“, ძირითადად, ხელისუფლების სასარგებლოდ.

სწორედ ამის გამოსარიცხავად არის აუცილებელი, აიკრძალოს ამომრჩევლის მიერ ხმის მისაცემ კაბინაში მობილური ტელეფონის შეტანა.

**გულბაათ რცხილაძე**

სანთელი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის ვარსკვლავები, რომელთა შორის შერეკილების ცათამფრენი გამოჩნდებოდა, ხვალ დაბლა დაეშვებიან და მეშვიდე ცამდე ფიანდაზად დაეგებიან რეზოს, რომელიც თაფლის სანთლით ხელში და თავისი განუმეორებელი, ჩუმჩუმელა ღიმილით მსუბუქად დაიწყებს აღმასვლას მთაწმინდის პანთეონიდან მარადისობაში მისთვის განკუთვნილი სამყოფელისკენ.**

# გამოქვეყნებას არ ექვემდებარება



**ჩვენ უკვე ბებრებიც არ ვართ. ჩვენ სუპერბებრები ვართ. და თუ რამე გვიშველის, ისევ ლოცვა გვიშველის. გადაიწერე პირჯვარი და — კარგად იყავი!**

**ჩანაწერები, რომლებსაც დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობ, გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ, ახლახან რომ გადავიკითხე, შეიძლება საინტერესოც კი აღმოჩნდეს ფართო საზოგადოებრიობისთვის ჩვენი დროის თვალსაჩინო და უნიკალური შემოქმედის, ხელოვანის — რეზო გაბრიაძის, როგორც პიროვნების, ადამიანური თვისებების დასახასიათებლად.**

**ამიტომ ვბედავ ამ სახელდახელო მასალის საჯაროდ გამოტანას. ეს ერთი, და მეორეც იმიტომ, რომ 15 ივლისს ორმოცი დღე სრულდება რეზოს გარდაცვალებიდან.**

**2021 წლის 21 იანვარს რეზო გაბრიაძემ ასეთი შეტყობინება გამომიგზავნა:**

**„გილოცავ 21-ე საუკუნის 21-ე წლის 21 იანვრის 21-ე საათს!**

**ასე მომილოცეს მე და ასე გილოცავ შენც.**

**რეზო“.**

**ეს წელიწადი ამ მოლოცვით დაიწყო და მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ფედერიკო გარსია ლორკას მოულოდნელი მეტაფორა:**

**„წყვდიადის გრდემლზე**
**მთვარე**
**ზარის რეკვად გაიფანტა“.**
***(„პირველი სიმღერები“)***

## განწყობილების ზიგზაგები

თებერვალმა მშვიდად ჩაიარა, როგორც ლოცვებით დაღლილი ეკლესიის უდრტვინველობამ. სადღაც ამოვიკითხე რაღაც ამის მსგავსი, მაგრამ უფრო დალაგებული, რა თქმა უნდა.

მარტში ამინდივით აირია: უკიდურესობათა ამპლიტუდის შეზღუდულ სივრცეში სამკუთხედის ხან ერთ გვერდს შეასკდა, ხან მეორეს.

ქანქარის პრინციპით.

ახალმთვარეობისას იცის, როცა, **ვლადიმერ მაიაკოვსკის** თუ დავუჯერებთ, მთვარე ისე ახალგაზრდაა, შინიდან მარტო არ გაიშვება თანამგზავრების გარეშე.

**5 მარტს** რეზო მირეკავს: შენ ჩემთვის უკან, წარსულისკენ გადადგმული ნაბიჯივით ხარ, სამოციან წლებში დაბრუნებასავით. როცა შეგვიძლია, მაშინდელ ამბებზე ვილაპარაკოთ, როგორც თანამედროვეებმა: როგორ ვსვამდით დილით ლუდს გაურეცხავი კათხებით რომელიმე ლუდხანაში და მივირთმევდით ველიამინოვზე გაქონლი თეფშებით მორთმეულ ხინკალს, რომლის მარშრუტს — დახლიდან ჩვენს მაგიდამდე — შურიან თვალს აყოლებდნენ რიგში მდგარი მუდმივი იქაური მომხმარებლები.

— და არ გვადარდებდა არავითარი ეპიდემია და პანდემია არავითარი ვირუსის.

— კიდევ კარგი, იმხანად პოლიტიკამ არ გამიტაცა და რაღაც სისულელეების კეთება დავიწყე — ვხატავდი, ვწერდი...

— ლინოგრავიურებს აკეთებდი.

— ესეც იყო, და ვწერდი წვრილ-წვრილ ინფორმაციებს.

— შედევრების წინამორბედს, ჩემო რეზო...

რა თქმა უნდა, კოვიდაფეთქებაზეც ვილაპარაკეთ. გაუხარდა, რომ საქართველოში მშვიდდება ვითარება. აშშ-სა და, განსაკუთრებით, ევროპაში რომ გართულდა საქმე, ამან ძალიან შეაშფოთა.

— რა გვეშველება, ბოშო?

**8 მარტი.** დავურეკე რეზოს და ვთხოვე, მიელოცა ქალთა დღესასწაული მეუღლისთვის, ქალბატონ კროშკასთვის.

გმადლობთო. შემდეგ მითხრა, რომ წვება კლინიკაში — ჩემს ექიმს ჩემი გულის მდგომარეობა აინტერესებსო. მეც ვაპირებდი გამოსაკვლევად გულიკო ჩაფიძის კლინიკაში მისვლას:

— მობილური ჩართული ხომ გექნება?

— აუცილებლად, ბოშო!

— დაგირეკავ.

**10 მარტს** შეთანხმებისამებრ დამირეკა. ვერ ვიცანი, ისეთი იმედგადაწურული კაცის ხმა ჰქონდა. სრული დეკადანსი.

— მე რომ მოვკვდები, რამდენ ვინმეს გაუხარდება!

დავამშვიდე, როგორც შემეძლო.

— შენ რომ არ მყავდე, სიცოცხლის ხალისი აბსოლუტურად დამეკარგებოდა, — ასეთი იყო მისი საპასუხო რეაქცია.

**27 მარტს** — ახალი უკიდურესობა:

— ტელევიზიებში ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ინტელიგენტური გარეგნობის, შეიძლება ითქვას, მსოფლიო დონის. თანამედროვედ გამოწყობილები. ცდილობენ, რაც შეიძლება გამართული ქართულით გველაპარაკონ. გაგიხარდება კაცს.

ტელევიზია საინტერესო გახდა. ასეთია ჩვენი, უკანასკნელი მოჰიკანების, შეფასებაო.

შესანიშნავ ხასიათზე იყო.

არაერთხელ უთქვამს, რომ ჩვენ, ორივენი, ისეთი ავტომანქანები ვართ, რომლებიც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაგვქოქეს და დღემდე ვერ ვჩერდებით.

მიაჩნდა, რომ კორონავირუსი რაღაც არნახული კატასტროფის შესავალია. უვერტიურა.

დარწმუნებული იყო, რომ კაცთან საუბრისას არ უნდა იჩქარო მისი საბოლოოდ დარწმუნება: დააცადე, დაფიქრდეს, თვითონ მივიდეს საბოლოო დასკვნამდე. დაუტოვე საფიქრალი: მანქანიდან რომ გადმოხვალ, ერთი სიტყვა დაუგდე — „მარა“. იფიქროს, რა დგას ამ „მარას“ შემდეგ.

ჰოდა, მეც რეზოს რჩევას გავიზიარებ: ამდენი რამ ხომ მოგიყევით დიდებული შემოქმედისა და კრისტალური ადამიანის შესახებ, მარა...

## პანდემიის ბარიერებს მიღმა

კოვიდ 19-ის პანდემიისას ვიზიტები გაბრიაძიანთ „ოქროყანის მამულში“ შეწყდა. რადგან ეს ოხერი ვირუსი მაინცდამაინც ადამიანის ფილტვებს ემტერებოდა, შლიდა, ანადგურებდა. რეზოს კი ფილტვები აწუხებდა, რომელთა ვენტილაციისთვის სპეციალურ აპარატურას დაათრევდა, ხოლო საწოლთან საამისოდ დანადგარი ჰქონდა დამონტაჟებული. გარედან მისულს, ქვეყანას მოდებულს ინფექცია რომ არ მიმეტანა. ტელეფონით საუბრები არ შეგვიწყვეტია.

— ხომ რამხელაა თბილისი, მაგრამ მე მაინცდამაინც შენთან საუბარი მირჩევნია, — მითხრა ერთხელ და ასეთი კომპლიმენტით ცხოვრებაში არავის „დავუჯილდოვებივარ“.

მოულოდნელ თემებს წამოსწევდა ყოველთვის:

— ხომ ხარ, ბოშო, შენ იმერელი? — კუთხური კილოთი მოუქცია ერთხელ.

— ალბათ, ვარ, მაგრამ ჩემი გვარის ხალხი ცხოვრობს ქართლშიც (სოფელი სანებელი კასპის რაიონში), ქუთაისშიც, რაჭის სოფელ ხონჭიორში, რომელიც ფოფხაძეებსა და სანებლიძეებს აქვთ ოკუპირებული. მკვლევარები კი ამტკიცებენ, რომ ჭანები ვართ. ვერ გეტყვით, რომ ჩემი პასუხით ვასიამოვნე.

ერთხელაც, როცა ჩვენმა მეგობარმა **ბიძინა სონღულაშვილმა** ნაღდი თაფლით მოიკითხა (ფილტვების საუკეთესო წამალია), ისე გაიხარა, რომ განსაკუთრებული მადლობის გადახდა მოისურვა:

— მადლობა როგორ და რა უნდა ვუთხრაო, მირჩიე.

— უთხარი, რომ იმერელივით კარგი კახელია. ეს იყო და ეს: არც მანამდე, არც შემდეგ, არასოდეს გვარტომობრივ საკითხს არ შეხებია, კუთხურ დაყოფა-დანაწილებას. ძალიან არ მოსწონდა, როცა მაინცდამაინც ქუთაისელობას შეახსენებდნენ.

ეს მისი პირადული, საკრალური სივრცე იყო, საჯაროდ არგამოსატანი.

მსოფლიო ადამიანი გახლდათ, ქართული ფესვებით და მენტალიტეტით. ქართული სულისკვეთებით და რუსეთში თავიანთ კლასიკოსად მიაჩნდათ. მიიჩნევენ.

ასეთია რეზო გაბრიაძის პარადოქსი.

პირად ცხოვრებაში მცირედით კმაყოფილი, მსოფლიო კატაკლიზმებით იყო შეწუხებული.

— კოსმოსური ძვრები ხდება დედამიწაზე და ჩვენ აზრზე არ ვართ. ძალიან გასერიოზულდა ყველაფერი. თითქოს ძალიან თავისუფლები ვართ — ინტერნეტიც არსებობს, კინოც გვაქვს, ტელევიზიაც, თანამედროვე მუსიკაც, თანამეროვე არქიტექტურაც. ღვინოც გვაქვს სახლში, „ზაკუსკაც“, მაგრამ ერთმანეთს რომ ვერ ვნახულობთ, გამოვპრუტუნდით. სულ შინ ვსხედვართ. ფანჯრიდან ვუყურებთ ცხოვრებას! ფანჯარაში რა ხდება?

— „ფანჯარაში მტრედია“.

— მტრედი კარგია, როცა ქალაქური სიმღერიდან არის. მაგრამ მე თბილისის ქუჩებზე ვლაპარაკობ, ფანჯრიდან რომ ვხედავ და 60-70 წლის წინანდელ ქუჩებს რომ ვადარებ. თუ გინდა, გაიგო, რა ხდება დღეს მსოფლიოში, უწინდელ ქუჩებს უნდა შეადარო, ძველ ფოტოებს. მაშინ ადამიანი ქუჩაში გადიოდა იმიტომ, რომ საქმე მოითხოვდა. საქმე უნდა გაეკეთებინა. ახლაც დადის. სად მიდის? რისთვის მიდის? დაბნეულია. დაბორიალობს უმიზნოდ. თუმცა შეიძლება დარბაისლურადაც ლაპარაკობს არაფრის შესახებ, აღმატებულ ხარისხში.

წაიშალა ყველაფერი. მეგონა, რაღაცას წარმოვადგენდი. მაგრამ მილიონია ჩემნაირი რეზო. ორმოცდაათი მილიონი. Страшно жить...

— მოდი, ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენ კი არ შევშინდეთ, ის შეშინდეს, ცხოვრება.

— არა, ასე არ მინდა. ნურც ჩვენ შევშინდებით, ნურც ცხოვრება შეშინდება.

— ამასობაში დრომ გამოაშტერა ადამიანი.

— ჩვენ რაღაც დროში მაინც ვიცხოვრეთ.

— ახლა დრო აღარ არსებობს!

— უდროობაში დაიბადა დღევანდელი ადამიანი.

ღმერთმაააწყო ყველაფერი ამქვეყნად. ამ ტყემლის ხეს, აქ რომ ხედავ, გვერდით აუცილებლად ლეღვის ხე უნდა ედგას. იქვე ქვა უნდა ეგდოს, თუნდაც პატარა. ეს ყველაფერი კი ღმერთის მიერ დაწესებული ჰარმონიაა. ღმერთის წესრიგია.

ის დაალაგებს ყველაფერს და ჩვენც გვეშველება.

ამ საქმეში დილეტანტი ვარ, მაგრამ მეც კი ვგრძნობ, რომ მის საქმეში არ უნდა ჩაერიო.

— აბა, შენ ხელი გაანძრიე და გიშველიო?!

— ეგ ჩვენზე არ უთქვამს. რადგან ჩვენ უკვე ბებრებიც არ ვართ. ჩვენ სუპერბებრები ვართ. და თუ რამე გვიშველის, ისევ ლოცვა გვიშველის. გადაიწერე პირჯვარი და — კარგად იყავი!

## „პოდრუჩკით“ გასეირნება ვაკის პარკში

— ისე გაუშინაურდა ზოგიერთი ჩვენგანი ამ ვირუსს, რომ ასე მგონია, „პოდრუჩკით“ ვაკის პარკში გაასეირნებს და „სვოი ბიჭივით“ ეტყვის:

— თუ ძმა ხარ, მითხარი, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, როგორ მოგიცილოთ თავიდან, და პატივისცემა ჩემზე იყოს.

გავუშინაურდით, ფეხებზე დავიკიდეთ, არაფრად მივიჩნიეთ, ამიტომ არც თავდაცვის რეკომენდაციებს ვასრულებთ. არ იკადრებს ჯიგიტი ჯაგლაგ ცხენზე დაჯდომას! ნიღბის პირზე ამკრავი თქვენკენ მოიკითხეთ! მოვიკითხეთ და არაერთი პუბლიცისტი აღმოვაჩინეთ, რომელიც, კარგა ხანია, წვალობს, იკვლევს და ვერ დაუდგენია ჰაქსლი ძაღლის ჯიშია, თუ ინგლისელი მწერლის, ნოველისტის და ფილოსოფოსის გვარი.

ჰოდა, ასეთი ყოვლისმცოდნე მკლავს მკვლავში გაუყრის კორონას, გაასეირნებს ვაკის პარკში და ძველბიჭურად ჩაეკითხება:

— ჩემო ძმაო...

და როცა ყურადღებად ვიქეცი გაბრიაძის მორიგი სხარტულას მოსასმენად, მოკლედ მომიჭრა:

— დანარჩენი შენ დაწერე. დაასრულე.

რეზოს ეს დავალება დღესაც ტვირთად მაწევს.

* * *

ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში მითხრა:

— დრო გავა და კაცობრიობა ერთიან გზას მონახავს.

— რომელ გზას?

— მაგალითად, ბანოჯიდან რომელიმე მსოფლიო ცენტრამდე, სადაც თანამედროვე კულტურა და ციფრული ტექნოლოგიები იქნება განვითარებული. ეს გზა ერთიანი მსოფლიო მიმართულება უნდა გახდეს — პროვინციიდან ცენტრამდე. ამ გზას კაცობრიობა იპოვის.

მაგრამ მაშინაც გამოჩნდება ვინმე ოპოზიციონერი, გადმოდგება ტრიბუნაზე ან სადღეგრძელოში დაიწუნებს და იტყვის: ეს გზა არ ვარგა, ცუდი ხედი იშლება აქედან! წყალი როგორ უნდა მივაწოდოთ?

— ასეთებს რა გამოლევს?!

დღეს ისეთი დროა, როცა გემი შეიძლება უდაბნოში იდგეს...

ჩვენ რაღაც დროში მაინც ვიცხოვრეთ.

**ის ვარსკვლავები, რომელთა შორის შერეკილების ცათამფრენი გამოჩნდებოდა, ხვალ დაბლა დაეშვებიან და მეშვიდე ცამდე ფიანდაზად დაეგებიან რეზოს, რომელიც თაფლის სანთლით ხელში და თავისი განუმეორებელი, ჩუმჩუმელა ღიმილით მსუბუქად დაიწყებს აღმასვლას მთაწმინდის პანთეონიდან მარადისობაში მისთვის განკუთვნილი სამყოფელისკენ.**

**ამაღლდება.**

**ჩვენ კი დავრჩებით „რევოლუციური კარვების“ ეპოქაში, როცა იდეოლოგიურ უპირატესობას არკვევენ ისე, როგორც რეზო გაბრიაძე „შერეკილებში“ აღწერს:**

**„ორი რაზმი ერთმანეთს ეკვეთა! ატყდა ვაი-უშველებელი! შერბენ-გამორბენა! აშლი-მაშლი! მალ-მალ გინება! მათრახების ფსტვენა! ბაგა-ბუგი გოდოგნური! გაიღვიძა ქალაქმა! აკიაფდა ჭრაქები! ყველამ ნემეცის ქუჩას მიაშურა! იფეთქა საუკუნეობით დაგროვილმა სტიქიურმა ძალამ. არავინ კითხულობდა, ვინ — ვის რატომ ან რისთვის ურტყამდა! მამის, პატარის, დიდის, ქალის გარჩევა მოიშალა! მოცელეს ღობეები! გათელეს ბაღები! ბოსტნები! ბორცვ-გორები! თევზი ნაპირს მოშორდა და სილაში ჩაიმარხა! ჩიტმა ცა გამოიცვალა! გახურდა ჩხუბი! აღდგა იმერეთი! გაწიეს გვერდზე საქართველო! გაიღო კარი ლხინისა!“**

**არმაზ სანებლიძე**

**ფინალის წინ მესი ამბობდა, რომ სურს, ბოლოს და ბოლოს, მოიგოს მნიშვნელოვანი ტიტული არგენტინის ნაკრების მაისურით და აი მისი ოცნება ახდა. მატჩის შემდეგ ნეიმარი, რომელი დამარცხებით გამოწვეული სინანულის ცრემლს ვერ იკავებდა, და მესი, რომელიც სიხარულისგან ტიროდა, ერთმანეთს გადაეხვივნენ.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მესი და ნეიმარი


არგენტინა ჩემპიონია

# სამი დიდი ფინალი ერთ დღეს


ნოვაკ ჯოკოვიჩი


ეშლი ბარტი

## «კოპა ამერიკის», უიმბლდონის ტურნირისა და ევროპის ჩემპიონატის შედეგები

**2021 წლის 11 ივლისი ფინალების დღე აღმოჩნდა სპორტის ძალიან პოპულარულ სახეობებში — ფეხბურთსა და ჩოგბურთში: ბრაზილიაში საქართველოს დროით დილის 6 საათზე დასრულდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი „კოპა ამერიკა 2020“, შემდეგ ინგლისის დედაქალაქ ლონდონში გაიმართა უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრა, ბოლოს კი — ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი.**

### ფეხბურთი ელოდა ამ მომენტს: არგენტინამ და მესიმ „კოპა ამერიკა – 2020“ მოიგეს

ამ საფეხბურთო ტურნირში, ალბათ, ყველასთვის ადვილი გამოსაცნობი იყო, რომ ფინალში ბრაზილია და არგენტინა შეხვდებოდნენ. ასეც მოხდა. ფეხბურთში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული მეზობლები გადამწყვეტ მატჩში რიო-დე ჟანეიროს „მარაკანაზე“ შეხვდნენ.

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორიც ამ ტურნირის ნახევარფინალში პერუსთან. არგენტინელთა თავკაცმა **ლიონელ სკალონიმ** კი თავდასხმაში მესისა და ლაუტრო მარტნესს **ანხელ დი მარია** დაახმარა. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გადაახალისა დაცვის ხაზი. მატჩში ორი სუპერვარსკვლავი მონაწილეობდა — **მესი** და **ნეიმარი**. შეხვედრაში, რომელშიც ორივე გუნდი ძალიან აგრესიულად მოქმედებდა, ბრაზილიელთა ყურადღება, ძირითადად, გადატანილი იყო მესიზე, ამით ისარგებლა **როდრიგო დე პაულმა**, რომელმაც ბრწყინვალე პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ანხელ დი მარია. არგენტინელმა ბრაზილიელთა მეკარე **ედერსონს** ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიშიც გახსნა — 1:0. ამის შემდეგ ბრაზილია ბევრს ეცადა გოლის გატანას, მაგრამ ამაოდ. პირიქით — არგენტინელებმა უფრო მეტი საგოლე მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. მსაჯის საფინალო სასტვენმა სამხრეთ ამერიკის თასზე არგენტინის პირველი გამარჯვება აღნიშნა 1993 წლის შემდეგ. ეს, აგრეთვე, იყო „კოპა ამერიკის“ ტურნირზე ბრაზილიის პირველი მარცხი „მარაკანაზე“.

ფინალის წინ მესი ამბობდა, რომ სურს, ბოლოს და ბოლოს, მოიგოს მნიშვნელოვანი ტიტული არგენტინის ნაკრების მაისურით და აი მისი ოცნება ახდა. **მატჩის შემდეგ ნეიმარი, რომელიც დამარცხებით გამოწვეული სინანულის ცრემლს ვერ იკავებდა, და მესი, რომელიც სიხარულისგან ტიროდა, ერთმანეთს გადაეხვივნენ.**

ესიმ, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდებასთან ერთად, საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც დაიმსახურა. არგენტინამ კი მე-15-დ გაიმარჯვა „კოპა ამერიკაზე“ და ამ მაჩვენებლით ურუგვაის დაეწია.

### ჯოკოვიჩი – ჩოგბურთის მეფე! სერბმა მეექვსედ მოიგო უიმბლდონი, მეოცედ — „მუზარადი“

უიმბლდონის ფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** იტალიელი **მატეო ბერეტინი** დაამარცხა და ზედიზედ მესამედ მოიგო უიმბლდონის ტურნირი და „დიდი მუზარადი“ (ამ სეზონში). ახლა ჯოკოვიჩს 20 გამარჯვება აქვს „დიდი მუზარადის“ ტურნირებში. მან გაიმეორა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და ესპანელი **რაფაელ ნადლის** რეკორდი.

სერბმა ჩოგბურთელმა ფინალში საკმაოდ იოლად, ძალების დაუძაბავად დაამარცხა იტალიელი მეიტოქე — 6:7, 6:4, 6:4, 6:3.

ამ მატჩში ნოვაკმა კარგად გამოიყენა იტალიელის სუსტი მხარე — ბექჰენდი, ამასთანავე, იტალიელს არ ეყო სიმლავრე და სტაბილურობა.

უიმბლდონის ქალთა ტურნირში ავსტრალიელმა **ეშლი ბარტიმ** ჩეხი **კაროლინა პლიშკოვა** დაამარცხა და ქალთა შორის ერთეულთა თანრიგის სარეიტინგო სიას სათავეში ჩაუდგა.

### იტალია ევროპის ჩემპიონია! „სკუადრა აძურამ“ ევროპის ჩემპიონატზე მეორედ გაიმარჯვა 53 წლის შემდეგ

იტალიელებმა პირველი გოლი მატჩის დაწყებიდან მე-2 წუთზე გაუშვეს. ინგლისელთაგან ბურთი გაიტანა **ლუკ შოუმ.** ეს დარტყმა კარგა ხანს იყო ინგლისელთავის ერთადერთი — გაშვებული გოლის შემდეგ იტალიელებმა ბურთის გაკონტროლება დაიწყეს და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 67-ე წუთზე მოახერხეს — თავი **ლეონარდო ბონუჩიმ** გამოიჩინა. დარჩენილ დროში იტალიელებს ბურთის გატანის მეტი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მათი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. დაინიშნა დამატებითი დრო, მაგრამ ვერც ამ 30 წუთში გამოვლინდა გამარჯვებული. პენალტების სერიაში კი იტალიელთა მეკარე **ჯანლუიჯი დონარუმამ** 3 დარტყმა მოიგერია და იტალიამ ჩემპიონობა მოიპოვა. ეს აპენინის ნახევარკუნძულელთა მეორე გამარჯვებაა, პირველი ტიტული მათ 1968 წელს მოიგეს.

1968 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში იტალიელებმა მონეტის აგდებით („ორიოლ-რეშკა“) დაამარცხეს საბჭოთა კავშირი (იმხანად გამარჯვების გამოსავლენად პენალტების სერიის ნაცვლად მონეტა გამოიყენეს), ფინალში კი იუგოსლავიას მოუგეს — 2:0.

იტალიელებისთვის ეს მეექვსე დიდი ტიტულია: 4-ჯერ მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატი (1934, 1938, 1982 და 2006 წლებში) და 2-ჯერ — ევროპის (1968 და 2021 წლებში).

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**








# «დასავლეთმა ავღანეთში» კაპიტულაცია გამოაცხადა

**გერმანულ პრესაში აანალიზებენ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ავღანეთიდან აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ჯარების გაყვანის შემდეგ. ამ ვითარების მიმართ კრიტიკული სტატიით გამოვიდა გაზეთი Die Zeit-ი, რომლის ფურცლებზეც მიმომხილველი ტეო ზამერი წერს, რომ „გერმანიას არჩევანი არ დაუტოვეს“.**

ზამერი აღნიშნავს: **„აშშ-მა ისე მიიღო გადაწყვეტილება თავისი ჯარების გაყვანაზე, რომ მოკავშირეებთან, ფაქტობრივად, კონსულტაციები არ გაუმართავს, ამიტომ გერმანიისთვის უაზრობა იქნებოდა თავისი კონტინგენტის ავღანეთში დატოვება“.** გერმანელი მიმომხილველის ეს განცხადება კიდევ ერთ საბაბს იძლევა იმის სათქმელად, რომ დიდი ხანია, ევროპაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს აღარ იღებენ — **ფაქტობრივად, ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოების საკითხებთან, ვაშინგტონის აზრს ითვალისწინებენ.**

„დასავლეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა ავღანეთში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სამხედრო ქვედანაყოფების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ერიხ პფეფერმა** „შესრულებულ მისიაზე“ ილაპარაკა, უნდა ვაღიაროთ: **ომი ავღანეთში მარცხით დასრულდა. შეუძლებელია შეუსრულებელი მისიის შესრულება. ომი, რომელშიც ვერ გაიმარჯვებ, წაგებული ომია. ავღანეთში ომის დაწყებიდან 20 წლის თავზე დასავლეთი, აშშ-ის მეთაურობით, დანებდა. გერმანიამ კიდევ ერთხელ გამოაცხადა კაპიტულაცია“.**

შემდეგ ზამერს მოჰყავს დანაკარგების სტატისტიკური მონაცემები; 160 ათასი გერმანელი ჯარისკაციდან, რომლებმაც 20 წლის განმავლობაში ავღანეთში იმსახურეს, 59 დაიღუპა, დაიჭრა ასობით, ხოლო ათასობით სამხედრომ ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო.

**topwar.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**




# ევროკავშირის რეგულატორის განცხადებით, Phaizer-ი და Moderna სახიფათოა გულისთვის

**BioNTech/Pfizer-სა და Moderna-ს შეუძლია გამოიწვიოს უარყოფითი თანმდევი მოვლენები — მიოკარდიტი და პერიკარდიტი, — წერს გამოცემა Politico სამკურნალო საშუალებების ევროპის სააგენტოს დასკვნაზე დაყრდნობით.**

სტატიაში აღნიშნულია, რომ მიოკარდიტი და პერიკარდიტი გულის დაავადებებია, რომელთა სიმპტომებია ქოშინი და ტკივილი გულის არეში.

BioNTech/Pfizer-ით აცრის შემდეგ აღრიცხულია მიოკარდიტის 145 და პერიკარდიტის 138 შემთხვევა. Moderna-თი ვაქცინაციის შემდეგ აღირიცხა პერიკარდიტისა და მიოკარდიტის 19-19 შემთხვევა.

ივნისის ბოლოს აშშ-ი გააფართოვეს Pfizer-ისა და Moderna-ს თანმდევი უარყოფითი ეფექტების სია და პათოლოგიების ჩამონათვალს პერიკარდიტი და მიოკარდიტიც დაუმატეს.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ავღანეთის ხელისუფლებამ დახმარება რამდენიმე ქვეყანას სთხოვა



**ავღანეთის ხელისუფლებამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება რამდენიმე ქვეყანას სთხოვა, მათ შორის, რუსეთს, ჩინეთსა და ინდოეთს.**

„ჩვენ მოვუწოდებთ პარტნიორებს, დაგვეხმარონ თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალებით ტერორიზმთან ბრძოლაში“, — განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში — ჰაბდულა მოჰიბმა ტელეარ „როსია 24“-ის ეთერში.

ამასთანავე, მოჰიბმა აღნიშნა, რომ ქვეყნის გარედან მიღებულმა ნებისმიერმა დახმარებამ არ უნდა გამოიწვიოს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. „მშვიდობა და სტაბილურობა შესაძლებელია მხოლოდ ყველასთან თანამშრომლობით რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ. „თალიბანის“ წარმომადგენლების აქტიურობაზე საუბრისას, ავღანეთის პრეზიდენტის მრჩეველმა აღნიშნა, რომ ქაბული აღიარებს მათ უფლებას, იქცნენ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად სხვა პარტიებთან ერთად.

**„რა თქმა უნდა, არსებობს რისკი, რომ მსგავსი ფორმირებები შეიძლება გარდაიქმნას ლაშქრად თავისი დღის წესრიგით, რაც სამოქალაქო ომს გამოიწვევს“,** — დასძინა ქვეყნის ლიდერის მრჩეველმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვის** განცხადებით, მოსკოვი არ ჩაერევა ავღანეთის საშინაო საქმეებში“.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**



# «ლგბტქ აქტივისტებს ჩვენს შვილებთან არ დავუშვებთ»

**უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის თქმით, სკოლებში ლგბტქ საკითხების პროპაგანდაზე ევროკავშირის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდება. ის სკოლებში არ დაუშვებს ლგბტ საკითხის პოპულარიზაციას.**

„ევროპარლამენტსა და ევროკომისიას სურთ, რომ ლგბტქ აქტივისტები შევუშვათ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. უნგრეთს ეს არ სურს“, — განაცხადა უნგრეთის პრემიერმა. მისივე თქმით, ეს ბრიუსელელი ბიუროკრატების საქმე არ არის და მხოლოდ უნგრეთს ეხება. „რაც უნდა გააკეთონ, ჩვენ არ დავუშვებთ ლგბტქ აქტივისტებს ჩვენს შვილებთან“, — დასძინა ორბანმა.

15 ივნისს უნგრეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომლის მიხედვით არასრულწლოვნებში ლგბტ პროპაგანდა აიკრძალა. კანონპროექტის ავტორი მმართველი პარტია იყო. კანონპროექტს 157-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი და მხოლოდ ერთმა მისცა ხმა წინააღმდეგ. რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა.

# გერმანიაში რასისტული განწყობის მატება ქვეყნის საზღვრებს გარეთაც აშფოთებთ

**გერმანიის პოლიტიკური სისტემის საიმედობა და მისი ეკონომიკის სიმძლავრე ეჭვს არ იწვევს უცხოეთში, მაგრამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ შეშფოთებით აკვირდებიან რასიზმის მომძლავრებასა და ექსტრემისტულ ტენდენციებს, — იუწყება გერმანული ტელეარხი N-TV.**

ამ დასკვნამდე მივიდნენ ავტორები გამოკვლევისა, რომელიც გერმანულმა ორგანიზაციებმა 37 ქვეყანაში ჩაატარეს. ანგელა მერკელმა კრიტიკულ შენიშვნებს „მუშაობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სტიმული“ უწოდა.

გოეთეს ინსტიტუტისა და კიდევ 2 გერმანული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გერმანიის გარეთ მოიმატა შეშფოთებამ ქვეყანაში რასიზმის მომძლავრების გამო. გამოკითხულები ამბობენ, რომ ბოლო წლებში გერმანიაში ყოფნისას იქ შეინიშნებოდა „ნაკლები ტოლერანტულობა და არამეგობრული განწყობა“.

გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** ვიდეომიმართვაში აღნიშნა, რომ გერმანია გამოდის ძირითადი ფასეულობების, „უწინარესად, ადამიანის ღირსებებისა და პარტნიორული თანამშრომლობის“ დაცვის მოწოდებით.

გამოკითხვის მონაწილეთა აზრით, გერმანიამ უნდა გააუმჯობესოს ციფრული ინფრასტრუქტურა და პირობები სამეწარმეო ინოვაციებისთვის. უმაღლესი განათლების სისტემაში კი ბევრია აკადემიური წინაღობა და იერარქია. გარემოს დაცვის სფეროშიც არის ბევრი საკითხი, რომლებზეც მუშაობა აუცილებელია. გამოკითხვის შეფასებებმა აჩვენა სხვაობა მოთხოვნებსა და სინამდვილეს შორის, რომელ-




მაც კიდევ უფრო მოიმატა პოლიტიკასა და ეკონომიკაში ბოლო ხანს მომხდარი სკანდალების შემდეგ.

სტრუქტურულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 622 კაცი 37 ქვეყნიდან, 48 კაცს კი ჩამოართვეს ინტერვიუ.

**pussian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

საქართველო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894